№ 19-20 ოქტომბერი 15—31. გამოც. წელი მეათე. გამ—ბა „კომუნისტი“. ფასი 40 კ.

F 221
1933

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დროშა



ჩვენ ვიპყრობთ სტრატოსფეროს.
სტარტის მომენტი

## პურის, მაკარონის და საფქვავი კომბინატი ნავთლუღში



ნავთლუღში გაიშალა ამიერ-კავკასიაში უდიდესი პურის, მაკარონის და საფქვავი კომბინატის მშენებლობა. კომბინატის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ტფილისი მთლიანად იქნება დაკმაყოფილებული მექანიკურად გამოცხობილი მაღალხარისხოვანი პურით. სურათზე—კომბინატის პროექტი.

## ლათინიზირებული ჩინური ანბანი




საბჭოთა კავშირში ცხოვრობს 30.000-დე დუნგანი. 19 საუკუნის 60—70-იან წლების აჯანყების შემდეგ დუნგანთა ნაწილი გადმოსახლდა რუსეთში. მათი უმრავლესობა ცხოვრობს ყირგიზეთის რესპუბლიკის ფრუნზეს რაიონში. დუნგანები ლაპარაკობენ ჩინურ ენაზე და ზნეჩვეულებებიც ჩინელების აქვთ.

ამჟამად დუნგანებისათვის შემუშავებულია ლათინიზირებული ანბანი, რადგან ჩინური ანბანი, როგორც ცნობილია, მეტად რთულია—იგი შესდგება 45.000.000 ნიშნისაგან (იეროგლიფისაგან). ცხადია, რომ ამ ანბანის შესწავლა სრულიად მიუწვდომელია ფართო მასებისათვის. დუნგანებისათვის შემუშავებული ლათინიზირებული ანბანი არ არის რომელიმე ევროპიულ ენის ანბანზე რთული. ამრიგად საბჭოთა კავშირი პიონერია ჩინური ენის ლათინიზაციაში.

სურათზე—დუნგანთა (ჩინური) ენაზე ლათინიზირებული ანბანის მიხედვით გამოშვებული გაზეთი.

## მარგარინის ქარხანა ამუშავების წინ.



თბილისში მთავრდება მარგარინის ქარხნის მშენებლობა და მონტაჟი ქარხანამ 1934 წლის იანვრისათვის უნდა მოგვცეს 800 ტონა მაღალხარისხოვანი მარგარინი, ქარხნის საპროექტო სიმძლავრე უდრის 20 ტონა მარგარინს. ერთ წყებად მუშაობის დროს. ეს იქნება პირველი და ერთად ერთი ქარხანა საბჭოთა კავშირში, მოწყობილი დანიის ცნობილი „სილკებორგ“-ის ფირმის უახლესი აპარატურით.

სურათზე—კომკავშირელი ამხ. მაქსოეკი საწვდომის მონტაჟზე.

## ბოლშევიკურად იბრძვიან გეგმის შესრულებისათვის



კალინინის სახელობის ქარხანას არც ერთ კვარტალში არ შეუნელებია აღებული დამკვრელი ტემპები. აგვისტოს გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით. მეოთხე კვარტალში ქარხანა იბრძოლებს ელექტრომოტორების წარმოების დაუფლებისათვის

სურათზე—ქარხნის დირექტორი ამხ. გალაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ორკვირეული მასიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

დროშა

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ დღე 12-3 საათამდე. მისამართი: წულუკიძის ქ. 3.

№ 19-20 ტფილისი, 15—31 ოქტომბერი. გაზ. „კომუნისტი"-ს გამ-ბა 1933

# ამხ. ვერას ბრიგადა

ნარკვევი: მ. ჩიქოვანი

გლეხური ანდაზა, არ გამართლდა, —შაბათს გამოდარებულ კვირას სადილობამდეო. ბრწყინვალე მზე უხვად აფრქვევს ოქროსფერ სხივებს და მთელი ზღვის ნაპირიც მას შეჰხარის. ქრებიან ზამთრის უსიამოვნო მოგონებები და მის ადგილს გაზაფხულის მშვენიერი სურათები იკავებენ. ამ დილით შაშვმა გამომაღვიძა. ჩვენი ოთახის ფანჯარა სუბტროპიკულ ბაღს გადაჰყურებს. ახლოს მაღალი კიპაროსის ხე კონუსივით ამართულა და ნელა ქანაობს. ენა ტკბილი ფრინველი ხის კენწეროზე შემჯდარა მოწოდების ხმაზე სტვენს. ხუთი თვე იქნება, ასეთი ხმა აღარ მომისმენია და ზარივით დამკრა. მივიჭერ ფანჯარასთან, გავაღე. მშვიდი, შავ თვალება ყვითელ ნიკარტიანი შაშვი თავისუფლად იჯდა მწვანე კონუსის წვერზე. მისი ხმა, როგორც ახლა ვფიქრობ, მთელ ქვემო ჩაქვში ისმოდა; ეს იყო პირველი ნიშანი, რომ თავმომაბეზრებელი ზამთარს საზღვარი დაედვა.

სწორი გზა უცბად წელში გაიხარა მაღალ გორაკს ტანზე შემოეხვია. სწორი, ხრეშ მოყრილი შოსსე, მალე შაქრის თავებივით ამოზნექილ გორაკებში შეიჭრა. გზის ერთ მხარეზე. ხან მხარ მარჯვნივ და ხან მარცხნივ, ხაზგაუწყვეტლად, ფიჭვის, ნაძვის, ან იაპონური კრიპტომერია ამოსულა. მაღალი, თავწერწეტა და ბოლო განიერი ხეები. ცალმწკრივად ჩამწკრივებულ სანაპირო რაზმივით ჩამდგარა. მათი მწვანე სახე, ნემსებივით ფოთლები და ენდროსფერი ღერო, გარემოსთან კარგად შეხამებულა. ეს მწვანე ფარდა, ჩაის დამცველი ჯარია ქარისგან. ასეთი ნაწილები პლანტაციის თვითეულ ნკვეთს ახლავს. ამ თავდაცვის გარეშე არ ვარგა და მეტად უცველადაც შესაფერისი ჯიშები ამოურჩევია: ფიჭვი, ნაძვი და კრიპტომერია.

ჩვენ მივდიოდით ზღვიდან სამხრეთით, საზღვარისაკენ, რომლის იქით უცხო სამალეთი იწყება. სწორი გზა, როგორც კი დაგველია, ნისლა ცხენებმა ულას მოუკლეს და მეეტლემაც წრუპუნს მოუხშირა. პირველი შემართი მალე ავთოკეთ. გავყევით [illegible] გზას და პატარა თავდაღმართის შემდეგ ხევის ილლიაში თავს წავადექით ოთხმოცამდე ქალს, რომლებიც ჩაის მწკვრივებში ჩამდგარიყვნენ და მათი მაგრატლების ხმაური მთაზედაც ისმოდა.

— კვაბზირისძის ბრიგადა!

წამოიძახა შოთა გოგეშვილმა და ყველამ იმ მიფენებას დაუწყეთ ყურება, საიდანაც მაკრატლების კრაჭუნი ისმოდა, ჯერ წელში მოხრილი მუშა ქალები ჩაის ბუჩქზე უმაღლესად არ ჩანდენ.

რა გაცხარებული მუშაობაა? რა გამალებული ჰკრეფენ, კრეჭენ ჩაის ბუჩქებს? თვალის სისწრაფეზე მოძრაობის წელში მოხრილი ფიგურები. აგერ ჩემს წინ გაბორბლილი ბუჩქი თავმომწონედ დგას და ფეხებში მებორძიკება, არ მიშვებს, ამ დროს მას ეწვევა დაბალი ტანის, პირხმიოთი ქალი, და რამდენიმე წუთის შემდეგ ხედავ, რომ მაღალი, ტოტებ წამოშვერილი ბუჩქი დადაბლებულა და ღეროებამდე დასულა... ხელმარდი ქალი შეუმჩნევლად გადადის მეორე ბუჩქზე, თითქო გგონია, რომ ჯერ პირველიც არ გაუფორმებია. პირველი, მეორე, მესამე და მწკრივი დიაგრამის უმაღლეს სვეტივით აიმართება მთელ ნაკვეთზე. მიდის წინ მკრეფავი ქალი და ღიმილი ეთამაშება მის თხელ ტუჩებს. მისი ამხანაგები ჯერ კიდევ ქვევით არიან და მასთან მისვლამდე იმდენი აკლიათ, რამდენიც 37-ს 60-მდე. 37 საშუალო გამომუშავების ნორმაა 8 საათში, ხოლო დამკვრელი ქალი 60 კილოგრამ ჩაის ჰკრეფს.

— რამდენი ქალია თქვენს ბრიგადაში?

ვეკითხები ბრიგადის ხელმძღვანელს, ვერა კვაბზირიძეს. ბრიგადირი ვაჟკაცური ქალია. მსუქანი სახის, შავგრემანი და მკვრივი აგებულების. ვერას ხელში დღიური უჭირავს და კითხვაზე სია ჩაათვალიერა. ეტყობა საბუთის გარეშე არ უნდა ცნობის მიცემა. ყალბი ცნობა იქნებ სადმე წინ [illegible] დასვდეს? ფიქრობს ალბათ.

— ბრიგადაში სულ 60 მყავს, დღეს სამუშაოზე 56 გამოცხადდა; სამი ავად არის, ბიულეტენები აქვთ, ხოლო ერთი მე გავანთავისუფლე, რადგან სახლიდან დედის სიკვდილის ამბავი მოუვიდა

ვერა უფრო მომიახლოვდა და დიაგრამასავით უსწორ - მასწოროთ დაყენებული ჩაის მწკვრივებზე დამაკვირვა.

— ხომ ხედავ, ზოგი უფრო წინაა, ზოგი კი უკან. ეს უბრალო შედარებაა. ამ 60 მკრეფავში არიან კარგი, მოწინავე მუშა ქალები. ისინი დღეში 80 კილოგრამამდე კრეფენ.

— ნორმა?

—ნორმა 37 კილოა მაგრამ ახლა მას არავინ სჯერდება.

— 80 კილოგრამი ფოთოლი?

— ჰო, ოთხმოცი სწორედ. ჩემს ბრიგადაში არიან ასეთი კარგი მკრეფავები, დანარჩენები 50, 60, 65, 70 კრეფენ.

— მერე ვინ არის ეს ოთხმოციანი?

ვერა დაციმცამდა. შავი, შავ წამწამებში გამოხვეული თვალები გადაავლო ხევის ერთ ფერდობს, რომელიც ქალების ყიჟინით იყო აღსავსე. სამოცამდე მწკვრივში, 80 კილოგრამიანი ქალი არ ჩანდა თურმე და მაშინ ვერამ სხვა კილოზე მითხრა.

— ბავშზე ძუძუს მოსაწოვებლად წავიდა და ჯერ არ დაბრუნებულა!

— ვინ?

იკითხა ჩვენს გვერდით მკრეფავმა და წელში გაიმართა, ხელში მოყოლილი ერთი მუჭი ყლორტები კათათაში ჩაიკრიფა და მარცხენა ხელი გაინთავისუფლა.

— თამარა ჩხიკვაძე!

— ო, ის მალე მოვა, საბავშო ბაგა აქედან ახლოსაა! — სთქვა ახალგაზრდა ქალმა და თავის საქმეს მოუბრუნდა.

— მოდის, მოდის!

ერთხმად აიმეორა რამდენიმემ.

მკრეფავებმა თავები ერთი წუთით ასწიეს და ისევ მალე ბუჩქებს დაუწყეს ხილვა.

— ვინ მოდის?

— ოთხმოც კილოიანი ქალი!

გასაგები იყო, ეს თამარა ჩხიკვაძე უნდა ყოფილიყო, რომელიც მუშათა საერთო საცხოვრებელში იყო წასული, სადაც მოთავსებულია საბავშო ბაგა. შორს, ჩაის ბუჩქებით თავგადაყოფილ გორაკზე თეთრ კაბიანმა ქალმა გამოაბიჯა. ის მოდიოდა აჩქარებული, მაგრამ სრული ნაბიჯით. მისი სახე ავარვარებულიყო და როცა სამუშაოს დაუახლოვდა, უბრალოთ გაიღიმა, მაშინ მისმა ამხანაგებმაც გაიცინეს.

— რას იცინით ქალებო?

იკითხა მან დაბალი, მაგრამ მქშინავი ხმით.

— არაფერს, არაფერს!

წაიჩურჩულეს მის გვერდით. მკრეფავმა სწრაფად მოიწია მისი ტომარა და მაკრატელი. წასვლის გამო ჩამორჩენილ მწკვრივს მიადგა და უხმოთ მუშაობა დაიწყო.

— ჩვენთან სხვა დამკვრელებიც არიან, — აგრძელებდა ვერა, — ანა ათანასოვა 60 კილოს კრეფს, მეო-რია 58, აქ მარტო ქართველები არ არიან! ჩემთან ქურთები და რუსებიც მუშაობენ.

— ქურთები?

გამიკვირდა, სოფლის მეურნეობაში ეს ხალხი პირველად ვნახე. არც კი ვფიქრობდი თუ ასეთს ოდესმე მისდევდენ ისინი.

— საიდან, როდის მოვიდნენ?

— ოთხი - ხუთი თვეა აქ მუშაობენ. მათი სოფელი ახლოს არის, აქიდანაც მოსჩანს — ვერამ მთის კალთაზე გაშლილი სოფელი, დიდ-



„ამხ. ვერას ბრიგადა“

ნახატი გ. ნიჟარაძის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამე დამანახა. — იქ ცხოვრობენ. დღით მამულში მუშაობენ, საღამოთ კი შინ ბრუნდებიან.

— იქ ბინადრობენ?

— კი, ოცამდე კომლია. აქვთ ყანები, მისდევენ საქონლის მოშენებას. მამაკაცები ოჯახის საქმეებს აკეთებენ ქალები კი აქ არიან, გარე სამუშაოზე.

ქურთის ქალები ერთად ჩამდგარიყვნენ მწკრივებში. თავებ შეხვეული და კაბებ წამოწეული ჰკრეფდენ მწვანე ფოთოლს. ხუთმეტიოდე ქალი გამოირჩეოდა მთელი ბრიგადიდან. მათ პლანტაციის ყველაზე ზემო ნაკვეთი აუღიათ და კარგადაც დაწინაურებულან.

— ნათის, ნათის!

დაიძახა ერთმა. მაშინ სასწორის ახალგაზრდა ქალი მოშორდა და იქითკენ წავიდა საიდანაც ძახილი ისმოდა. ეს იყო მწონავი ქურთი, ქურთების ჯგუფიდან. მე მას გავყევი, მინდოდა გამეგო მათი ამბავი.

— რა გქვია?

ვეკითხები ერთ 14 — 15 წლის გოგონას, რომელიც ბუჩქის ძირში მორთხმულა და ჩაის კალათში ჰკრეფს.

— ა!

ვერ გამიგო. ბუჩქის ძირიდან შეჰწყრალად ამომხედა და ყელზე შემოხვეული წითელი თავსაფარი, ვერცხლის ორნამენტებით და ძვლის ფოლაქებით მორთული გულისპირი გაასწორა. კუნელის კაკლებივით შავი თვალები უფრო დაუწვრილდა. რაკი პასუხი ვერ მომცა, გვერდით მყოფ ხნიერ დედაკაცს რაღაც უთხრა.

— იმია, იმია!

ნელა სთქვა ვერამ და ისიც დაინტერესდა მათთან გამოლაპარაკებით.

— ჯამილე!

ენის მობრუნებით წამოსთქვა ხნიერმა დედაკაცმა, რომლის სახე უფრო ქუჩაში მოსიარულე მკითხავ ქალებს ემსგზავსებოდა, ვინემ ბინადარ და სამეურნეო ცხოვრებით დამძიმებულ ადამიანს. წამოწეული სახე, გრძელი, სწორი ცხვირი, შავი თვალები ათასგვარი ქარგებით მოყოლებული გულის პირი და წითელი ფარჩით გახუნებული კაბა, რაღაც სინთეტიურ სახეს იძლეოდა. ხნიერი ქურთი წამოდგა. ჯამილეს გამოელაპარაკა და ფოთლით სავსე ტომარა ნათის გადასცა.

— სად ცხოვრობ?

— ჯამე იცი, ჯამე

— კი, აი იქ

— კი, შენი ჩირიმე!

— სახლი, დომა ესტ, დომა!

—ქი! ქმარი, ძროხა, სიმინდი,

— ქი.

— შვილები გყავს?

— ქი!

და ქალმა 7 თითი მიჩვენა. ამ შვიდიდან 3 აქვე, ჩაის პლანტაციაში დამანახა, რომელთა შორის თვალებ-ქრიალა ჯამილეც იყო. ოთხი კი სახლში ჰყოლია: ერთი, ყველაზე დიდი, ძროხის მომვლელია, სამი კი ისეთი, როგორისაც ქურთები ჩვეულებრივ ზურგზე იკიდებენ და ქუჩა-ქუჩა დაატარებენ.

— ჩაი კარგია?

— უუ!

გაუხარდა მკრეფავ ქურთის ქალს და დამტვრეული ქართულ — რუსულით სთქვა, რომ ეზოში მას აქვს ჩაი და მათი სოფლის კოლექტივიც დიდ პლანტაციას აშენებს.

— რამდენი კილო მოკრიფე გუშინ!

— **со-рок!**

ქურთების ჯგუფი დავტოვეთ. მათ ქვევით კიდევ გამოყოფილი ჯგუფი მუშაობდა. იქ ვაჟები და ქალები ერთმანეთში იყვნენ არეული.

— ისინი ვინღა არიან, ცალკე რომ გამოყოფილან?

— ოზურგეთის ჩაის ტეხნიკუმის მოწაფეებია, საწარმოო პრაქტიკაზე მოვიდნენ!

მრავალი ენტუზიასტი ტრიალებს ჩაქვის საბჭოთა მამულში. ერთგულ შრომას მიჩვეული დამკვრელები სანიმუშოდ უვლიან ძვირფას მცენარეს. ჩაი არის აქაური სუნთქვა. ის არის პირველი არსებითი სახელი, რომელსაც ზღვის სანაპიროს მცხოვრებლები ახსენებენ. ამისთვის არც გასაკვირია, რომ აქეთკენ იწევს მრავალი ასეული გული, მისკენ ეშურებიან სანახავად და დასახმარებლად, შესასწავლად და ცოდნის მისაღებად.. ჩაქვის საწარმოო პრაქტიკაზე მოსულ გურულ მოწაფეებსაც ეს მიზანი აქვთ. მწვანი ფერდობზე მათი ბრიგადა მხარგაშლით მუშაობს, ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრება; საერთო ყიჟინა, მზასრავ მაკრატლის ხმას უერთდება და ერთ შრომის სიმფონიას ჰქმნის.

— პრაქტიკის მისაღებად ამხანაგები 3 დღის მისულნი არიან, ამის გამო ჯერ მათი შრომის ნაყოფიერება დაბალია, ვინემ ვერა კვაბზირიძის ბრიგადის წევრების შრომის ნაყოფიერება; მაგრამ. — უჯრედის მდივანი იძლევა ახლა პასუხს, ჩვენ შრომის ნაყოფიერებას გავზრდით! მალე, სულ მალე ავითვისებთ ჩაის კრეფის ტექნიკას და მაშინ ვნახოთ ვინ ვის გაასწრებს!

სასწორის ირგვლივ მწვანე გორები იცლება. ტომარი ტომარზე იცლება და ქარხანისაკენ მიმავალი ტვირთმზიდავები ნელა მიაბიჯებენ.

# ჩვენ ვიპყრობთ სტრატოსფეროს

## წერილი: ე. წულაძე

130 წლით ადრე, ვიდრე **ძმ. მონგოლფიე** პრაქტიკულად განახორციელებდნენ ჰაერზე მსუბუქი აპარატით ჰაერში აფრენის ამოცანას, **გამოჩენილი ფრანგი პოეტი, სწავლული და ფილოსოფოსი სირანო დე-ბერჟერაკ** ოცნებობდა პლანეტთა შორის მოგზაურობაზე,სირანო დე-ბერჟერაკი იძლეოდა რამდენიმე პრინციპს ისეთი აპარატის დამზადებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა დიდი სიმაღლეების მიღწევა. ამ პრინციპებიდან პირველია—თხელი ჰაერი (კვამლი) და მეორე—ჰაერის გაიშვიათება სფეროს შიგნით.

იმ დროს, როცა სირანო დე-ბერჟერაკი მთვარეზე გასაფრენათ კვამლით გავსებულ სფეროებს მხრებზე იმაგრებდა, **დიდმა ამერიკელმა რომანისტმა ედგარ პოემ** თავის რომანში, „ვინმე ჰანს ჰპფოოლის უმაგალითო თავგადასავალნი“ თავისი გმირი დიდ სიმაღლეებზე გაფრენის დროს ჰერმეტიულად დახურულ კაბინაში მოათავსა. ამრიგად, ე. პომ ჯერ კიდევ 100 წლის წინ პირველმა წამოაყენა დიდ სიმაღლეებზე ფრენისათვის ჰერმეტიულად დახურული კაბინის გამოყენების იდეა.

ამ ფანტასტიური იდეების შემდეგ 1871 წ. ჩვენ გვაქვს ფრანგ **ტრიდონის** პირველი რეალური პროექტი სტრატოსფერული აპარატისა და 1901 წ., ე. ი. სირანო დე-ბერჟერაკის მიერ მთვარეზე ფანტასტიური მოგზაურობის ამბების აღწერიდან 150 წლის შემდეგ—პირველი რეალური გაფრენა სტრატოსფეროში. განხორციელებული გერმანელ სწავლულების **ბერსონისა და ზიურინგის** მიერ. მათ ჰაერში დაჰყვეს 8.ს. და მიაღწიეს 10.800 მეტრის სიმაღლეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მოხდა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა თანამედროვე ავიაცია მხოლოდ ისახებოდა და ძმ. ვილბურ და ორვილ რაიტი მხოლოდ ემზადებოდნენ ჰაერზე მძიმე აპარატით ფრენისათვის.

ომის შემდეგ, განსაკუთრებით იმ ცნობილი ზარბაზნების კონსტრუქციისა და მოქმედების პრინციპის გამომჟღავნების შემდეგ, რომლებითაც გერმანელებმა 80 კილომეტრის მანძილიდან ყუმბარებს უშენდნენ პარიზს, ინტერესი სტრატოსფეროს შესწავლისადმი არაჩვეულებრივად გაიზარდა. და თუ მთელი მსოფლიოს ფიზიკოსები სტრატოსფეროს დაპყრობას უკავშირებენ გამორკვევას იმ საიდუმლოებისა, რომელიც დაკავშირებულია სამყაროს სივრციდან მიმდინარე კოსმიურ გამოსხივების ბუნებასთან, იმპერიალისტური ქვეყნების სამხედრო-თეორეტიული აზრი არანაკლების ენერგიით მიილტვის სტრატოსფეროს დაპყრობისაკენ იმ მიზნით, რომ მომავალი ომის დროს ზე-ბერტების საშუალებით, რომელთა ყუმბარები თავის გზას სტრატოსფეროში გაივლიან (150—200 კილომეტრს) და სამხედრო სუპერ-ავიაციის საშუალებით მოპირდაპირეს განმანადგურებელი ლახვარი ჩასცენ დედამიწიდან მიუწვდომელ სიმაღლიდან.

ამიტომ არის, რომ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით, გარდა კანტიკუნტი ცნობებისა, მთელი რიგ სტრატოსფერულ გაფრენათა შესახებ, რომლებიც ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებში, კერძოთ—შეერთებულ შტატებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მოეწყო. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გენერალური შტაბები და სამხედრო სამინისტროები საიდუმლოთ ინახავენ მომავალ ომის ახალ საომარ საშუალებათა პროექტებს და მასალებს, რომლებიც ამ პროექტებთან არის დაკავშირებული. ასეთი საიდუმლოებით არის მოცული ამერიკის არმიის კაპი-



1. სტრატოსტატის უფროსი ამხ. პროკოფიევი, 2. კონსტრუქტორი ამხ. გოდუნოვი, 3. სტრატოსტატის უფროსის მოადგილე ამხ. ბირნ-ბაუმი.

ტან გრეის 1927 წლის 4 მაისის და 4 ნოემბრის გაფრენა სტრატოსფეროში, როცა მიღწეული იქნა 12.944 მეტრის სიმაღლე (მეორე გაფრენის დროს გრეი დაიღუპა— სუნთქვისათვის არ ეყო ჟანგბადი და დაიღრჩო. ასეთივე ბედი ეწია ესპანელ მფრინავს ბენიტო მოლლასს 1928 წლის 15 სექტემბერს).

1931 წლის 27 მაისს შვეიცარიელმა პროფ. პიკარმა თვალსაჩინოდ ასწია ზევით „ციური ჭერი“—თავისი სტრატოსტატით მან მიაღწია 15.871 მეტრის სიმაღლეს. 1932 წლის 18 აგვისტოს გაფრენის დროს პროფ. პიკარი თავის ასისტენტ კოზინსთან ერთად



სტრატოსტატის გარსს ავსებენ წყალბადით.

აღწევს 16.114 მეტრის სიმაღლეს. ორივე გაფრენის დროს შეკრებილ იქნა მეცნიერულის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი მასალები. მაგრამ პიკარის გაფრენების შედეგებმა არანაკლები ინტერესი გამოიწვია სამხედრო წრეებში.

აი, რას სწერდა, მაგალითად, ვენის „ნოიე ველტბიუნე“:

„პროფ. პიკარის გაფრენები სტრატოსფეროში სრულიად ცვლის ჩვენს წარმოდგენას მომავალ ომზე“.

პიკარის ზუსტი მუშაობისა და სტრატოსფეროში მისი ფრენის პრაქტიკული შედეგების წყალობით, არტილერიისათვის სრულიად ახალი მნიშვნელობა მიიღო ჰაერის ზედა გაიშვიათებულმა ფენებმა. ჩატარებული იქნა ცდები, რომლებმაც ნათელჰყვეს, რომ გარკვეულ პირობებში სტრატოსფეროში გასროლილი ყუმბარა მისრიალებს ჰაერის უფრო მკვრივ ფენაზე (ე. წ. ტროპოსფეროზე), რომელიც დედამიწის ზედაპირთან უფრო ახლო მდებარეობს, მსგავსად იმისა, თუ როგორ მისრიალებს წყლის ზედაპირზე ხელით გასროლილი ბრტყელი ქვა. ამ ცდების გაგრძელებას შედეგად მოჰყვა იდეა მაშხალის და გრანატის შეთავსებისა ერთ ყუმბარაში. ასე იშვა საჰაერო ტორპედა.

გარეგნულად იგი წააგავს დიდი ზომის ყუმბარას, რომელსაც გარედან აქვს საჭეს მაგვარი მოწყობილობა. ასეთი ტორპედა იწონის 200 კილოგრამს, რომლიდან 70 კილოგრამი მოდის ასაფეთქებელ მასალაზე. გასროლის დროს ტორპედა აღწევს 21 კილომეტრის სიმაღლეს. როდესაც ასეთი ყუმბარა მიაღწევს თავის მაქსიმალურ სიმაღლეს, მასში მყოფი საათის მექანიზმი ავტომატიურად აამუშავებს მაშხალის ძრავას, რომელიც ტორპედას აძლევს ახალ აჩქარებას. დასაწყის სისწრაფეზე ორჯერ მეტს. ამრიგად აღწევენ იმას, რომ ტორპედა ჰორიზონტალური მიმართულებით გაივლის 262 კილომეტრს.

ავიაციამაც ბევრი ისწავლა პიკარისაგან. გასაოცვიფრებლად მოკლე ვადაში მან დასძლია სიძნელეები, დაკავშირებული მფრინავების ყოფნასთან და აპარატის მართვასთან ძლიერ გაიშვიათებულ ატმოსფეროში და 60 გრადუს სიცივეში. შეერთებულ შტატებში შენდება სამხედრო სტრატოპლანი, 400 ტონას ამწყობით, რომელიც მიუწვდომელი იქნება ყოველგვარი საზენიტო არტილერიისათვის. ბომბების გადმოყრა ამ სტრატოპლანიდან ავტომაგიზირებულია და ბომბის გზას ნიშანში მიხვედრამდე იღებს თვითმომქმედი კინო-აპარატი“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, იმ დროს, როცა კაცობრიობა ჯერ კიდევ გაუბედავ „ნაბიჯებს“ სდგამს სტრატოსფეროში, იმპერიალისტები უკვე ემზადებიან სტრატოსფეროს გადაქცევისთვის მომავალი ომის ასპარეზად.

საბჭოთა ქვეყანა, რომელიც წარმატებით ახორციელებს ამოცანას—დაეწიოს და გაუსწროს ეკონომიურად და ტეხნიკურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, უყურადღებოდ ვერ დასტოვებს სტრატოსფეროს დაპყრობის პრობლემასაც.

ვერ დასტოვებს, ვინაიდან:

— მხოლოდ საბჭოთა კავშირს, სადაც ბურჟუაზიულ სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებული მეცნიერებას განვითარების ჯერარნახული ტემპები აქვს მოპოებული, სადაც მეცნიერებისა და მეცნიერთათვის შექმნილია შემოქმედებითი მუშაობის წარმოუდგენელი შესაძლებლობანი, შეუძლია უზრუნველჰყოს სტრატოსფეროს დაპყრობასთან დაკავშირებული მეცნიერული პრობლემების გადაჭრა და სტრატოსფეროს დაპყრობის ამ მეცნიერული შედეგების გამოყენება ნამდვილად კაცობრიობის სასიკეთოდ.

— საბჭოთა კავშირს, თვალუწვდენელი ტერიტორიის მქონეს, უაღრესად ესაჭიროება სწრაფი მიმოსვლის პრობლემის გადაჭრა და სტრატოსფერულ ავიაციას მისთვის არაჩვეულებრივად დიდი ეკონომიურ-კულტურული მნიშვნელობა ექნება.

— საბჭოთა კავშირი—სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა, გარშემორტყმული კაპიტალისტური ქვეყნებით, მზად უნდა იყოს ყოველგვარი მოულოდნელობისათვის, ის უნდა იყოს მზად მოიგერიოს მტრის იერიშები ყოველი მხრიდან—ზღვიდან, წყლის ქვეშიდან, ხმელეთიდან, ტროპოსფეროდან და სტრატოსფეროდან.

საბჭოთა ქვეყნის მუშებმა, მეცნიერებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ბუმბერაზულ წარმატებებს მიაღწიეს ამხ. სტალინის მიერ წამოყენებული ლოზუნგის—მოწინავე ტეხნიკის დაუფლების და მეცნიერების მწვერვალების დაუფლების ლოზუნგის რეალიზაციისათვის ბრძოლაში.

სტრატოსფეროში გაფრენის ორგანიზაცია სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში, სტრატოსტატის დამზადება საბჭოთა მასალებიდან და საბჭოთა სპეციალისტების ხელით სარეკორდოთ მოკლე დროში—ექვს თვეში და მისი შეიარაღება სამეცნიერო გამოკვლევებისათვის საჭირო ხელსაწყოებით და აპა-




უკანასკნელად ამოწმებენ სტარტისათვის მზადყოფნას

რატურით, რომელთაგან უმრავლესობა ორიგინალური საბჭოთა კონსტრუქციის არის, გაფრენასთან დაკავშირებული პრობლემების ისე ზუსტად დამუშავება, რომ ნამდვილად უზრუნველყოფილი ყოფილიყო გაფრენის წარმოება—ეს არის საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის უდიდესი ტრიუმფი, საბჭოთა ტეხნიკის და მეცნიერების უდიდესი ტრიუმფი, ბოლშევიკური ენერგიისა და მიზანდასახულობის უდიდესი გამარჯვება.

საბჭოთა სტრატოსფერული გაფრენა პროფ. პიკარის შარშანდელი გაფრენისაგან განსხვავდება არა მარტო იმ სამი კილომეტრით, რომლითაც საბჭოთა კავშირში გადააჭარბეს პიკარისა და მისი თანამგზავრის კოზინსის მიერ მიღწეულ სიმაღლეს, არა მარტო იმით, რომ ჩვენმა სტრატოსფერულმა ექსპედიციამ შესძლო უფრო მრავალფეროვანი და სრული მეცნიერული ხასიათის დაკვირვებების მოხდენა.

ჩვენი სტრატოსფერული გაფრენა ხასიათდება პირველყოვლისა გეგმიანობით და ორგანიზაციულობით, დაწყებული სტრატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლანის აგებისათვის სამზადისის მომენტიდან და გათავებული სტრატოსტატის დაშვებით კოლომნაში.

პიკარი, სტრატოსფეროს დაპყრობის საქმეში მისი უდავო დამსახურების მიუხედავად, მხოლოდ „დაუღალავი მარტოხელა კუსტარი“ არის. ის მუშაობს მარტო, რამდენიმე თანამშრომლის ამარა, ის კონსტრუქტორიც არის, აერონავტიც, მასვე უხდება გაფრენის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაზე ზრუნვა. მატერიალური დაბრკოლებების გამო მან აქამდე ვერ შესძლო თავისი მესამე გაფრენის ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ის ამ გაფრენისათვის ემზადება მეორე გაფრენის შემდეგ—ე. ი. ერთ წელიწადზე მეტი. ბელგიის სამეცნიერო ფედერაციამ კრიზისის გამო პიკარს უარი უთხრა სუბსიდიაზე; ამერიკაში, სადაც ის გაემგზავრა მეცენატების საძებრად, არავინ ისურვა მისთვის დახმარების აღმოჩენა. დაბოლოს, ჩიკაგოს გამოფენის „პროგრესის საუკუნის“ მომწყობნი დასთანხმდნენ პიკარის ექსპედიციის სუბსიდიაზე, მაგრამ პიკარი ჩქარა დარწმუნდა, თუ რას ნიშნავს კაპიტალისტური „პროგრესის საუკუნე“. აღმოჩნდა, რომ გამოფენის ადმინისტრაციას აინტერესებს არა გაფრენის მეცნიერული მხარე, არამედ გაფრენა, როგორც **სანახობა, ატრაქციონი**, რომ ამით გამოსწორდა გამოფენის შერყეული ფინანსიური მდგომარეობა. პიკარი იძულებული გახდა დაბრუნებულიყო ევროპაში და აქ თავიდან დაეწყო მზადება გაფრენისთვის. მაგრამ აქაც ბედმა უმუხთლა პიკარს: გამოცდის დროს სტრატოსტატის გონდოლა, თვალსაჩინო კონსტრუქციული დეფექტებისა და მასალის დაბალი ხარისხის გამო, აფეთქდა. ბედი, რომელიც ეწია პიკარის სამზადისს მესამე გაფრენისათვის სავსებით კანონზომიერია კაპიტალისტური სისტემისათვის, განსაკუთრებით მის ახლანდელ ეტაპზე—გამოუვალი კრიზისის პირობებში.

სულ სხვანაირად მიმდინარეობდა მზადება სტრატოსფეროული გაფრენისათვის საბჭოთა კავშირში. სტრატოსტატ „ს.ს.ს.რ“-ის ბრწყინვალე გამარჯვება ეს არის № 39 და კაუჩუკის ქარხნის მუშების, მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებების, მეცნიერების, ინჟენრების, კონსტრუქტორების კოლექტიური ნებისყოფის და ენერგიის შედეგი, მოწინავე ტეხნიკის დაუფლებისთვის თავდადებული ბრძოლის შედეგი.

და შემდეგ, მრავალი საბჭოთა სტრატოსფერული გაფრენისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო იმ ატმოსფეროს, რომელშიც ჩვენ უშიშარ აერონავტებს უხდებოდათ გაფრენა, არამედ მეორე ატმოსფეროს, რომელიც ხასიათდება საბჭოთა კავშირის მილიონიანი მასების დამოკიდებულებით ამ გაფრენისადმი.



სტრატოსტატი სცილდება დედამიწას

რა საზოგადოებრივ მოვლენას, რა მეცნიერულ და ტეხნიკურ მიღწევას შეუძლია კაპიტალისტურ ქვეყნებში მიიპყროს ასეთი ფართო **ჯანსაღი** და გულთბილობით აღსავსე ყურადღება, რომელსაც იპყრობს საბჭოთა კავშირში ყოველი გამარჯვება სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე (საბჭოთა სტრატოსტატ „ს.ს.რ.“-ის ბრწყინვალე გაფრენაც ხომ მორიგი გამარჯვებაა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე)?

არავითარს!

და ეს ბუნებრივიც არის.

რადგან დამშეული ასეული მილიონები

რადგან დამშეული ასეული მილიონებიდა სიხალისე, რომელსაც უნდა იწვევდეს ადამიანის ყოველი გამარჯვება ბუნების ძალებზე, ბუნების ყოველი საიდუმლოების ამოცნობა, ვინაიდან კაპიტალიზმმა ასეულ მილიონებისათვის სიცოცხლის დედაბოძად გახადა მხოლოდ ოცნება ლუკმა პურზე.

კაცობრიობის მაძღარი ნაწილისათვის — ბურჟუაზიული მუქთახორებისათვის კი ამგვარი მიღწევები საინტერესოა, როგორც სენსაცია, როგორც ატრაქციონი, როგორც მოგებათა ახალი წყარო ან ახალ საომარ საშუალებათა შექმნის შესაძლებლობა.

სულ სხვაა საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მილიონები მოუთმენლად ელოდენ პირველი საბჭოთა სტრატოპლანის გაფრენას, ნერვიულობდნენ, რომ ცუდი ამინდი აბრკოლებდა სტრატოპლანის სტარტს, კარგ ამინდიან რაიონებიდან მოსკოვში იგზავნებოდა წერილები—თხოვნით სტრატოპლანის გაფრენა მათ რაიონში გადაეტანათ, რადგან იქ „კარგი ამინდია“.

და როცა დადგა ეს ნანატრი კარგი ამინდი მთელი საბჭოთა ქვეყანა გულის ფანცქალით მოელოდა ცნობებს ჩვენი სტრატოსტატის გაფრენაზე.

და როცა მოვიდა ცნობა გაფრენის ბრწყინვალედ დამთავრების შესახებ ეს იყო უდიდესი სიხარული და სიამაყე, ასამოცმილიონიანი საბჭოთა ოჯახის საერთო სიხარული და სიამაყე.

დარაზმულობის, შრომის მეცნიერების — ტეხნიკის შეერთებული ძალების და ბოლშევიკური ნებისყოფის შედეგად პირველი საბჭოთა იერიში სტრატოსფეროზე ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

ჩვენ მტკიცედ „შევსდგით ფეხი“ სამყაროს უსაზღვროებაში, რომ გაუკაფოთ გზა პროლეტარიატის გამარჯვების ბუნების საიდუმლო ძალებზე, რომ შევქმნათ საბჭოთა ზესწრაფი ავიაცია და უზრუნველვჰყოფთ საბჭოთა ქვეყანა ყოველგვარ „სტრატოსფერულ მოულოდნელობათაგან“ კაპიტალისტურ სამყაროს მხრივ.

# ლეიპციგის პროცესი

წერილი: ე. გარდე

ისტორიას ახსოვს მრავალი პროცესი, მოწყობილი გაბატონებული კლასების მიერ რევოლუციონერების წინააღმდეგ, მაგრამ არ ახსოვს ასეთი საძაგელი კომედია გასამართლებისა, რომელიც ამჟამად გერმანიაში მიმდინარეობს.

**გაბატონებული კლასები** არასდროს არ ერიდებოდენ სიყალბეს, პროვოკაციას, მაგრამ ბურჟუაზიულ მართლმსაჯულებას ჯერ კიდევ არ ახსოვს ასე ცუდათ შეთითხნილი ბრალდება, რომელიც წაყენებული აქვს სამ ბულგარელ კომუნისტს და გერმანიის კომპარტიის ერთ ბელადს ამხ. **ტორგლერს**.

ჰიტლერმა 1932 წლის ნოემბრის არჩევნების დროს დაჰკარგა ორი მილიონი ხმა, პრეზიდენტი ჰინდენბურგი უფრო და უფრო ნაკლები მიდრეკილებას იჩენდა,—ძალაუფლება ჰიტლერისათვის გადაეცა, ნაციონალ სოციალისტურ პარტიას კიდევ შერჩენილი მასები ღელავდენ—მოითხოვდენ იმ „სიკეთეთა“ რეალიზაციას, რომელთაც მათ აღუთქვამდა ნაციონალ-სოციალისტური ხელმძღვანელობა. 5 მარტის არჩევნებს ნაციონალ-სოციალისტებისათვის სწყვეტდა ყოფნა-არყოფნის საკითხს: გამხდარიყო იგი მმართველ პარტიათ, თუ დამჭკნარიყო აუყვავებლად.

საჭირო იყო რაიმე ისეთი ტრიუკი, რომელიც ერთბაშად მიდენიდა ნაციონალ - სოციალისტური პარტიის დროშის ქვეშ ამომრჩეველთა მერყევ მასას.

და აი იწვის რეიხსტაგი.

— რეიხსტაგს ცეცხლი წაუკიდეს, კომუნისტებმა, რომლებისთვისაც ეს უნდა ყოფილიყო საყოველთაო აჯანყების ნიშანი,—ასეთი იყო ფაშისტური გაზეთების ვერსია.

პროვოკაციის ორგანიზატორებმა ამ ბრალდების ნაჩქარევად შეთითხნის დროს დაივიწყეს მთელი რიგი „დეტალები“, რომლებიც ახლა მჭერმეტყველურად მოწმობენ მათ წინააღმდეგ.

დაივიწყეს, რომ შეუძლებელია დაარწმუნო ქვეყნიერება, თითქოს ნახევრად ბრმა ვანდერ-ლუბეს მარტო შეეძლო უზარმაზარი შენობისათვის ცეცხლის წაკიდება; დაივიწყეს რომ შეუძლებელია დაარწმუნო ქვეყნიერება, თითქო ნახევრად ბრმა ვან-დერ-ლუბეს შეეძლო მთელი ცეცხლის წასაკიდებელი მასალის უჩინრად შეტანა რეიხსტაგის შენობაში; დაივიწყეს, რომ ყველა, ვინც

იცნობდა რეიხსტაგის შენობას, უნებლიეთ იფიქრებდა, რომ ცეცხლის წამკიდებლებს შეეძლოთ რეიხსტაგში შესვლა მხოლოდ მიწისქვეშა გზით, რომელიც რეიხსტაგის თავმჯდომარეს ნაციონალ - სოციალისტ ჰერინგის ბინიდან მიდის რეიხსტაგ-



ამხ. ტორგლერი

ში და ამ შემთხვევაში ხომ ცხადია, თუ ვინ არიან ნამდვილი ცეცხლის წამკიდებლები. დაივიწყის, რომ საეჭვო შთაბეჭდილებას დატოვებდა რეიხსტაგის მსახურთა ჩვეულებრივზე ადრე დათხოვნა სწორედ ხანძრის დლეს და შემდეგ უცნაური ნელი ტემპები ხანძრის ქრობაში. ვერ მოახერხეს ვან-დერ-ლუბესათვის „ჰოლანდიური პარტბილეთის“ ხეირიანათ შეთითხნა, და მზადება ისე, რომ მისი ნაციონალ-სოციალისტური ფაბრიკაცია „პარტბილეთზე“ პირველი შეხედვისთანავე ნათელი არ გამხდარიყო. დაივიწყეს, რომ არიან სახიფათო მოწმეები, რომელთაც შეუძ-



ამხ. გეორგ დიმიტროვი

ლიათ ნათელი მოჰფინონ ნაციონალ სოციალისტური პროვოკაციას.

ხელისუფლების სათავეში მოქცევის სურვილმა დაჩრდილა კეთილ-გონიერების ყველა მოსაზრებები.

ხანძარმა თავისი როლი შეასრულა: ჰიტლერმა ხელში ჩაიგდო ხელისუფლება, კომპარტია და მუშათა სხვა რევოლუციონური ორგანიზაციები აკრძალეს, ასეული ათასი პროლეტარები შერეკეს კონცენტრაციულ ბანაკებში. ნაციონალ-სოციალისტურმა პარტიამ შეყლაპა ყველა სხია პარტიები.

მაგრამ ციხეში დარჩა „კომუნისტი“ ვან-დერ-ლუბე, ბულგარელი კომუნისტები და ამხ. ტორგლერი, რომელიც თავისი ნებით გამოცხადდა პოლიციაში, რათა გამოემშკარავებია ჰიტლერ-ჰერინგის პროვოკაცია. ტორგლერის გამოცხადება არა სასიამოვნო ალმოჩნდა ნაციონალ-სოციალისტებისათვის. თუ მათ ადვილ საქმედ მიაჩნდათ ვან-დერ-ლუბეს ლიკვიდაცია, „გაქცევის ცდის, ან „თვითმკვლელობის გზით“, თუ ისინი დაინტერესებული იყვნენ, რომ ადვილად შესძლებენ რეიხსტაგის ცეცხლის წაკიდების დაბრალებას ბულგარელ კომუნისტებისათვის რომელთაც ბულგარეთის ფაშისტურმა მთავრობამ თავის დროზე დააბრალა სოფიის საყდრის აფეთქება, ასე ადვილი იყო ბრალის დადება ტორგლერისათვის.

მაგრამ ნაციონალ-სოციალისტებმა ალუთქვეს მსოფლიოს ცეცხლის წამკიდებელთა გასამართლება და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით ისინი იძულებული გახდნენ დაპირება შეესრულებიათ. შედეგად ჩვენ გვაქვს ლეიპციგის პროცესი, რომლის მთავარი მოწმეები— ობერფორენი, ბელლი და სხვ. ნაციონალ-სოციალისტებმა წინასწარ გაგზავნეს საიქიოს, რომლის მოწმეთა მეორე ნაწილი, საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებული, რიზინის კომბლებიან ნაციონალ-სოციალისტ მტაცებლების „ალმზრდელობითი“ ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან, მოწმეთა მესამე ჯგუფი კი—თვით პროვოკაციის ორგანიზატორებისა და მათი ხელქვეითებისაგან შესდგება. უცნაურია ყველაფერი ამ პროცესზე: ბრალდებულებს „იცავენ“ „დამცველები“, რომლებიც ბრალმდებლებისა და სასამართლოს თავმჯდომარისაგან არაფრით განირჩევიან; ბრალდებულ დიმიტროვს, მაგალითად, მისი დაკითხვის ოქმი თვალითაც არ უნახავს; პროვოკატორი ვან-დერ-ლუბე, რომელიც ასე გულახდილ და ფართო ჩვენებას აძლევდა გამომძიებელს, პროცესზე საეჭვოთ ენადაბმული ზის და მის მაგიერობას ასრულებს გამომძიების ოქმი, რომელსაც სასამართლოს თავმჯდომარე დაუზარებლად კითხულობს; ბულგარელ კომუნისტებისათვის დანიშნული თარჯიმანი ბრალდებულ ბულგარელ კომუნისტების ჩვენებას თარგმნის, რაც მოესურვება და ბრალდების მოწმეთა ჩვენებაში ურყევ არგუმენტად ითვლება „ვილაც“, „ოდესლაც“, „სადლაც“ და



ამხ. ბლაგოი პოპოვი

„რალაც“—ერთი სიტყვით იურიდიული თვალსაზრისით მეტად „ჰაეროვანი“ „საბუთები“. პროვოკატორი ვან-დერ-ლუბე იძულებულია ალიაროს, რომ ბრალდებული კომუნისტებს არ იცნობდა და ისინი არასოდეს მას არ უნახავს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის სასამართლოს თავმჯდომარეს ილაპარაკოს კომუნისტების კავშირზე ვან-დერ-ლუბესთან.

სამაგიეროთ სულ სხვანაირად მიმდინარეობდა რეიხსტაგის ცეცხლის წაკიდების საქმის გარჩევა, რომელიც ლონდონში მოეწყო მთელ რიგ გამოჩენილ ბურჟუაზიულ იურისტების მონაწილეობით. იქ, ლონდონში,



ამხ. ვასილ ტანევი

არა მარტო უდაოთ გამოირკვა, ბრალდებულ კომუნისტების სრული უდანაშაულობა, არამედ ნათელი მოეფინა იმ გზებსაც, რომლითაც ნამდვილად ცეცხლის წამკიდებლები ნაციონალ - სოციალისტები სახელმწიფოს სათავეში მოექცენ, ფარდა



**დ-რი ერნსტ ობერფორენი**

რეიხსტაგის ნაციონალისტთა ფრაქციის თავმჯდომარე, მოჰკლეს ნაციონალ-სოციალისტებმა რეიხსტაგის ნამდვილ ცეცხლის წამკიდებლების გამომჟღავნებისათვის ცნობილ მემორანდუმში.

ეხადა იმ უსაშინელეს ტერორს, რომლითაც ნაციონალ-დემოკრატები ამაგრებენ თავიანთ ბატონობას.

ლონდონის საზოგადოებრივ სასამართლოს მუშაობამ და „ყვითელმა წიგნმა", რომელიც შეიცავს სიმართლეს რეიხსტაგის ხანძრის შესახებ, გზა-კვალი დაუბნია ლეიპციგის სასამართლოს ორგანიზატორებს: ვერ ახერხებენ რა ბრალდებულ კომუნისტებისათვის წაყენებული „ბრალდებების" დამტკიცებას, მათ უხდებათ მიმართვა ათასგვარი ხრიკებისათვის, რომ დაფარონ ნამდვილი ცეცხლის წამკიდებლები, რომლებიც სამინისტრო სავარძლებში სხედან. პროცესის ყოველი დღე ახალ-ახალ ლახვარს სცემს მის სულის ჩამდგმელებს, ბრალდებულ კომუნისტების რევოლუციონური გამბედაობა გაოცებას და პატივისცემის გრძნობას იწვევს კომუნისტების კლასობრივ მოწინააღმდეგეებშიც კი მთელს მსოფლიოში. პროვოკატორების ბინძურ მახინაციებს ლეიპციგში უპირისპირდება შეუდრეკელი რევოლუციონური ნებისყოფა და პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების ურყევი რწმენა. 4 კომუნისტი უპირისპირდება პროვოკატორების, მკვლელობის და ჯალათების მთელ ხროვას, რომელიც უძლურია გასტეხოს წამებისაგან და ბორკილებისაგან დასუსტებული ოთხი გმირი რევოლუციონერის ფოლადისებური ნებისყოფა, რადგან ათეული მილიონები სდგანან მათ უკან, რადგან გერმანიის მუშათა კლასი, კონცენტრაციული ბანაკების და სასიკვდილო განაჩენების მიუხედავათ, კომპარტიის ხელმძღვანელობით გმირულად იბრძვის, რომ დაამხოს 5 მარტის გმირების რეჟიმი. თავის შეურყეველი რევოლუციონურ რწმენაში, მუშათა კლასის ერთსულოვან



პროვოკატორი **ვან-დერ-ლუბე**

თანაგრძნობაში პოულობდენ ისინი ძალებს იმისათვის, რომ დაიცვან თავი, დაიცვან კომუნიზმის პრინციპები.

## პოლიარული წრის იქით იზრდება ქალაქები



მეფის დროს უპატრონოდ მიტოვებულ ყრუ ჩრდილოეთი ცოცხლდება და ებმება სოციალისტური მშენებლობის ფერხულში. მურმანსკში მიმდინარეობს დიდი მშენებლობა. სურათზე—ქუჩების მოკრიწყვლა მურმანსკის ერთ-ერთ ქუჩაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახალი ნასაკირალი

ნოე ზომლეთელი

მგზავრო შეხედე წუთით ამ ადგილს
და დასავლეთით გახედე ბორცვებს.
აბა თუ ხედავ სადმე ტყის აჩრდილს
და ეს ცვლილება თუ არ გაოცებს?!
გადაპარსული მთის ფერდობები,
ბარით და თოხით ნიადაგ ფხვნილი,
ქედიანები თუ ბეგობები
და ვით ყმაწვილი ვაჟის ქოჩორი,
გზებით შუაზე გადაყოფილი...
გზებიც რა? ხელისგულივით სწორი,
რომ თვალი გრჩება ზედ კმაყოფილი.
შეაღე კარი, ნუ შიშობ, შედი
არ შემოგხვდება გზაში ფირალი,
სტუმართ მოყვარედ მიგიღებთ ქედი,
ეს კულტურული ნასაკირალი.
და აპატიე წარსული მასა,
როცა ბასრ ხანჯალს აბჯენდა ყელში!
დღეს აქ თვის ბედს სჭედს მშრომელი მასა
და ძლევის დროშაც უპყრია ხელში!
წა, ბევრ საუნჯეს იხილავ იქით,
ქედებს და ქედებს, შუა მომწყვდეულს:
წამოჭიმულებს კოხტა სიჯიქით
შენობებს მკვიდრსა და ანაზდეულს.
თვალწინ იზრდება ნორჩი კედელი,
კედელს კედელიც დოლში უდგია,
იკურთხოს ხელი, მისი მჭედელი,
თუმც უმისოდაც ის ნაკურთხია.
მშრომელი კლასი ჰქვია ამ მჭედელს,
უდაბურშიც რომ აჰყავს კედელი,
ის შრომაშიაც ჰგავს რკინის მკვნეტელს
და ციხეც არ სწამს აუღებელი.
აბა, ეს კუთხე, ვსთქვათ, ვინ იცოდა,
რომ გახდებოდა ასე წარმტაცი,
სადაც დღისითაც კი მხეცი ძრწოდა,
ან მხეცებრ ტყეში გაჭრილი კაცი..
და მაგალითიც ხომ ბიჭინაა,
თუმცა ტყვე თითონ სტეხდა აქ ციხეს,
ეს ტყვეც ხომ აქ დღეს არ იხევს.
არის გარღვევა თუ ჩამორჩენა,
ბიჭინაც იბრძვის პირველ რიგებში,
ენტუზიაზმის მისებრი ჩენა,
ბევრს არც—კი ძალუძს მუშა ბიჭებში.
და თავდადების პირად მაგალითს,
ამ ხანში შესულ მებრძოლი გმირის
ვაგლახად აბა ვინ მოუქნევს თითს,
ვის სურს გამოცდა ლხინის წილ-ჭირის?
აბა, ბიჭებო—დასძახებს მუშებს,
ვით უერთგულეს თავის მეგობრებს,
და ამ ძახილით გულში ცეცხლს უნთებს,
ვით ადრე ომში წითელ მეომრებს.
როცა უტევდა მტერს პოლიტიკურს,
რომელსაც მარცხთან აჩრობდა ბრაზიც,
რადგან მებრძოლი სცნობდა გზას ჯიქურს,
სულ წინ მიჰქონდა ცეცხლიც და ხაზიც?..
მან უკან მხოლოდ ერთხელ იხია,
სამოქალაქო მომგებმა ომის,
როცა მკითხველმა მისი იხილა
ნასაკირალზე დაწყება შრომის
დღეს, ხომ ეს შრომაც, ვით იგი ბრძოლა.
იმარჯვებს მტერსა და ბნელს წარსულზე.
დღეს ჩვენთვის ასეთ გმირების ყოლა,
თითოა, როგორც „მისწრება სულზე“.
სულზე უტკბესი ეს გმირებია
დღეს კომუნიზმის მშენნი, მგებელნი:
ურეკები თუ ყამირებია
მათ აღარ რჩებათ აუღებელი!
სადაც კი მათი შრომა ენთება
უიმედობის ჰქრება თვით ლანდი,
ვით ეს ტყე გაქრა და იქ შენდება
ნასაკირალის ჩაის გიგანტი.

—არა, ეს ჩაის ტერიტორია
ამ კაცს ამდენად როგორ იზიდავს?
თუმცა ის წითელი დირექტორია,
მაგრამ დირექტორს, აბა რითი ჰგავს?
ჩიტიც ვერ ასწრებს დილით ადგომას
ტანზედაც ისე სადათ აცვია
და ეტანება ყოველგვარ შრომას,
თითქოს უბრალო შრომის კაცია.
და ამავე დროს მამულს განაგებს,
მამულს კი მოვლა დიდი სჭირდება:
ამ ჯავს და გვიმრებს რომ აჩანაგებს,
რა, მიწა თუ არ გადაბრუნდება.
თუ მუშა ხელი ვერ მოაგვარა
ან კიდევ შრომის მექანიზება,
თუ დროზე თესლი არ მოაყარა
ან სხვამ უმუხთლეს შრომის მიზნებმა.
აქ რომ ერთი დღე მოუცდეს შრომა,
საწარმ გეგმაში თვე მოაკლდება
გაზაფხულ-ზაფხულ თუ შემოდგომა,
ის თითქოს ომში მტერს უმკლავდება.
აი, ამ ზაფხულს ჰქონდა გარღვევა,
არ ისვენებდა არც დღით არც ღამით,
სანამ ვერ შესძლო ამის დაძლევა,
და ასე წინსვლა მეტ სითამამით.
მოვა ზამთარი, და საზრუნავი,
თითქოს სამ დროზე მეტიც გაჩნდება,
სანამ წისქვილად თავზე მბრუნავი
ეს წელიწადიც არ დამარცხდება,
და გამარჯვებას, სრულ გამარჯვებას
არ დაუტოვებს იგი ბიჭინას!.
ასე აცილებს რა წელთა წყებას,
მიღწევებს თითქოს ხელით იჭერავს.
ხვალინდელ დღესაც ხამ თვალს უსწორებს
და უზრდის მამულს მომავალ კადრებს!
არ ჰგავს ქედმაღალ სხვა დირექტორებს,
უბრალო ბავშსაც თავს გაუყადრებს.
მხოლოდ კი ყველამ იცოდეს ვალი
რეკონსტრუქციამ რაც დააკისრა;
უჭრიდეს ყური, უჭრიდეს თვალი
და ჰქონდეს მიზნად სწავლა და წინსვლა
ჯერ კიდევ ძვირობს საქმის მოყვარე,
საძის ერთგული ბლომად სჭირია,
აქ კი პირველი მისი დამხმარე
ადგილობრივი კომკავშირია.
პარტუჯრედია თუ ადგილკომი,
როცა საკითხში ხედავს სიძნელეს,
კომკავშირული ჩაღდება ომი
და გააქვთ ლელო ყრმა ლენინელებს.
აქ დირექციაც მუდამ მზად არის:
ხელის შეწყობა ომს არ აკლია,
სამკუთხედში, რომ თანხმობა არის,
სჭარბობს მიღწევა, მცირე ნაკლია.
არა, ასეთ სწორ ხელმძღვანელობას,
ყველა მამული ვერ დაიკვეხნის,
რგებს მარტო არა ამ მშენებლობას
სიქადულია ის მთელი ქვეყნის.
არ ნახავთ ასეთ ამხანაგს არსად,
როგორც შრომის გმირს და ბრძოლის რაინდს,
იცი, ქალაქს რომ ეფიქრნა ასვლა,
სახკომისრობას მისცემდენ მაინც.
მაგრამ იმ მამულს რომ არ შორდება,
ახალს ხუთწლედშიც მას მიემაგრა
და კვლავ წლით წლობით განმეორდება
ჯიშიან ჩაის თესვა თუ დარგვა.
და ჩაის გიგანტ მამულის ზღვარიც
გაიწევს როგორც ვაჟკაცის მკერდი,
დიდი ეწერის თუ ფიჩხისჯვარის
შიგ მოექცევა ვაკე თუ ფერდი.
და სადაც ადრე კან-ჩამწკარ გლეხებს
ედგათ უბირი ქოხი თუ ფაცხა,
ჯერ ქალამნები რომ სჭრიდათ ფეხებს.

კვლავ დასაპლნილი ქონდათ მათ კაჩხა.
სასახლეები გადიჭიმება
დაემსგავსება სოფელი ქალაქს,
გადაანათონ ელვის სიმებმა
უნდა სოფლების შუკებს და ტალახს.
რათა ამოშრეს იგი ტალახი
და განიკურნოს გლეხების წყლული,
აღსდგეს სოფელი, ჯერ არ ნანახი,
ხვედრით, იმედით მტკიცე და სრული.
აი ბრიგადას მისდევს ბრიგადა,
მოჰყვებ მზარველნი მეთოხეთ გუნდებს.
მათ სიჩაუქეს ვჭვრეტ იმრიგადა,
რომ თავს ვერ ვუჭერ საკუთარ კუნთებს!..
და მიკროის ტანში კუნთი ყოველი
მეწევა თვისკენ მათი რიგები,
ბრიგადირობას თუ არ მოველი,
უბრალო მუშად მაინც ვიქნები,
რომ ხვდეს წოდება ჩაის დამრგველის,
მქონდეს უნარიც ამ საქმის სწრათის.
ვატარებ სახელს მუშა-დამკვრელის,
შრომა და ლაზათს წითელი დაფის.
და თვალიც მარცვლავს წითელ დაფიდან:
გვიმრაძე სიკო, გვიმრაძე ნიკო!
ამდენ გვიმრაძეს ნეტა საიდან?
რომელ კუთხეს თუ სოფელში იყო!.
ეს გვიმრიანის კოლმეურნეებს
მთელი ბრიგადა მოუგზავნიათ,
სოცშეჯიბრში რომ მართავენ დღეებს,
დამკვრელები რომ სულ ყველას ქვიანთ.
ხუთი გვიმრაძეც წითელ დაფაზე,
ამიტომ არის გამოჭიმული,
ეს შრომის ჯილა და სილამაზე
და მუშა-კაცის წინსვლის სტიმული.
და მეც ამ დაფას რომ ვაკვირდები
და ამ უბრალოს ვკითხულობ გვარებს.
ვატყობ, თუ ტანში როგორ ვიზრდები,
გული ვით მკერდში ცემას უჩქარებს.
ვიზრდები ვით ეს ჩაის გიგანტი,
ვმაღლდები, როგორც კომუნის დროშა,
ისე, რომ ცით მზეს ჩამოვიტანდი,
რომ არ სჭიროდეს ის ჯერ კვლავ დროსა.
აბა ცეცხლი თუ ელნათურება
უღელში როგორც ხარი გვიბია:
ჩვენ ვართ ძველ წესთა გაადგურება
და ჩვენი ბრძოლაც ამის ქლიბია!..
არ დამიჯერებს, ვიცი, ხვარამზე
და ასტეხს დავას ყოველ იოტზე,
თქმულს თუ კვლავ დავსძენ ახალს სხვა რამეს
რეკონსტრუქციულს ჩვენს პერიოდზე.
—საინტერესო ხანაა ბეჩა,—
მიუბრუნდება ის ისევ მზეხას.
ნასაკირალს თუ სახელიც შერჩა
როცა გაუძლო ამ თავის ტეხას!
და იქვენებულად ორი ბებერი
საიქიოდან მომიბრუნდებ...
მაგრამ მე კვლავაც მაქვს სათქმელი ბევრი
და ჩემი აზრიც ამას უნდება!..
სათქმელი განა ნასაკირალზეც
ახალ ხუთწლედში ცოტა სწერია?
გაიწევს, გავა ის ზახვის წყალზეც
სად ფიჩხისჯვარი თუ ეწერია.
გაიწევს ჩაით მთელი გურია
რაიონების ჩაისა მთელი!
სოციალიზმ-ს ეს აგურია,
წინ კი სადგური, სასახლე ვრცელი.
თვალწინ იზრდება მისი კედლები:
კედელი კედელს ემეტოქება...
იკურთხოს ქვეყნად მათი მჭედლები
და ხელს, მათ მამრთველს ვაშა და ქება.

*) ერთი თავი პოემიდან.

ის წინ უთითებს, ბრძოლის პარტია
აძლევს გეზს სწორი მიმართულებით
და იწერება ძლევის პარტია
გიგანტებითა და სართულებით.
ასე ვიზრდებით და თვით სიკვდილიც,
ციცი ამ ზრდის წინ არა ერთს დასთმობს,
ვით მზის წინაშე სთმობს ღამეც დილით
მზეც ძლიერობს და ხალისით გვათბობს.
დღეც ძლიერდება ხოლმე მაისში,
რომ ამ ხალისით ბუნება სტკბება.
კაცზეც ხომ ვამბობთ შრომის ხალისში
მხნეობს, მზეობს და არა კვდება.
მაგრამ თვით ტლანქი სიკვდილის საკითხს
დავსვამთ ჩვენ ალბათ, ერთ-ერთ ხუთწლედ
ში:

მის წინ სიკვდილიც საფლავს გათხრის
შეგვეხაცვლება ამრიგად ბედში.
თავის დროზეც ხომ ბევრს არა სწამდა
სოციალიზმიც ერთ ქვეყანაში?
ეს დღე იმ დღიდან ხომ არა სჩანდა,
დავეთანხმები მეც ბევრს ამაში.
მაგრამ ჩაქუჩი გრდემლზე გახურდა
და ალაპლაპდა ნამგალი მკაში
და გამარჯვებაც ბევრს თუმც არ სურდა.
გამოიჭედა მაინც ამ ხმაში!..
ქარხნებს ქარხნები გვერდს აეტუზა
კოლექტივებს კი კოლექტივები,
მუშად გადიქცა პოეტის მუზა
და ხორბლის ხვავად კი მზის სხივები.
ზაჰესს, რიონჰესს სდევს ჰესი სხვაც,

სოციალიზმიც ამით მზად არი,
გვეხევა სხვასთან—საბჭოთა ჩაიც
და აგარიდან ჩვენი შაქარი.
ეს შეპირება ზღაპრებს ხომ არ ჰგავს
ან ამბიონით მღვდლების ცხონებას?
მას შემომქმედი თვისი კლასი ჰყავს,
პარტიაც სჭედს ამ კლასის გონებას.
და რომ ახდება ყველა აღთქმული,
ყველა ხუთწლედის შენაპირები,
ამის რათ უნდა სიტყვა ჩართული,
აქ თ...ქდებიან შრომის გმირები.
ვით ჩაის გიგანტ ნასაკირალის
სულის ჩამდგმელი არის ბიჭინა.
ვით აც იცვალა ბედი ფირალის,
გმირის ადგილი რომ დაიჭირა.

# კადონა

ნოველა: **იაკინთე ლისაშვილი**

ობოლა მოქანცული დაეშვა იატაკზე. ორივე ხელები მუხლებზე დაიდო, ზევიდან თავი ჩამოდო და ახმაურებულ გულის ცემას ყური დაუგდო:

„რატომ აგრე გუგუნებ გულო, არაფერია ჩქარა მოისვენებ, დიდხანს აღარ შეგაწუხებ... ნაირა! შენ ალბად გაოცებული დადიხარ ეხლა და მე დამეძებ, რომ შემეძლოს შენს ფიქრთა სხივებზე გადმოვიარო და თქვენთან მოვიდე! მაშინ გზა ყველა ჰორიზონტზე გაშლილი იქნება... ეჰ, ერთი პატარა სიამის წვეთი დაეცა ჩემს პატარა ცხოვრებას და სიხარულის სიომ გულში სხვა ნაირი, რაღაც უჩვეულო ხმის გამღები ფოთლები შეარხია და... ეს იყო ალბად ჩემთვის პირველი და უკანასკნელიც... ახლა კი შეგიძლია სხვებს გაუღიმო და ჩემი მეგობრები არ მოაწყინო. ეგეც კარგი სამსხურის გაწევა იქნება ჩემო ნაირა, გაზაფხულის სურნელებით მოსილო, ახლად მოსულ დანამულ ბალახივით ნორჩო ნაირა! ცხოვრება ასეთია. ჩვენც ასეთები ვართ და ასეც მოხდება... პირველად ცრემლები, ცოტა ხნით კიდევ მოწყენა, შემდეგ გაღიმება, ბოლოს ხარხარი და ამის შემდეგ ყველაფერი რიგზე იქნება“..

ობოლა მოსხლეტილი დაეშვა იატაკზე პირალმა გაიშალა და უნებლიედ თვალები დახუჭა. ბუნებამ მაინც გაიტანა თავისი: ის ნახევრად ჩაძინებული აჩქარებით სუნთქავდა, ხშირად ბორგავდა და რაღაც უცნაურ ბურუსში გახვეული უაზროდ ბუტბუტებდა... ზოგჯერ ტკბილ სიზმრებს მოქნეულ მახვილებით გულს უპობდა სასტიკი სინამდვილე, ზოგჯერ ამ სასტიკ სინამდვილეს თავის მხრივ ტკბილი სიზმრები წამოეპარებოდენ, ბოლოს მოუღებდენ მას და ასე დაუსრულებლად...

მან მეორე დღეს შებინდებისას კიდევ გახილა თვალები...

— სად ვარ მე—უეცრად გაიფიქრა და ამღვრეული თვალთახედვა კედლებზე სწრაფად შემოატარა — წყალი, წყალი! ვიხჩვები. ვინ არის ვინ არის აქ?... დაიყვირა მან, პირი დაალო და გამხმარ ყელიდან გახურებული ორთქლი ალივით ამოვარდა... და ისევ იგივე, ისევ იგივე და კიდევ უფრო მეტად სასტიკი სინამდვილე.

— სადღა არიან? დე, გაათაონ! მეტის ატანა მე აღარ შემიძლია. მოვიდენ ბარემ, ჩქარა მოვიდენ და მალე გაათაონ! ჰეი, ვინ არის მანდა! აქეთ, ჩემსკენ, გამოიარეთ, მე მზად ვარ, მე გელოდებით“

ჯერ კიდევ არავინ ჩანდა, მან ისევ ჭუჭრუტანებს მიაშურა და გამალებით ათვალიერებდა მახლობელ მიდამოებს:



ამხ. ჟორჟოლაძე
ამიერ-კავკასიის რკინის გზების მე-2 რაიონის პოლიტგანყოფილების უფროსი.

„ისევ იგივე მთები, იგივე ნაძვის, დამუნჯებული ხეები ახლა თხელ ბინდში ჩამჯდარი ნაძვისა და ფიჭვის ხეები, ვის ელოდებიან, რას უცდიან აქ ეს ხეები? თითქოს პაემანზე არიან გამოსულნი და გულში შენახულ სიხარულით უსიტყვოდ დგანან. მთებიც ხომ დგანან? დამუნჯებულნი და მედიდურნი. ალბად ისინიც ელოდებიან მეორე საუკუნეს, რომელმაც ადამიანთათვის ფრთებ შესხმული სიცოცხლე უნდა მოიტანოს. შორს არის ეს საუკუნე? ყოველ შემთხვევაში ჩემამდე აღარ მოაღწევს, ალბად ასეთ უბრალო მომაკვდავებისათვის ნაბიჯებს არ აიჩქარებს და მოდის იგი თავის გზით, დინჯად, მედიურად და ამაყის გამომეტყველებით“.

ალბათ ასეთია ცხოვრების კანონი, ზოგიერთნი აუცილებლად უნდა დაიღუპონ, მძლავრად ამოქმედებულ ეპოქამ მხრების შერხევით სადმე გასრისოს, რომ სამაგიეროდ უზრუნველყოფილ იქნეს უმრავლესობის გადარჩენა და კაცობრიობის, უფრო საიმედო და უფრო ბრწყინვალე სიმაღლეზე აყვანა: და მერე ამ უბრალო, ერთი უბრალო ადამიანის სიცოცხლე, ხომ არაფერს უშლის ამ ვებერთელა, მსოფლიო მნიშვნელობის მოლენას?

„ვინ იცის ალბათ ჩვენისთანების სისხლი აუცილებელი პირობაა ამისათვის. სხვანაირად არ შეიძლება, სხვანაირად არ მოხერხდება. და იფიქრებს ვინმე, სადმე და ოდესმე რომ უამრავ მსხვერპლთა შორის ერთია, ერთი სოფლელი ბიჭი, ყოფილი მოჯამაგირე? თუ არ იფიქრებს დე, შეუერთდეს ჩემი მსხვერპლი იმ უამრავ მსხვერპლის საერთო კრებულს, რომელთა სახელი საერთოდ იქნება ხსენებული და სადმე ჩაწერილი. მე თქვენთან მოვდივარ ძმებო, თქვენთან, დაღუპულთა საერთო კრებულში, მოვალ მეც და თქვენც

მიმიღებთ. მე ასე მგონია, ასე ვარ მე დარწმუნებული და ალბად არ ვცდები“.

***

კაცის გული მთელი სივრცეა, მთელი სამყაროა ამაყოფენისა, სადაც ზოგჯერ განუწყვეტლივ ეცემა გრძნობათა მდუღარე წვეთები, კროთის უშურესი და უსპეტაკესი ლაჟვარდები, გრიალებენ ათასხმოვანი სიმძაფრით დასეტყვილი მელოდიები და გუგნებენ გაშმაგებულ ოკეანეს უსაზღვრო ტკივილები...

მაინც საოცარია: ვინ იცოდა თუ ასე ძნელი იქნებოდა სიცოცხლესთან გამოსალმება, ყველაფერი, ყველაფერი ერთად წამოიშალა ეხლა და ობოლას ყელში ჩაკეტილ სუნთქვას უმოკლებს... სიცოცხლე, სიცოცხლე! ფაფარ აყრილი, ცამდის ამაღლებული და ვარსკვლავებთან შეერთებული სიცოცხლე.

„მაშ ჩქარა მოვლენ? არაფერია, მე ხომ მშიშარა არა ვარ და უბადრუკი ჯიშის ადამიანი, მოვიდეს, ჩქარა მოვიდნენ და გაათაონ. მეც მტკიცე, ურყევ ნაბიჯით მიუახლოვდები დასასრულის წუთებს და თავში ავარდნილ სისხლის ჩრქოლვას მალე შევაჩერებ...

და ის მართლაც გასწორდა წელში. ვაჟკაცური გამომეტყველება მიიღო და კარებისაკენ მტკიცედ წავიდა. თითქოს განგებ, თითქოს წინასწარ გულმა უაზრა ობოლას, რომ სწორედ ამ დროს მივიდოდენ მასთან და სწორედ ამ დროს გააღებდენ ისინი გარედან მაგრად მოკეტილ კარებს.

უეცრად, კარებთან, შიგნიდან მომდგარ ობოლას თვალებს გარედან მოეგება მარპეს ამღვრეული თვალები და მას პირველად კიდევაც გაუკვირდა თუ ასე რამ გამოაცოცხლოეს ნახევრად მკვდარი, ნაცემი, უშმელი და უწყლობით წამებული ადამიანი, რომელიც ახლა მათი ანგარიშით ყოფნა არ ყოფნასთან უკანასკნელ ჭიდილში უნდა ყოფილიყო.

— მობრძანდით! — მტკიცედ და თანაც დამცინავის ხმით მიაძახა ობოლამ მოსულთ და გზა დაუცალა.

— მხიარული ხარ! — მოკლედ მიმართა მარპემ ახლა რალაც ირონიულად გაღიმებულ ობოლას — ალბად უკვე შეასრულე ჩვენი დავალება.

ობოლა კვლავ ირონიულად იღიმება და გულში გაივლო: „განა არ ვიცი რომ თქვენი ამოცანის შესრულება კიდევ მეტად დააჩქარებდა ჩემს დასასრულს სხვა ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ? და შევეწირო? ახლავე? არა! ასე არ აჯობებს, ვინ იცის სრულიად მოულოდნელად, სრულიად შემთხვევით სადმე ამ ჩაკეტილ კარებშიაც შემოყოს ხელი სიცოცხლის მცირე ნიშანმა და რალას ვიჩქარი. წყურვილი? სიმშილი? ეს არაფერია! თუ მომკლავს მოვკვდე და ამით გათავდება“.

— ა, მზად არის?—ისევ შეეკითხა მარპე და პასუხს გაუნძრეველ ხედვით დაელოდა.

— დილით! — მოკლედ მოუჭრა ობლამ და სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— ნუ ეთამაშები! გამოვათრიოთ და!—მუშტის ღერებით და თვალების ბრიალით ჩაერია დონჯა და წინ წამოდგა.

— მოიცა!—შეაჩერა ის მარპეს ძლიერმა მკლავმა და მან ისევ ობოლას მიუბრუნდა, — ხუმრობა კმარა! გვითხარი გადაჭრით თორე!..

და ყელში მომდგარი ბრაზი მარპემ ძლივს შეაჩერა.

— მე აღარ ვხუმბრობ გადაწყვეტით ვამბობ და იქნება.

— წავიდეთ! — თითქმის ყვირილით მიმართა მარპემ დიონჯას და უკანვე სწრაფად გაბრუნდენ. — ვნახოთ ეგ დილაც ჩქარა იქნება და ვნახოთ, — გარედან დაიძახა მან ისევ მაგრად ჩაჰკეტეს და წავიდენ.

***

ობოლამ ჭუჭრუტანებიდან გახედა წასულებს, რომლებმაც იქვე შეუხვიეს და ტყეს მიეფარენ.

ამ საღამოს ჩამავალი მზის აფერადებული სხივები კარგა ხანს უცქერდენ იმ მაღალ მწვერვალებს. ალბად ეს მზის უკანასკნელი ამბორი იყო დედამიწისადმი მიძღვნილი. ალბად ბუნების ძალებიც კი ეტრფიან ერთმანეთს. ადამიანის გულიც ხომ სავსეა ათასგვარ მგზნებარე გატაცებებით ის რაც გულშია და სულს ამღელვარებს სადღაც მიილტვის თავის გზას, თავის დასაყრდენს საგანს დაეძებს. ალბათ იპოვის. თუ ვერ იპოვა? დაიტანჯება, უსათუოდ დაიტანჯება ადამიანი. ჰეი საქონლის შლოდითა და ნეხვით აშმორებულო შავო ბუნაგო—იყვირა ობოლამ და მსხვილ მორებით შეკრულ კარიკს თვალი მოავლო. ფრჩხილებით, ან კბილებით მაინც შეეძლოს ამ ჯავლაგ მორების გაგლეჯა. არც ერთი ჯოხი, არც ერთი ნასახი რაიმე საგნისა, არც თოკი ყელზე, რომ მოიბას... წყურვილი, ცეცხლმოდებული, დაუსრულებელი წყურვილი.

„რა კარგია, ო, ჩანჩქერებო! ნეტავი ეხლა მომაქცია სადმე თქვენს ფსკერზე, რომ დაღებული პირი მოუშვირო ზევიდან გადმოვარდნილ ჩანჩქერებს და მთელი წყალი უეცრად შევისუნთქო. მეყოფა? ჩანჩქერიც რომ გამოილიოს? ერთხელ ხომ მაინც მოვიბრუნებ სულს, ერთხელ ხომ მაინც ამოვისუნთქავ თავისუფლად და ესეც კარგია...

***

მწარე, გაშმაგებული, ნაღვერდალივით გახურებულ სხეულის გაცოფება. ღამე, უსაზღვრო, წამებაჩაღვრილი ღამე. ყველაფერი, ყველაფერი დავიწყებულია ყველაფერი დაშორებული და წასულია.

უკვე საბოლოოდ გაქრა წარმოდგენა გარეშე სამყაროზე, რაიმე ფიქრის ყველა ძაფები, კარგა ხანია ჩამოწყდა ხეებს, მთებს, საყვარელ ადამიანებს და ყველაფერი, ადამიანის ყოველი შესაძლებლობის ძალები ახლა მხოლოდ შინაგან ჭიდილზე შინაგან, გაუთავებელ წვაზე გადავიდა.

რომ შეიძლებოდეს სისხლის, საკუთარი სისხლის დალევა, რომ შეიძლებოდეს სიცოცხლის საკუთარ ხელით შეჩერება, საკუთარ ხელით ჩახშობა. ბედნიერება, ეს ხომ დაუსრულებელი ბედნიერება იქნებოდა...

---

**ბრძოლა ტეხსამფინზეგმების შესრულებისათვის „26“-ის სახელობის ქარხანაში.**





1) ამხ. ჩხეიძილიძე ქარხკომის თავმჯდომარე. ტეხსამფინგეგმის გატარების ორგანიზატორი „26-ის“ სახელობის ქარხანაში (თბილისი).

2) ქარხნის საშეფო სკოლების მოწყობილობის რემონტის საქმის დამკვრელი ამხ ხოშტარია.

კუთხეში სულმობრძავად მიგდებულ ობოლამ თვალი გამოახილა: „მზე ამოსულა. ქვეყანა ისევ გარედ ყოფილა, საოცარია, როდის მოვიდა დილა, ან როდის წავიდა ღამე. — გადავაბიჯე თუ არა მე სიცოცხლის საზღვარს! იქ მწვერვალებისაკენ, თოვლის ფიფქით შესუდრული ნაძვის ხეებს, ნაძვის ხეების ქვემოდ გორაკები—ვინ არიან ისინი? და ხეები ფეხით მოდიან, ალბად ეს არის ბოლო სიზმარი... ყოფნა არყოფნის ფსკერზე დასულ სიცოცხლის. დამუნჯებულხართ ახალო მთებო და ელოდებით რამდენი სიცოცხლე წარმოიშვება და ისევ ჩაკვდება თქვენს წიაღში, რამდენი მზე და მთვარე გადაივლის თქვენ გრიგალებისაგან თეთრად შევარცხნილ თავზედ,—რამდენჯერ აენთება და ისევ ჩაქრება თქვენ ხევით უთვალავ ვარსკვლავებით შეჭედილი ცა... მაგრამ ხეები ისევ მოდიან? თვალებო ჩემო! სად ვარ მე? ნუთუ ეს ისევ სიზმარია და მოჩვენება? არა, არა?! მე აქ ვარ! მე ისევ ცოცხალი ვარ და ისინი ჩემი მეგობრები არიან! წამოდექი, ჩქარა ფეხზე წამოდექი უსუსურო სხეულო ჩემო და მკლავვებ,გაშლილი მიეგებე მოახლოებულ სიცოცხლის ნიშანს.... მაგრამ ჰე, ეს არ შეიძლება, სურვილები ყოველთვის უსწრებენ სინამდვილეს. რამდენ ათასი ფუთი ყოფილა ჩემი თავი და კიდევ მეტი ჩემი სხეული... კარგად დავინახო — მეწისქვილე მოხუცი?! და ისინი ვინღა არიან? დონჯა და იგი ახმახი? ჰეი?!—უხმოდ თავის გულშივე დაიკივლა მან, როცა მარპესა და დონჯას სხეულებმა მოახლოვებულ შვების სხივი შუაზე გაჰკვეთა. უნდა დაეძახნა მას, უნდა ავარდნილიყო ზეზე და ცამდე მისაწვდენ ხმით დაეყვირა, მაგრამ ეს შეუძლებელია, გამშრალი, უკვე ერთი მეორეზე სავსებით დადუღებული პირის გაღება შეუძლებელია...

ობოლამ აქ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, სხეულში წერტილებად დარჩენილ სიცოცხლის ნიშანს თავი მოუყარა და კარებთან ძლივს მიჩოჩდა. „უნდა მოასწრონ“—გაიფიქრა მან, კარზე შიგნიდან გაკეთებულ რკინის სახელურს ძლივს მიწვდა და შიგ მკლავი დიდის წვალებით გაუყარა.

გარედან მოვარდნილი მარპე და დიონჯა გააფთრებით ეცენ ამ კარებს რომ ობოლასათვის გაჭიანურებული სიკვდილი საბოლოოდ შემოეტანათ.

მაგრამ რა მოხდა? შიგნიდან ვის უნდა ჩაეკეტა კარები? და ისინი ძაგრად ეცენ ამ კარებს. მთელის ძალით თავისკენ ეწეოდენ მას მაგრამ...

და ობოლამ იგრძნო გარედან მის ფერდში შეუმჩნევლად ჩასული ხანჯლის სიმწვავე, სადღაც თითქოს სამარიდან ამოძახილი. გინების ხმა, სროლა, კვამლი და ამის შემდეგ ყველაფერი დავიწყებას მიეცა...

და კადონამაც შეუმჩნევლად დაჰკარგა სიტყვა. ტუჩები ერთმანეთს მაგრად დააჭირა და თვალები დახუჭა... ჩემი გული და სულიც აფორიაქდა: არ ვიცოდი თუ რა მოხდა მას შემდეგ... არ ვიცოდი თუ რა მოსდის კადონასაც და მე უნებლიედ, მწუხარებასთან შეერთებულ გრძნობების ღელვებით შუბლზე ცივი ხელი დავადე მას და მიბნედილ თვალებში კარგად ჩავხედე.

მან თვალი გამოახილა. სახეზე უაღრესი, მეგობრული, პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით მომაჩერდა, შემდეგ თვალები ისევ დახუჭა და ძლივს წარმოსთქვა:

—ეგ არაფერი მეგობარო. ბევრი აღარ დარჩენილა და ჩქარა გავათავებ...

და კადონამაც განაგრძო:

— ობოლას გაოცებას საზღვარი არ ქონდა. მას ვერ წარმოუდგენია თუ სად არის. ზევით თითქოს ცა უნდა იყოს, დიახ ცა და სილურჯეში გაჭცეული თეთრი ღრუბლები... და თითქოს ის აკვანში წევს, სივრცეებში ამ თეთრ ღრუბელთა შორის ამაღლებულ აკვანში წევს და სადღაც მიილტვის. ოჰო, დედამიწა? მთები? ხეები? და მეწისქვილე მოხუცი გასაგებია საიდან და როგორ ამხანაგებო! არაჩვეულებრივი სიხარულით დაიძახა მან თავის გულში და ამხანაგებმა ის საკაცურზე დაკრული დაუშვეს ძირს მთის კონცხთან.

ობოლას ამხანაგების სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ისინი გაჩირაღდნებულ სახეებით გარს შემოერტყენ მეგობას და სიცოცხლით სავსე გამომეტყველებით დაჰყურებდენ მეგობრის ახლად გახელილ თვალებს.

ობოლა ხმას არ იღებდა. ის პირს ვერ აღებდა, მაგრამ თავის ოცნებაში უკვე გადაჰკოცნა ყველა, ახლა მის გარშემო იმედის ფრთებად შემომსხდარი ამხანაგები... და ყოველივე ეს მოხდა რაღაც სხვანაირი, ყველაფრის მომქმედ და ყველაფრის ერთად გამომსახველ გამომეტყველებით...

— იცნობ? — ღიმილით კითხა ობოლას ერთ-ერთმა უახლოესმა მეგობარმა, რომელმაც შეპყრობილი მარპე და დიონჯა წინ წამოაყენა... ობოლას გული აუვარდა, სული უჩქროლა და.. მეგობრისადმი პასუხად თვალები დახუჭა...

## ჩარლზ ლინდბერგი საბჭოთა კავშირში

22 სექტემბერს ლენინგრადში ჩაფრინდა თავისი ტრანსატლანტიკური გაფრენით (1927 წ. მაისი) ცნობილი ამერიკელი მფრინავი ჩარლზ ლინდბერგი თავისი ცოლის თანხლებით.



25 სექტემბერს ჩ. ლინდბერგი თავისი გიდროპლანით დაეშვა მდინარე მოსკოვზე, „დინამო“-ს სანაოსნო სადგურზე.

მოსკოვს ზოგიერთი დაწესებულებების დათვალიერებისა და საბჭოთა კავშირის ავიაციის მუშაკებთან თათბირის შემდეგ 1-ლ ოქტომბერს ჩარლზ ლინდბერგი უცხოეთში გაფრინდა.

საბჭოთა კავშირის ავიაციის მუშაკებთან საუბარში ლინდბერგმა განსაკუთრებით აღნიშნა, საბჭოთა ავიაციის და პრაქტიკული ექსპედიციების დიდი მიღწევები და გამოიჩინა ინტერესი ტრანსაქტიკული საჰაერო მიმოსვლისადმი.



ფოტო: ზაანოვის



# განთავისუფლებული ოქროს საწმისი

ნარკვევები კოლხიდმშენზე: ვლ. ზამბახიძე

## თავი პირველი

### ჰიპოკრატეს გეოგრაფიიდან

„ქვეყანა, რომელსაც ჩაუდის ფაზის მდინარე, არის ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და შემოსილი ტყით. მთელი წლის განმავლობაში აქ დიდი წვიმები მოდის. იქაურნი მკვიდრნი ცხოვრობენ ჭაობებში, წყალში იშენებენ სახლებს ხისას ანუ წკნელისას. გარედ გამოდიან მხოლოდ მაშინ, როცა ქალაქში ან ბაზარში უნდა წავიდნენ. ამ ქვეყანაში ბევრი არხია; შიგ უდგიათ მთლიან ხისაგან გაკეთებული ნავები და ამ ნავებით შემოუვლიან გარშემო თავიანთ მამულებს. ხმარობენ წვიმის წყალს, რომელიც არის თბილი, მდორე და აყროლებული სიცხისაგან. ფაზისს ყველა მდინარეებზე უფრო ნელი და მდორე მიმდინარეობა აქვს. ამ ქვეყნის ხილი ცუდი თვისებისაა, უგემური და წყლის სიუხვის გამო, არასდეს არ მწიფდება. წყლისაგან, რომ ნისლი ადის, მუდამ გარს არტყია ამ ქვეყანას. ამ მიზეზებს უნდა მიეწეროს, რომ იქაური მცხოვრებლები ეგოე განირჩევიან ყველა სხვა ერთაგან: ისინი ტანით მაღალნი არიან, მაგრამ იმოდენად მსუქნები, რომ არ უჩანთ არც სახსრები და არც ძარღვები. ფერი აქვთ ყვითელ-მწვანე, თითქოს სიყვითლით არიანო ავად. ხმა სხვებზე უფრო გაუთლელი აქვთ, რადგან სუნთქავენ უწმინდურს და სველს ჰაერს, ღინღლსავით სქელს. ყველაფერს ერიდებიან, რაც კი დაღლის. ამ ქვეყანაში ზამთარს და ზაფხულს შორის დიდი გარჩევა არ არის სითბო - სიცივის მხრით. აქ უფრო ხშირია სამხრეთის ქარი. ამას გარდა იცის კიდევ ადგილობრივი ქარი, რომელიც არის ფრიად ძლიერი, ცხელი და უსიამოვნო, ამ ქარს ეძახიან „კენხრონს". ჩრდილოეთის ქარი აქ იშვიათია და არ აქვს ძალა, არც მნიშვნელობა".

ასე მოგვითხრობს კოლხეთისა და კოლხიდელების შესახებ ბერძენი გეოგრაფი ჰიპოკრატე.

დაუსრულებელი წვიმები, ჭაობი, ღინღლსავით სქელი ნისლი და ამ ატმოსფეროთი მოდუნებული ადამიანის ორგანიზმი, ასეთი იყო დღემდე კოლხეთის დაბლობის სპეციფიკა საუკუნოების მანძილზე, დაწყებული იმ ხანიდან, როდესაც პირველად, შეითხზა კლასიკური ლეგენდა არგონავტების გმირულ მოგზაურობის შესახებ, ამ ქვეყნიდან ოქროს ვერძის საწმისის (მატყლის) დასატაცებლად.

ჩითოსის, ლეგენდის წარმოშობას აუცილებლად რაიმე რეალური ფაქტი უდევს საფუძვლად და ლეგენდის მთავარი ობიექტი კი, ადამიანის ლტოლვის სიმბოლოა.

არგონავტების მოგზაურობის ლეგენდა იმ დაუშრეტელ სიმდიდრის ნაყოფია, რომელიც რკინის, ოქროს და სპილენძის ზ... დებით იყო გაშლილი კოლხიდაში ... მისი მითიური მეფის, აეტის. მითიური ... რებს თავი და ფეხი სპილენძის ქონ... ხოლო გუთანი მათი რკინისაგან იყო ნა... თები.

მაგრამ არა მხოლოდ ლითონით ... ძველთაგან განთქმული კოლხიდა, ბე... ძენი ისტორიკოსი სტრაბონი სწერს: „კო... ლხიდა მდიდარია საუკეთესო ხილებით (... გრამ თაფლი კი აქ მწარეა) და ხომალდ... ბის საშენი მასალებით, რომელნიც გააქ... აქედან მდინარეების შემწეობით. ამას გა... და ამ ქვეყანაში დიდი წარმოებაა ხელ... კანაფისა, ცვილისა და კუპრისა"-ო. ხოლ... ლეგენდა იმავე არგონავტების მოგზაურ... ბაზე გვხიბლავს გენიალურ ფანტასტ... რობით იმის შესახებ, რომ მეფე აეტის ... სახლის ეზოში იყო 4 შადრევანი, დაფა... ლი ხშირფურცლოვან და ჩრდილოვან ... ზებით, რომელთაგან: პირველიდან ჩქ... და—რძე, მეორედან ღვინო, მესამედან ს... რნელოვანი ზეთი და მეოთხედან—წმ-ნ... ზროლივით ანკარა წყალი, რომელიც ... თრობით თბილი იყო და ზაფხულობით ცივი, როგორც ყინული.

* * *

საუკუნეების მანძილზე ინტუიტ... გრძნობდენ ჩვენი წინაპართა თაობები, ... იმ ჭაობების ფსკერზე, რომლებიც ... თიურ დრაკონივით დარაჯობდენ საქართველოს ვეებერთელა ნაწილს, უჭ... სოვლეშ ნიადაგის ჰერკულესებური ძალა, რომლის დამორჩილება, უხსოვარ დრო... ოცნებას ხორცშესხმულ სინამდვილეთ ... ცევდა და ზღაპრულ შადრევანების ნა... ვლად ხელსახებს აჩქეფებდა.

ეს ოცნების საგნად იყო დღემდე. დ... კი სოციალიზმის მშენებელ ქვეყნის ა... ლი იაზონები, საბჭოთა მუშები—და ინჟ... ნერ-ტექნიკოსები სიკვდილ-სასიცოცხლო... ბაკვეთენ კოლხეთის დაბლობის საშინ... დრაკონს, თხემლის ტყეებითა და მწვან... დამპალ წყლით დაფარულ ჭაობებს, რო... ჩვენს მშრომელთ დაუბრუნონ მის შე... ყუნცლ ნიადაგში ჩაფლული „ოქროს ს... წმისი".

ეს ბრძოლა რამოდენიმე წელია დაიწ... და ის დღითი დღე მწვავდება. ამჟამად უკვე ხელთ გვაქვს სრული გარანტია იმის, რომ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ენტუზიაზმი გამრავლებული საბჭოთა ტექნიკაზე ასეთივე გამარჯვებით დაასრულებს კოლხიდის მშენებლობას, როგორც ეს მოხდა დნეპრზე და მაგნიტოგორსკში.

### დაბლობის ზოგიერთი საანკეტო ცნობები

ისტორიულ კოლხიდას, ცხადია, ტერიტორიალურად ჩვენი დროის კოლხეთის დაბლობზე მეტი ფართობი ჰქონდა მოკავებული.

კოლხეთის დაბლობი ორას ოთხმეტი ათას ჰექტარს შეიცავს და მას დასავლეთით საზღვრავს შავი ზღვა, სამხრეთით ბათომის რკინის გზა (სადგურ ნატანებიდან სადგ. სამტრედიამდე), ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ფოთისა და შავი ზღვის რკინის გზა იმ პუნქტამდე, სადაც ეს უკანასკნელი ხვდება მდინარე ხობს, ხოლო მდინარე ხობიდან—ზუგდიდის გზატკეცილით მდინარე კოდორამდე.

მთელი ეს სივრცე (ძალზე მცირე გამონაკლისით) დღემდე წარმოადგენდა ჭაობების, კოღოებისა და მალარიის ბუდობს, ხოლო ადამიანი ამ სამი, გამანადგურებელი მტრით გარშემორტყმული უძლურად დამორჩილებოდა აქ გაჩენის ბედს, რადგან მისი მხსნელი არსაით ჩანდა.

კოლხეთის ჭაობების ამოშრობა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს გამანადგურებელ ბრძოლას მის წარმომშობ მიზეზების წინააღმდეგ, რომელთაგან: პირველია ატმოსფერული ნალექები, (1600—1700 მილიმეტრი საშუალო წლიური, მაშინ, როდესაც მელიორაციის განმარტებით 400 მილიმეტრ. საშუალო წლიური ითვლება ჭარბად); მე-2—მდინარეების ამოსვლა ჩაპირებიდან (მდ. ხობი, ტეხური, ცივი, აბაშა, ნოღელა, ცხენის წყალი, ენგური, ღალიზგა, რიონი, კოდორი, სუფსა, ნატანები და სხვა); გარდა ამისა დაბლობზე ხშირია ეგრედწოდებული „პარაზიტული მდინარეები", რომლებსაც არსად არ აქვთ გასასვლელი და წყალდიდობა-წვიმიანობის დროს ჩაპირებიდან ამოდიან. მესამე—მცირე ქანობები ადგილებზე.

კოლხიდმშენი იყოფა ორ ძირითად მასივად: 1) რიონის დაბლობი (ე. წ. სამხრეთის მასივი) და 2) ჩრდილოეთის მასივი, რომელიც მოქცეულია ხობსა და კოდორს შუა.

განსაკუთრებით დაჭაობებულია და ამიტომ უფრო ძნელი ამოსაშრობია სამხრეთის მასივი, ხოლო ჩრდილოეთისაკენ ჭაობების არე თანდათან მცირდება. ამჟამად სამელიორაციო მუშაობა მიმდინარეობს სამხრეთ მასივზე, რომელშიაც შედის შემდეგი უბნები: ჭალადიდის, (18.000 ჰექტ.) ციგე-ტეხურის, ანუ სენაკის (6.000 ჰექტ.) აბაშის (1700 ჰექტ.), აბაშა-ნოღელის (5.500 ჰექტ.), ნოღელა-ცხენის წყლის (4.900 ჰექტ.), აბაშა-ნოღელის (5.500 ჰექტ.), ნოღელა-ცხენის წყლის (4.900 ჰექტ.), მდ. რიონის მარცხენა ნაპირი ე. წ. სამხრეთი რაიონი (49.000 ჰექტ.) პირველი და მეორე საკოლმატაციო უბანი (9.000 ჰექტ.), სუფსა-ნატანების მასივი (3.500 ჰექტ.) და ქობულეთის უბანი (3.000 ჰექტ.).

საუკუნეების მანძილზე დაგროვებულ ვამოცდილების საფუძველზე, აყროლებულ და ხავსით დაფარულ ჭაობების დასაპყრობად ადამიანის გენიამ სამი ხერხი შეიმუშავა: 1) წყლის მექანიკური გადაქაჩვა (რაც კოლხიდმშენის პირობებში ძალზე არარენტაბელურია); მეორე—კოლმატაცია (მდინარის მიერ, მოტანილ ნალექის გამოყენება ნიადაგის დაბალი ნიშნულის ასამაღლებლად) და 3) ნიადაგის ამოშრობა ღია არხების საშუალებით. ბრძოლა, კოლხეთის დაბლობის ჭაობისაგან განთავისუფლებისათვის უმთავრესად მესამე ხერხით წარმოებს, რაც ცხადია, სრულიად არ გამორიცხავს დანარჩენი ორი მეთოდის მომარჯვებას, თუ კი ამას დაბლობის ამა თუ იმ უბნის ადგილმდებარეობის სპეციფიკა მოითხოვს.

კოლხიდის მშენებლობაზე არსებული მიღწევები ცხადად ამტკიცებენ გიგანტურ პლანის რეალიზაციისათვის გამოყენებულ მეთოდების უტყუარობას და სწორედ ამ შედეგის ნიჭიერ ანტიციპაციით იყო გამოწვეული იტალიელ კონსულტანტის, სპეციალისტის ანჟელო ომოდეოს სიტყვები შესახებ იმისა, რომ: „საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო კოლხიდმშენის პროექტის დაკვირვებით შედგენისას გაჰყვა გზას, რომელიც კლასიკურად ითვლება ამ-შრობათა შესწავლის საქმეში; სამმართველო ეყრდნობა უდიდეს დოკუმენტაციას, რომელიც შეაგროვა მან ადგილზე წარმოებულ გასაოცარ მუშაობით და, რომელიც მთლიანად შეეფარდება უახლეს ჰიდრავლიკის საუკეთესო და ყოვლისად შემოწმებულ თეორიულ მითითებებს"... და შემდეგ, „მეთოდის შესახებ, მაშასადამე, არაფრის დამატება არ არის საჭირო, პირიქით, ჩვენ უნდა დავადასტუროთ ის, რომ მთლიანად ვეთანხმებით მას"-ო, ამბობს იგივე ომოდეო.



...ინის დამბის მშენებლობა.



საწყალვარდნილო მაშრობი არხი—მდ. ციგთან.

## წურბელა თუ გრეიფრუტი?

ათეულ წლების მეტეოროლოგიურ დაკვირვებებით დადგენილია, რომ კოლხეთის დაბლობზე (კერძოთ კი ფოთში) წელიწადში საშუალოდ 200 დღე წვიმიანია. განსაკუთრებით ხშირი წვიმები იცის აქ შემოდგომაზე. ეს არის მშენებლობის ტემპების უაღრესად შემფერხებელი ფაქტორი, რადგან ავდარში ჭაობში მუშაობა აბსოლუტურად შეუძლებელია, როგორც ადამიანისათვის, ისე მანქანისთვის.

დღეს, ფოთში მოიღრუბლა და წვიმისაგან თავმობეზრებულნი ისევ „ციურ ნამის" უსიამოვნო მოლოდინში ვიმყოფებით.

დასავლეთის ქარი თანდათან ძლიერდება. ეს კი, ხანგრძლივი წვიმების პირველი პირობა და ნიშანია.

ამხ. **როდიონ ქორქია,** რომელიც მწერალთა კავშირის მიერ არის მოვლინებული აქ და მე, კოლხიდმშენის სამუშაოთა უფროსის კაბინეტში ვისხედით, მშენებლობის უფროსის თანაშემწის, ინჟინერ **ე. ნოდიას** „ლექციას" კოლხეთის ჭაობების გენეზისზე.

ოთახში შემოიჭრა „ფორდის" ხმაჩახლეჩილი „ბღავილი".

ამხ. ნოდია დაგვპირდა ლექციის გაგრძელებას შემდეგისათვის, რადგან ეხლა **სამივენი** უნდა გავემგზავროთ ფოთის უკვე დაშრობილ უბნების დასათვალიერებლად.

გზაში შემოგვემატა კოლხიდმშენის საცდელ სადგურის ხელმძღვანელი ამხ. ფარსადანოვი.

სულ რამოდენიმე წუთის შემდეგ მანქანა შეუმჩნევლად მისრიალდა თეთრად შეღებილ ფართო ეზოსთან და კარების წინ ისარივით დაესო.

მე, ფოთის ამ უბანში გამიტარებია ბავშობის მზიანი და სიხარულით სავსე დღეები; შემდეგ, ჭაბუკსაც ხშირად მივლია მარტოდ ამ ქუჩებში და ოცნებით სავსე თვალებით არა ერთხელ გამიცილებია დასავლეთისაკენ დაგორებული, ოქრო ნარევი სისხლისფერი ბურთი, მაგრამ ეხლა, ეზოში ჩადგმულ კოხტა ხის შენობას და ადამიანის მზრუნველ ხელს ისე უცვლია სახე აქაურობისათვის, რომ ვეღარ ვცნობ, თუ ეს „მადამ კოუჩკოვსკას" ყოფილი საკუთარი ბაღია.

ამჟამად ეს ბაღი კოლხიდმშენის სუბტროპიკულ მცენარეთა სადგურის ერთ-ერთი საცდელი ნაკვეთია, სადაც მრავალ მხრივ სასარგებლო კულტურების ორანჟერეებია გაშენებული და უხვად ხარობს ევკალიპტები, ტასმანიის ხე, ტულპანის ხე (რომლიდანაც ამზადებენ პროპელერებს თვითმფრინავებისათვის) კალაკაზიები (ამისაგან გამოჰყავთ ბავშვების საკვები ფქვილი, „ნესტლი"), ხის ბამბა „კაპოკი", ტუნგის ხე (რომლის ერთი ტონა ღირს 1.200 მანეთი ოქროთი), მანდარინები (იაპონური, „უნშიუს" ჯიშის) და სხვა მრავალი კულტურები, მიღებული **არგენტინიდან, ბრაზილიიდან, აფრიკიდან თუ იაპონიის** რომელიმე კუნძულიდან.

ამხ. ფარსადანოვი მშობლიური სიყვარულით და გატაცებით მოგვითხრობს თითეულ მათგანის ბიოგრაფიისა და მის სამრეწველო თუ სამედიცინო დანიშნულების შესახებ.

ამ ნაკვეთზე მცენარეებს უვლიან და ზრდიან გარკვეულ ჰასაკამდე, ხოლო შემდეგ, მათ მიეცემათ საკუთარი „საგზაურები" და ათი ათასობით გავლენ აქედან, რათა ახლად დაშრობილ დაბლობზე თვალუწვდენელ და **საამაყო** პლანტაციებად გაიშალონ.

**ახალ სოფლის** უბანი ფოთის ქალაქის ტერიტორიის ყველაზე მეტად დაჭაობებული ნაწილი იყო რამოდენიმე ხნის წინედ. ახლა კი, სულ ორიოდე წლის მუშაობის შედეგად, აქ საოცნებო სასწაულებრივი ცვლილებებია მოხდენილი და უბნის **მთავარი** შარა გზის მარჯვენა მხარეზე, სადაც ახლო წარსულში ჩვეულებრივ სოლიერს ფეხის დადგმა არ შეეძლო (რადგან ის უმალვე ჭაობის ფსკერზე მოყვებოდა) და ამიტომ მთელ ამ ნაპირზე მხოლოდ წურბელის განუყოფელი „დიქტატურა" იყო გამეფებული, კოლხიდმშენის **დიდი საბჭოთა მეურნეობაა** გაშლილი, ხოლო ამავე გზის მარცხენა ნაპირზე ლამაზ გეომეტრიული ფიგურებად დანაწილებულ **და ამაღლებულ** სილანარევ თიხაზე გრეიფრუტის (მანდარინის და ფორთოხლის შერწყმით მიღებული შესანიშნავი და ძვირფასი ხილია) **ესტეტიურად** გამშვენიერებული მწკრივები ჩამდგარან.

კოლმატაციის წესით დაშრობილ 100 ჰექტ. (ფოთის პირველი საკოლმატაციო საცდელი უბანი) ლიმონ-მანდარინის ტრესტის მიერ ლიმონისა და მანდარინების პლანტაციებია გაშენებული და თუ კოლმატაციამდე ამ უბანზე საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან უდრიდა 0,5 მეტრს, ახლა ის უკვე ერთ ნახევარ მეტრს აღწევს.

**განა** ასე შორს არის ის დრო, როდესაც ფოთი მალარიის სინონიმად მიაჩნდათ, ამჟამად კი ცოტანი არიან ამაში დაეჭვებულნი?

**მაგრამ** ვინც ეხლა **ფოთს ესტუმრება** (ვინ საკუთრებით, თუ კი მას ამ ქალაქში უცნობ რა წინედ) ის ჩასვლისთანავე შეამჩნევს, თუ რამდენად განთავისუფლებულა ქალაქი და მისი მცხოვრებლები კოღოების ტყვეობისაგან **და მაშასადამე** მალარიის წამომშობ მიზეზისაგან.

კიდევ, ერთი ან ორი წელია საჭირო ფოთის ქალაქის ტერიტორიისა და მის განაპირა უბნების გაშრობის პროექტის (ავტორები, ინჟ. **ე. ნოდია და ინჟ. გრ. ზამბახიძე**) რეალიზაციისათვის და ამის შემდეგ მართლაც შეიძლება **„დიდი ჯილდოს დანიშვნა იმისათვის, ვინც აქ ერთ კოღოს მაინც აღმოაჩენს"**. (პროფ. კანდელაკის წერილიდან).

ამრიგად, სულ მოკლე ხანში სამელიორაციო ხელოვნება აქ აღკვეთს შესაძლებლობასაც კი იმ სენის, რომლის წინააღმდეგ ქინაქინით შეიარაღებული მედიცინა ასე უძლური აღმოჩნდა.

ახლა უკვე თამამად შეიძლება თქმა იმის, რომ ჰიპოკრატეს გეოგრაფიაში მოხსენებულ კოლხიდელების სიყვითლეს აღსასრული დაუდგა.

## ყორათის „ციხე სიმაგრე" და „ამერი კელი საქართველოდან".

კოლხიდმშენის მთავარი ინჟინერი ამხ. **გრ. გეგეჭკორი** დიდი გაქანების და ტემპერამენტის კაცია.

ხვალ, ის ჩვენთან ერთად იმგზავრებს **ჭალადიდსა და ქვალონისაკენ,** სადაც კოლხიდმშენის სამუშაოთა სიმძიმის ცენტრია მოქცეული. ჭალადიდის უბანში რევოლუციონურ ტემპებით წარმოებს პირველ მთავარი არხის გათხრა, რომლის სიგრძე 17 კილომეტრია.

ამ არხის სიდიდე კოლხიდმშენის სხვა არხებთან შედარებით არც ისე განსაცვიფრებელია, რადგან სამხრეთ უბნის მთავარი არხი, რომლის **სათავე საჯავახოშია,** ხოლო **ბოლო მალთაყვაში** (ფოთის ახლო), ოცამდე **ოცი კილომეტრზეა** გადაჭიმული. მისი საშუალო სიგანე 50 მეტრს უდრის. ეს იქნება არა მხოლოდ სამელიორაციო, არამედ მოზრდილი **სანაოსნო არხი,** რომელიც დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს უმოკლესი მანძილით დააკავშირებს და განსაკუთრებულ სიცოცხლეს შემატებს მათ ეკონომიურ ურთიერთობას.

მაგრამ მიუხედავად გასათხრელ მანძილის შედარებითი სიმცირისა, ჭალადიდის მაგისტრალზე წარმოებული ოპერაცია კატეგორიულად მოითხოვს მუშების, სამელიორაციო ხელოვნების ოსტატების და სამანქანო ენერგიის მაქსიმალურ მობილიზაციას, რადგან ტერიტორია, რომელზედაც ეს არხი გაჰყავთ, დაჭაობების ხარისხის მხრივ მართლაც კლასიკურია. მასთან, ამ მაგისტრალის მშენებლობა უნდა დამთავრდეს და არხი საექსპლოატაციოდ გაიხსნას ამა წლის 7 ნოემბერს.

ყველა ამ მომენტებით უნდა აიხსნას, რომ ჭალადიდის მთავარი არხის გათხრა კოლხიდის მშენებლობის ამ ეტაპზე გენერალურ ამოცანად არის გამოცხადებული და მის გარშემო შრომის ნამდვილი „ციებ-ცხელება" გაჩაღებული.

**
*

ჭალადიდის სადგურზე ვართ, ინჟ. ნოდია, ინჟ. გეგეჭკორი და მე.

დილიდან, აღმოსავლეთის თბილი ქარი ქრის. ეს უნდა იყოს ჰიპოკრატეს მიერ მოხსენებული „კენხრონი", რომელიც საერთოდ უსიამოვნოა, მაგრამ ამჟამად დიდ სიხარულს იწვევს კოლხიდმშენის მუშაკებში, რადგან განუწყვეტელ წვიმისაგან ატალახებული ნიადაგი ოდნავ მაინც გაშრება და ავდარის მიერ შეჩერებულ სამუშაოების გაგრძელება შესაძლებელი გახდება.

ჩვენ ველოდებით პატარა „კუკუშკას", რომელმაც პირველ უბნის სამუშაოების შუა გულში უნდა მიგვიყვანოს.

სადგურიდან სულ მცირე მანძილზე პოშორებით იწყება ახლად გაყვანილი **ყორათის შარაგზა** რომელიც ჭალადიდს შუა ხორგასთან აკავშირებს, ხოლო აქედან პირდაპირ გადიხართ ზუგდიდის გზატკეცილზე.

ყორათის და „მისი გამაგრებული რაიონის" (ინჟ. გეგეჭკორის ტერმინებია), პრობლემა ერთი ურთულესთაგანი იყო მთელ ამ უბანზე, რადგან, ისტორიულად, ყორათის ჭაობი სამხედრო და ადამიანისათვის მიუვალ „ქაჯეთის ციხე სიმაგრეს" წარმოადგენდა.

სულ ორი თუ სამი წლის უკან ამ მიდამოებში „უდარდელ და მყუდრო" ცხოვრებას იწვევდენ მხოლოდ ათასი გვარის ქვე-



მიწის მთხრელი „საბჭოთა საქართველო".

წარმავალობი და მშიშარა შველები. ადამიანისა და მის შინაურ ცხოველებს კი, აქ არაოდეს ფეხი არ დაუდგამთ.

ახლა, ყველაფერი ეს „შორეულ წარსულის" მოგონებად გადაიქცა. ახლა **ყორათის ჭაობი თითქმის მთლიანად ამოშრობილია** და სულ მოკლე ხანში საზ. „საქართველოს რამი"-ს გადაეცემა საექსპლოატაციოდ დღემდე ხელუხლებელ მიწის 7.000 ჰექტარი.

— **ხორიგის** მცხოვრებლებს ეშველათ. მათი მრავალწლოვანი და სანუკვარი ოცნება ხორცშესხმულია ამიერიდან, მათ საკუთარ ეზოს ჭიშკარზე მისასვლელად 30 ვერსის მანძილზე შემოვლა აღარ დასჭირდებათ— გატაცებით/გვიამბობს ყორათის გზის მშენებლობის უშუალო ხელმძღვანელი, ინჟ. გეგეჭკორი და ამ სიტყვებზე თვალებიდან სიხარულის ნაპერწკლებს ჰყრის.

— და ეს იმის გამო, განაგრძობს ინჟინერი ენტუზიასტი, რომ ჩვენ შევსძელით ყორათის შარა გზის დაკვრითი ტემპებით გაყვანა და მისი საშუალებით „ქვეყანას მოწყვეტილი", სამეგრელოს ეს მშვენიერი კუთხე, ისევ „ქვეყანას დავუბრუნეთ".

ინჟ. გეგეჭკორს ამერიკაში უმოგზაურია (მივლინებული იყო საქ. წყალთა მეურნეობის მიერ) და ამ მგზავრობაში. მას, როგორც ცოდნის მოყვარე ადამიანს, ბევრი რამ უნახავს და შეუძენია.

მას ძალზე კარგად ესმის თუ რამდენ მნიშვნელოვანია საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს ეკონომიური და კულტურული წინსვლისათვის კეთილმოწყობილი შარა გზები და ბევრს გვესაუბრება მის მიერ ამერიკაში ნახულ გზატკეცილების შესახებ.

ამერიკა, სახალხო მეურნეობის ამ დარგში არსებულ მიღწევების თვალსაზრისით, მოწინავე ქვეყანაა. ჩვენ ვიცით, რომ იქ გუდრონით ნაგები გზატკეცილების მანძილი ათიათასეულ კილომეტ. გაიზომება, მაგრამ უდაოა ისიც, რომ ვეებერთელა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მტკიცე გადაწყვეტილება—„დავეწიოთ და გავუსწროთ" —სულ მოკლე ხანში გზების პრობლემასაც „სწვდება ყელში" საფუძვლიანად და დაწყებულ ბრძოლას გამარჯვებით დაასრულებს.

**
*

„კუკუშკამ"" ორჯერ მიაყვირა და ჩვენც მინიატურულ „პლატფორმებზე" შესკუპებულნი ჭალადიდის არხისაკენ გავექანეთ.

ადამიანის ნებისყოფა ყოვლის შემძლეა. სულ ორიოდე წლის უკან, იმ ადგილებს, სადაც ეს ვიწრო ყელიანი ლიანდაგია დაგებული, ნადირიც თავს არიდებდა და ეხლა კი, სახედარის ოდენა ორთქლმავალი ქშენითა და ოხვრით მიაქანებს აქ, მისთვის მართლაც მძიმე „პლათფორმების" შემადგენლობას.

ტყის შუაგულში ჰაერი თხემლისა და მკვრივი სინესტის სპეციფიური სურნელებითაა გაჟღენთილი.

ეს სურნელება მიღვიძებს ნაცნობ განცდებს, ხოლო ტყეში შეჭრილი ორთქლმავალი მაგონებს ეპიზოდებს **მაინ-რიდისა** და **ჟიულ-ვერნიდან.**

# წარსულის ტყვეობაში

### კ. გამსახურდია—„უკრაინის თემიდი"

### წერილი: კარლო მელაძე

სავსებით მართალი იყო ამხ. გიორგი ყურულაშვილი, რომელიც საქ. საბჭ. მწერლების საგანგებო ყრილობაზე 1932 წლ. 27 მაისს ამბობდა კ. გამსახურდიას შესახებ:

„მე წავიკითხე გამსახურდიას ნარკვევი უკრაინის შესახებ. ავტორი სცდილობს, რომ პოლიტიკურად სწორად მიუდგეს საკითხს. ეს ნარკვევი უკრაინის დღევანდელ ცხოვრებაზეა დაწერილი, მაგრამ ავტორი სამი თავის მანძილზე მსჯელობს შამილზე, მატარებელზე გურამიშვილზე და სხვ. ავტორი შესავალში უსაყვედურებს უცხოელებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლის დროს ისინი მატარებლის ფანჯრიდან უყურებენ ცხოვრებას და მას იქიდან ასწერენ. მაგრამ თვითონ გამსახურდიასაც სწორედ ასევე მოუვიდა: ის იყო უკრაინაში და ვერ შეამჩნია იქაური დიადური მშენებლობა. ეს დაუშვებელია საბჭოთა მწერლისათვის. მე არ ვამბობ, რომ არ შეიძლება დავით გურამიშვილზე, შამილზე და სხვებზე წერა. შეგიძლიათ ამაზე სამი წიგნი დასწეროთ, მაგრამ რა კავშირი აქვს ყველა ამას უკრაინასთან? ამ ნარკვევში კი, სადაც თითქოს გარკვეულად უნდა ყოფილიყო დღევანდელობა ასახული, სამნახევარი თავი ეხება წარსულს და ერთ-ნახევარი კი დათმობილი აქვს თანამედროვე ცხოვრებას, ისიც გაკვრით, უცხოელი მგზავრის თვალით დანახულს. რისთვის მოვიყვანე ეს მაგალითი? იმისთვის, რომ მეჩვენებია, როგორი ჭიდილი სწარმოებს გამსახურდიას მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაში წარსულსა და დღევანდლობას შორის. ჯერჯერობით მაინც წარსულს ყავს შეპყრობილი გამსახურდია. გამსახურდიას ძალიან უყვარს გარეგნული ფრაზა, თორემ მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისური კოვერკოტი ურჩევნია ქუთაისის მაუდს. მაგრამ მას უნდა ქუთაისის მაუდის პატრიოტობა დაამტკიცოს. რა შუაშია მაუდი? სულ ერთი არ არის სადაური იქნება იგი, მოსკოვის თუ ქუთაისის ფაბრიკისა? გამსახურდია კი ასე მსჯელობს: რაც ქართულია კარგია, სხვა ეროვნების კი ცუდიაო, რა თქმა უნდა, ის ამავე დროს თითქო სცდილობს კიდევ და შემდეგში უფრო მეტად უნდა ეცადოს, რომ განთავისუფლდეს ამ ზოოლოგიურ ნაციონალიზმისაგან".

და მართლაც წაიკითხეთ „უკრაინის თემიდი" და ამხ. ყურულაშვილის აზრი უდაო გახდება. კ. გამსახურდია საბჭოთა უკრაინაში გაემგზავრა, ჩვენ ვფიქრობდით იგი თავის ნარკვევებში უკრაინაში მიმდინარე სოციალისტურ მშენებლობის შესახებ გვეტყოდა თავის სიტყვას, გვეტყოდა და გვიჩვენებდა მხატვრულად უკრაინელ ამხანაგებს, რომლებიც გმირულად იბრძვიან სოციალიზმისათვის, მაგრამ გამსახურდიამ ამ საკითხით როდი აიტკივა თავი, როდი შეაწუხა თავისი კალამი, როდის იფიქრა ამის შესახებ, მას ამისათვის დროც ქონდა და საშუალებაც, მან ეს საშუალება ვერ გამოიყენა.

„უკრაინის თემიდში" გადმოგვიშალა უკრაინა უცხო მგზავრის თვალით დანახული.

რა საკითხზე არ მსჯელობს იქ გამსახურდია, რას არ ფიქრობს, რას არ ოცნებობს ვინ იცის და „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაში ვარსკვლავები". უცნაურია ეს ნარკვევი, ამ უცნაურების მკითხველი შესავლიდანვე გრძნობს. რა არ აგონდება მას. თავის სამშობლო საქართველოს საზღვრები, გურამიშვილი, გრ. ორბელიანი, ბარათაშვილი, ქართველი აზნაურები და ბევრი სხ. რამ. მოუსმინოთ გამსახურდიას და კვალდაკვალ მივყვეთ მისი ფიქრებისა და განცდების ძაფს. გამსახურდია სწერს: „სარკმელთან ვდგევარ და ვფიქრობ ჩემთვის: „ეჰ, ჩემო ფეიზულ, განჯა არც ისე შორსაა, როგორც შენა გგონია, ერთი ორი აგელვება მატარებლისა და შემოგესმება „ფოილო, ფოილო". იქ წყალს ჰყიდიან ფეხშიშველა თურქის ბავშვები, ფოილო საბჭოთა საქართველოს საზღვარია" (გვ. 5).

ამოაგდეთ ამ სტრიქონებიდან „საბჭოთა" და ყველაფერი ისე იქნება, როგორც გამსახურდიას სურს. როგორი გულდაწყვეტით, როგორი სევდით ლაპარაკობს იგი ფოილოს შესახებ. ნუთუ გამსახურდიამ ოქტომბრის რევოლუციის მეთექვსმეტე წლის თავზე კიდევ ვერ შეიგნო ის, რომ სოციალისტურმა რევოლუციამ დიდი ხანია წაშალა ფოილო როგორც საქართველოს და აზერბეიჯანის საზღვარი? ნუთუ ეს ანბანური ჭეშმარიტება გამსახურდიასათვის გაუგებარია.

ეს პატარა შესავალია იმ ნაციონალისტურ განწყობილებებისა, რომელიც „უკრაინის თემიდშია" მოცემული. გამსახურდია განაგრძობს და სწერს: „ფოილი, ფოლი გვაუწყებს ფეიზულა, მატარებელი მიქრის და განზე სტოვებს აზერბეიჯანელ გლეხების საცოდავ ძიწურებს. ამ მიწურებში არა ერთხელ გამითევია ღამე, ნაცნობია ჩემთვის აქაური მძიმე ჰაერი, ჩვენი საშველი არ იქნება, სანამ ჩვენი აღმოსავლეთელი ძმობილები საშინელ სილატაკეს და სიბნელეს თავს არ დააღწევენ" (გვ. 7).

რაღა ეშველება აზერბეიჯანელ გლეხებს, მათი საშველი არ ყოფილა, ასე წინასწარმეტყველობს გამსახურდია, ნუთუ გამსახურდიამ, რომელსაც თურმე, ამ მიწურ ქოხებში ღამე გაუთევია, ვერ შენიშნა ის ენტუზიაზმი და ხალისი, ოპტიმიზმი დღევანდელობისა, მშენებლობის პათოსი, რომელიც ამ ქოხებში მცხოვრებ აზერბეიჯანელ გლეხებს ახასიათებს? რათ ვერ შენიშნა გამსახურდიამ ის ფაქტი, თუ როგორ იცვლის სახეს აზერბეიჯანის დღევანდელი სოფელი? არა, გამსახურდიას ამის დანახვა არ უნდა, იმიტომ, რომ მას ეს არ აინტერესებს, მას სულ სხვა რამე აინტერესებს. მას არ ასვენებს ფიქრი აზერბაიჯანელ ფეიზულაზე და იგიც სწერს: „ალბად ფეიზულას პაპა ან პაპის პაპა რომელიმე შირვანელ ხანს შემოჰყოლია კახეთის დასარბევად. შესაძლოა ალი მაჰმედ ხანსაც სლებოდეს ერთერთი მათგანი და ტფილისის გადაბუგვაში წილი დაედოს 1795 წელში". (გვ. 12). აქ ნაციონალისტი გამსახურდია ლაპარაკობს. რატომ დასჭირდა გამსახურდიას ფეიზულას წარმოშობის და მისი გენეზისის ძებნა? რატომ გონია გამსახურდიას, რომ ფეიზულას რომელიმე ნათესავი მონაწილე იქნებოდა 1795 წელში საქართველოზე ლაშქრობისა და რატომ არ გონია გამსახურდიას, რომ იქნებ ფეიზულა ნათესავია იმ ადამიანების, რომლებიც არა ერთხელ და ორხელ აუჯანყდენ აზერბეიჯანელ ბეგებსა და ხანებს? ან და საერთოდ რა საჭირო იყო ფეიზულას, მატარებლის გამყოლის, პატიოსან საბჭოთა მოქალაქის დაკავშირება წარსულთან და მისი შეფასება იმის და მიხედვით, მისი წინაპრები მონაწილეობას ღებულობდენ თუ არა საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ

ლამქრობაში? როდემდის უნდა ტკეპნოს გამსახურდიამ ერთი და იგივე ადგილი? როდემდი უნდა ილაპარაკოს ყოველთვის მოსაბეზრებლად ერთ და იმავე თემაზე — სამშობლოზე ნაციონალისტურად? ნაცვლად იმისა, რომ გამსახურდიამ დაინახოს უდიდესი მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს აზერბაიჯანში იგი გაიტაცა წვრილმანმა საკითხმა და მთელ კოშკებს აშენებს მასზე.

თანამედროვე საკითხებზე გამსახურდია ზერელედ, ნაძალადევათ და გულაგდებით სწერს. ის მაინც თავი ჩვენ ეპოქაზე მაღლა წარმოუდგენია: მას სჯერა, რომ ის იმდენად დიდია, რომ შეუძლია თავისი მჯავრი დასდოს დღევანდელ ეპოქას. აი რას სწერს ის, „მოვიდა ახალი დროც. უეჭველია, „ეს განწირული სულის კვეთება" უნაყოფოდ არ ჩაივლის, ჩვენ და ჩვენი მეზობლები ვეტყვით კაცობრიობას სიტყვას ახალსა და ჯერ არ თქმულს". (გვ. 20). საინტერესოა გვითხრას გამსახურდიამ დღემდე რას ვაკეთებდით? ვთამაშობდით? ექსპერიმენტებს ვაკეთებდით? ნუთუ ჩვენ დღემდე ვერ ვთქვით ახალი სიტყვა კაცობრიობის წინაშე? ამის შემდეგ გამსახურდია იწყებს თავისებურ „ფილოსოფოსობას" და სწერს: „სცდებიან ევროპელები: მათ დღევანდელმა დღემ **ნაწილობრივ** უკვე დაუმტკიცა, რომ ისინი სცდებიან და ხვალინდელი უფრო მეტს დაუმოწმებს მათ. აქედან სავსებით გასაგებიცაა და დროულად უნდა ჩაითვალოს უდიდესი ლოზუნგი საბჭოებისა: დავეწიოთ და გაუსწროთ". (გვ. 20).

კაცობრიობას ნაწილობრივ დაუმტკიცეთ, რომ ისინი სცდებიან, დროულია ლოზუნგი „დავეწიოთ და გავუსწროთ" ლაღადებს გამსახურდია. რას ნიშნავს **ნაწილობრივ** და დროული. რათ იჩენს გამსახურდია ასეთ თავაგდებულ დამოკიდებულებას ამ უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობის ფაქტებისადმი? ასე მსჯელობს გამსახურდია თანამედროვე საკითხების შესახებ. იგი დღევანდელობაზე ან ლაპარაკობს გულაგდებით ან და სინამდვილეს აბუნდოვანებს, ამისტიურებს და წვრილმანებით ჩრდილავს დიდ საკითხებს. მაგალითად ვის აინტერესებს გამსახურდიამ თუ როგორ დაინახა მახაჩკალასთან დედალ-მამალი ხოხობი? ან და რა შუაშია თემასთან ქართველი თავად-აზნაურები ან გრიგოლ ორბელიანი? ან ნიკოლოზ ბარათაშვილი? გამსახურდიამ თემას გვერდი აუხვია და ნარკვევი დატვირთა სენტიმენტალურ შთაბეჭდილებებით, რომელშიაც მძლავრად მჟღავნდება ნაციონალისტური განწყობილებანი. რომ ეს უდავოა ამას ადასტურებს გამსახურდიას მარჩიელობა ქართველი თავად-აზნაურების წარსულის შესახებ. იგი სწერს: „ქართველმა თავად-აზნაურობამ ყოვლად სამარცხვინო როლი ითამაშა კავკასიის კამპანიაში. ჩვენი მოწინავე საზოგადოების ნაწილი დაიბნა, ნაწილიც სავსებით გულგრილად შესცქეროდა, თუ როგორ სცელავდა კავკასიის ფოლადის ჯაგარს რომანოვების პრუსაკულად აღზრდილი სოლდატესკას სწორკუთხიანი ხმალი. სირცხვილი გრიგოლ ორბელიანს, რომელიც თავის კერძო წერილებში ტრაბახობს კიდევაც, რომ ყაზახებს ხიშტებზე ააყვანინა საცოდავი ჩეჩნები. მერმე ვინ სწერს ამას? გრიგოლ ორბელიანი, **1832 წლის მეამბოხე, რესპუბლიკანელი, იმდროინდელი** საქართველოს უდიდესი პოეტი. ნიკო ბარათაშვილი? იგი გაუგონარ პასიურობას იჩენს. მის, პოეზიაში ძლიერი გამოხმაურება ჰპოვა მისი პირადი მეგობრის ვინმე ილიკოს სკვდილმა, ის კი არ ესმოდა, თუ რას მოასწავებდა იმ დროის მთიულეთის მეხანათურად გაჩანაგება" (გვ. 33). როგორი გული წყდება გამსახურდიას, რომ მისმა წინაპრებმა სამარცხვინო როლი ითამაშეს სამშობლოს დაცვის საქმეში და, რომლებიც რუსეთის ბიუროკრატიზმის მარჯვენა ხელად გადაიქცენ. გამსახურდია ნამუსზე აგდებს გრ. ორბელიანს ნიკ. ბარათაშვილს. გამსახურდიას სჯერა, რომ გრ. ორბელიანი რესპუბლიკანელი იყო, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. გამსახურდიას ავიწყდება ის ფაქტი, რომ 1832 წლის შეთქმულება ამხ. მახარაძის თქმით რეაქციონური ხასიათისა იყო, რომლის მთავარი ამოცანა მდგომარეობდა თავადაზნაურებისათვის დაკარგულ ღირსების აღდგენაში და ფეოდალურ საქართველოს გადარჩენაში. მშრომელი ხალხი და მისი ინტერესები მათ მიერ სრულიად მივიწყებული იყო. გრ. ორბელიანი არას დროს არ ყოფილა რესპუბლიკანელი. იგი, როგორც თავის პრაქტიკაში, ისე თავის შემოქმედებაში იყო რეაქციონერი – მონარქისტი და ამ მონარქისტულ იდეოლოგიას შერჩა სიკვდილამდე. როგორი დიდი უპატივცემლობა და დაუფასებლობაა გრ. ორბელიანისადმი ის, რასაც კ. გამსახურდია სწერს.

რაც შეეხება ნიკ. ბარათაშვილის საკითხს, იგი არავითარ პასივობას არ იჩენდა, არამედ პირიქით იგი აქტიურად უთანაგრძნობდა თავის ბიძა გრ. ორბელიანს. განა ნიკ. ბარათაშვილი არ იყო დიდ ქება დიდებას, რომ ასხამდა თავის ბიძის გრ. ორბელიანისადმი მიწერილ კერძო წერილში გენერლებს არგუტინსკის და საგინოვს, რომლებმაც სისხლის ღვარი დააყენეს ოსეთის არე-მარეზე? განა ნიკ. ბარათაშვილი არ იყო გრ. ორბელიანს და ქართველ მილიციას დიდი ხოტბა რომ უძღვნა 40—41 წელს გურიის გლეხთა აჯანყების სისხლის მორევში ჩახრჩობისათვის. გამსახურდიას, რომ ჰკითხოთ იგი პასიურია. რა უცოდინარობაა საკითხისადმი ამის შემდეგ გამსახურდია კიცხავს პავლე ციციშვილს და მას უსამშობლო ავანტიურისტს უწოდებს. არ ივიწყებს შამილსაც და სევდიანად სწერს, „ლუნიბი შამილის შავი და მწარე ვატერლოოა. რა მცირე გამოხატულება ჰპოვა შამილმა ქართულ პოეზიაში"? იხსენებს დავით გურამიშვილსაც და სპეციალური თავიც აქვს წიგნში შეტანილი „დავით გურამიშვილის ნატერფალზე". აქ, გამსახურდიას „ფილოსოფოსობა" უმაღლეს საფეხურზე ადის. როგორც ზემოდ ვამბობდით იგი მარჩიელობს თავიდან ბოლომდე მერე და როგორი დიდი სიყვარულით ასრულებს ამ მარჩიელობას? რა ქნას? მარჩიელობაც ხომ თავისებური ხელობაა. მარჩიელობის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს მისი მსჯელობა გურამიშვილის ირგვლივ, სადაც მისტიციზმი უმაღლეს მწვერვალზეა ასული. იგი სწერს „თურმე დიდ კაცმა უსათუოდ დიდი ფიალა უნდა გამოსცალოს, გრიგალიც ყველაზე ძლიერად დიდ მუხას ეკვეთება ხოლმე ტყეში. ქვეყნის უბედურებაც ყველაზე ადრე, ყველაზე მძაფრად ბუნებით დიდ კაცს თავზე დაატყდება" (გვ. 37). ამ თავისებურ მსჯელობას გამსახურდია აგრძელებს და ასკვნის **„დიდი პიროვნება მუდამ დიდ კონფლიქტს განიცდის საუკუნის მიმართ"**. (გვ. 38). გასაგებია, როგორ დაჯერებულია გამსახურდია, რომ ის დიდი პიროვნებაა, რომ ის დიდი მუხაა, რომ ის დიდი კაცია, რომელსაც, როგორც დიდ პიროვნებას კონფლიქტი აქვს ეპოქასთან, როგორც დიდ მუხას ყველაზე ძლიერად გრიგალი მას ეკვეთება და ბოლოს, როგორც დიდ კაცს ქვეყნის უბედურებაც ყველაზე ადრე და მძაფრად დაატყდება თავზე. საინტერესოა თუ როგორ სჯერა გამსახურდიას ყოველივე ეს? მას სჯერა, რომ ის სინამდვილეში არც დიდი პიროვნებაა, არც მუხაა, არც დიდი კაცია, მაგრამ უნდა იყოს, ხოლო ეს არ არის, ამიტომ ოცნებაში მაინც წარმოიდგინა მისი თავი ყველაფრად. ყოველივე ამისა მაინც საინტერესოა ჩვენთვის გამსახურდიას მაღალი და აწეული ტონი „დიდი პიროვნება მუდამ დიდ კონფლიქტს განიცდის საუკუნეების მიმართ" ჩვენ საუკუნეს გამსახურდიასთანა პატარა ხალხთან არაფერი აქვს საკონფლიქტო. გამსახურდია ამით ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას ჩვენი ეპოქასთან. გამსახურდია აქ ისევ ძველი ხმით ძველ მოტივზე მღერის მისი ასეთი შეხედულება მავნე და რეაქციონური განწყობილების გამომხატველია. ამ ჩვენ დებულებას საუკეთესოდ ასაბუთებს გამსახურდია თავის წიგნის შემდეგ გვერდზე. იგი ყოველგვარ შენიშვნის გარეშე სწერს: „19 საუკუნეში მიდგია ცალ, ფეხი, ეს დიდი, დაბურდული და წყეული პრობლემების საუკუნე იყო. ამიტომ მახვდებოდა მუდამ ორი საუკუნის მაგივრად მესიტყვეობა, ორი თაობის ცოდვების ზიდვა. მე დავით გურამიშვილისა და ილია ჭავჭავაძის ტკივილებისათვის დღესაც მიხდება ალაგ ალაგ პასუხის გება (რადგან მათი ძვალი ძვალთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ვარ) არ ვარგა მიჯნებზე დგომა. მიჯნებზე მუდამ ჟამს საოცარი საგნები [illegible]. ბედითი ამბავია: როცა ცალი ფეხი ერთ საუკუნეში გიდგია, ხოლო მეორე მეორეში. ნეტარება მას, ვინც მოწოდებულია ამ ქვეყნად უსრულობის ჯაჭვის პირველი და უკანასკნელი მარჯვლის როლი ითამაშოს. სწორედ იმათ მოხვდა ყველაზე მეტი. ვისაც შუაში უხდება დგომა მას ან წნევა დასწყვეტს ან ზნექავს". (გვ. 81—82). აზრი ნათელია. გამსახურდია ორი ეპოქის ტკივილებისათვის თურმე ალაგ ალაგ პასუხს აგებს. საინტერესოა სად? როდის? ვისთან? რაში? რა საკითხში? ვინ დაავალა გამსახურდიას ეს ამბები. ვინ უთხრა, ვინ თხოვა, ვინ შეეხვეწა მას, რომ პასუხი ეგო მათ მაგივრად? რატომ შეიწუხა თავი გამსახურდიამ, რატომ იკისრა ასეთი ტვირთი? რატომ დაატანა თავს ასეთი ძალა, რომ ცალი ფეხი 19 საუკუნეშია და ცალიც 20 საუკუნეში ცხადია, არავის უფრო საოცარი ის არის, როდესაც კ. გამსახურდიას თავისი თავი მიაჩნია ჩვენი ეპოქის სიმძიმის ცენტრად. მისი აზრით, იგი ცენტრში დგას და ერთ ხელში უკავია ჯაჭვზე გამობმული 19 საუკუნე და მეორე ხელით კი 20 საუკუნე. იგი წონასწორობას იცავს. სჯერა ეს გამსახურდიას. აკი თვითონაც სწერს: „სწორედ იმათ მოხვდა ყველაზე მეტი, ვისაც შუაში უხდება დგომა. მას ან წნევა გასწყვეტს ან ზნექვა". გამსახურდიას არც ერთი მოუვა და არც მეორე. მას არც არავინ ზნექავს არც არავინ ახდენს მასზე წნევას. ეს მისი მოგონილია. გამსახურდია ამ შემთხვევაში გამოვიდა ძველი დამყაყებული იდეოლოგიის რესტავრატორად, მაშ რას ნიშნავს, როცა მას გონია, რომ დღევანდელი ჩვენი დღე წარმოადგენს 19 და 20 საუკუნის მშვიდობიან დაკავშირებას.

ეს არის ყველაზე ჩამორჩენილი აზრი. ეს არც გაემტყუნება გამსახურდიას, რადგან იგი მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ ილია ჭავჭავაძის და დავით გურამიშვილის „ძვალი ძვალთაგანი და სისხლი სისხლთაგანია". რაღა უჭირთ მათ, რა „ღირსეული მემკვიდრე" დარჩენიათ კ. გამსახურდიას სახით. პირდაპირ სასაცილოა ერთი მხრივ, მაგრამ მეორე მხრივ გული მოვდის, ბრაზდები, როცა გამსახურდია, ამაყად მაღალი ხმით აცხადებს: „ამიტომაც მიხდებოდა მუდამ ორი საუკუნის მაგივრად მესიტყვეობა, ორი თაობის ცოდვების ზიდვა. მე დავით გურამიშვილისა და ილია ჭავჭავაძის ტკივილებსათვის დღესაც მიხდება ალაგ ალაგ პასუხის გება". პირდაპირ სასაცილოა, დღემდე გამსახურდია 19 საუკუნის ჭირისუფლობას ჩემულობდა და მასზე ტიროდა, ახლა 20 საუკუნის ჭირისუფლობას ჩემულობს, ალბად მოკლე ხანში მესამე საუკუნოზედაც აცრემლდება. ასე ლაპარაკობს გამსახურდია პასუხის გების შესახებ, თითქოს და მართლაც ღირსი იყოს, რომლის უმისოდ ჩვენი

არსებობა არ შეიძლებოდეს. გამსახურდიას ამ განცხადებაში გარკვეული კლასობრივი აზრია გატარებული, გამსახურდიამ თავისი არ მოიშალა იგი ისევ წარსულის ტყვეობაშია. მისი გულის სიღრმეში ბევრი რამ საიდუმლოა ჩამარხული, მას იქ ინახავს და „ნიავსაც კი აკარებს", მაგრამ საჭიროა მისი „უკრაინის თემიდის" გულდასმით გადასინჯვა და აზრი ნათელი იქნება. თავისი ასეთი მოქმედებით კ. გამსახურდია ძალაუნებურად გვაგონებს რუს მწერლის ანდრეი სობოლის მოთხრობა „კუზიანი"-ს ერთ-ერთ მომქმედ პირს სერგეი პეტროვიჩის საქციელს. სერგეი პეტროვიჩმა თავი მოიკლა. მან სიკვდილის წინ თქვა: „მე ვკვდები, იმიტომ, რომ ეს იცის შუროჩკამ". თუ რა იცის შუროჩკამ მოუსმინეთ მას: „დიახ, მე ვიცი ეს; ძია ჩემო: კუზიანი ვარ. ბავშობას ძირს დავენარცხე და კუზი გამიჩნდა. ვიყავი როგორც ალვის ხე, სწორი და შნოიანი, ეხლა კი, ხომ ხედავ, როგორი მახინჯი ვარ.. შენ კი ვითომც, სწორტანად იზრდებოდი. ამ აზრით 35 წელს მიაღწიე და მხოლოდ ეხლა მე-36-ზე შეამჩნიე, რომ შენც კუზიანი ყოფილხარ თურმე. და მერე, როგორი დიდი ვეებერთელა კუზი გაქვს და როდესაც დღეს წელში გამართულნი და ძალღონით აღსავსენი შეუჩერებლივ მიეშურებიან წინ, — აბა სად უნდა მოახერხო შემობრუნება საბრალო კუზიანო ძია? როგორ დაეწევი მათ? შენ მხოლოდ ეხლა მიხვდი ამას. და, ვაშა შენ, რომ არ შეგეშინდა ამ სიშარილისა... იძინე, ჩემო კარგო ძია.. იძინე მშვიდად, კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს"...

ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ მოუწოდებთ გამსახურდიას ანდრეი სობოლის გმირის მაგალითისაკენ, არც ვეტყვით ჯერ ჩვენ გამსახურდიას, რომ მას შიგნით დიდი კუზი აქვს და კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს, მაგრამ ერთი რამ გამსახურდიასათვის ნათელი უნდა იყოს. თუ ის ისევ ძველი გზით წავა, თუ ის ისევ განაგრძობს სიმღერას ძველი ხმით, თუ ისევ დაიწყებს ჭირისუფლის როლში გამოსვლას საუკუნეებზე და დღევანდელ ყოფასთან უფრო ახლოს არ მოვა და არ გახდება უფრო გულწრფელი და თუ არ ეცდება წარსულის ტყვეობიდან განთავისუფლებას მაშინ, ჩვენ სრული საბუთი გვექნება, უთხრათ კუზიანს სამარე გაასწორებსთქო, მაშინ ჩვენ მართალი ვიქნებით რაშიდაც გამსახურდიაც დაგვეთანხმება. ამის საბუთს გამსახურდია ყოველ სტრიქონში იძლევა. ავიღოთ თუ გინდ სანიმუშოდ მისი მსჯელობა დონკიხოტის შესახებ. იგი სწერს: „ჰამლეტი უფრო ფაუსტსა ჰგავს, იგი ფაუსტსავით ლექიაა, უმწეო ყვინჩილა, ენა მრავალი, მშიშარა და ტრაბახა ნაცარქექია. ორივე ახლოსაა ჩვენთან (რატომ ჩვენთან? კ. მ.) ეს ლამანჩელი რაინდი, დიდი ექსტეტიკოსი და ფანტასტიკოსი, მაგრამ მაინც აქტივისტი. გარდა ხედვის ოპერაციისა კიდევ ერთი ტრაგედია აწუხებს მას; დონკიხოტი გაწირული თაობების ცოდვებითაა დატვირთული. ის ორ ეპოქას შორის გაჩხირული (მე ვიტყოდი ორ პოლიუსს შორის გახიდული) კაცია და ვაი იმას, ვისაც ბედისწერა, შემთხვევა, თუ იგი, ვინც ჩვენი ნების გარეშე განაწესებს ჩვენს აქ გამოსვლას მას დაავალებს. უთუოდ ორი ურთიერთის მოპირდაპირე დროის მარჩველი იყოს. ყოველ კაცს რომ თავის თაობის ცოდვებისათვის აგებინებენ პასუხს, ხოლო დონკიხოტს ორი თაობის ცოდვებს მოჰკითხავენ (ავტორის ბლოკნოტში ამ ადგილას ფანქრითაა მინაწერი. ჩემი უბედურება ეს არის, რამდენიმე წლით ადრე, რომ გავჩნდი ამ ქვეყანაზე)". კ. გამსახურდია აქ დონკიხოტის დაცვის იდეას აყენებს, იგი მას აქებს და ადიდებს. დონკიხოტსაც თურმე ორი ეპოქისთვის უხდება პასუხის გება, ისე როგორც გამსახურდიას. დონკიხოტი. თურმე ჩვენთან (?) ახლოა, რადგან იგიც განწირული თაობის ცოდვებითაა დატვირთული. ჩვენთან რა მოგვეხსენოთ და ამ შემთხვევაში, რომ გამსახურდიას სული და ხორცი ხორცთაგანია უდავო ჭეშმარიტებაა. იგი ეხლა უკვე უკრაინაშია და მის წინაშე ახალი თავსამტვრევი საკითხი წამოიჭრა. „რომელი რასას უნდა მიეკუთვნოს უკრაინელები? სწერს გამსახურდია..., საერთოდ დიდი გაუვალი მეტაფიზიკაა ეს რასის ამბავი. უკანასკნელ მსოფლიოს დროსაც გამოირკვა, რომ პანგერმანისტების, პანლათინისტების და პანსლავისტების მოგონილი რუსული თეორიები ცუდად მოჩხამული ამბავია". (გვ. 84).

რაში ესაჭიროება აქ გამსახურდიას რასის შესახებ საუბარი, მაგრამ ცნობილია, კაცს სალაპარაკო რომ შემოელევა რაზე ილაპარაკოს თვითონაც არ იცის და რაც კი მოაგონდება ყველაფერს იტყვის. ამას ნათლად ამტკიცებს გამსახურდიას შემდეგი საუბარი ტარას შევჩენკოს შესახებ. იგი სწერს: „უკრაინის ერმა თავის გენიის უუხეცესს და უწარჩინებულესს პირმშოს „ბატკა" შეარქვა და მან დააფუძნა კიდევაც ახალი უკრაინის კულტურული თვით დადგინება. ამიტომაც საბჭოთა უკრაინაში, როგორც დაწესებულებებში, ისე ოჯახებში ტარას შევჩენკოს სურათები ლენინისა და სტალინის სურათების გვერდითაა მოთავსებული" (გვ. 87).

ასეთ ხაზეში ვითარდება მთელი „უკრაინის თემიდი", არსად არ იგრძნობა ნამდვილი საბჭოთა უკრაინა, რომელმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ძირფესვიანად შეიცვალა. გამსახურდია ისევ ძველებური გზით და ხერხით ცდილობს მიღებულ შთაბეჭდილების გადმოცემას. ამ შთაბეჭდილებებში არსად არ არის ნაგრძნობი ახალი უკრაინა, რომელიც იზრდება და წინ მიდის. გამსახურდია სინამდვილეს თვალებ მოხუჭული უცქერის, უსათუოდ ამით უნდა აიხსნას მისი „უკრაინის თემიდში" საბჭოთა უკრაინის სავსებით მივიწყება და მისი სანტიმენტალური შთაბეჭდილებათა და განწყობილებებით დატვირთვა. ამ მდგომარეობას თვით გამსახურდიაც არ მალავს იგი აშკარად სწერს: „სამოქალაქო ომი? რა გამოულეველი აქტუალური თემა აქვთ უკრაინელ და რუს მწერლებს. საოცარია სწორედ: იმისათვის, რომ რამე დიდი დაიწეროს, უთუოდ რაღაცა გრანდიოზული უნდა მოხდეს. არც ის კმარა ცხრა მთას გადაღმა რომ მოხდეს, ყოველივე შენ თვალწინ უნდა მოხდეს, შენ თავად უნდა იყო ამ დიდ განცდათა თანაზიარი არის რაღაც იდუმალი შეწონილება ნანახისა და წარმოდგენათა შორის"*) (გვ. 94).

ნუ თუ ჩვენში არაფერი არ მომხდარა ისეთი, რაზედაც შეიძლებოდეს გრანდიოზული რამეს დაწერა? ნუ თუ ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა, ისტორიაში არ ნახული საქმიანობა არაა? ნუ თუ პირველი ხუთწლედის წარმატებით დამთავრება, მეორე ხუთწლედი, ელექტრო გიგანტები და რომელი ერთი ჩამოვთვალო არ იძლევა მდიდარ და დაუშრეტელ მასალას გრანდიოზულ ნაწარმოებების შესაქმნელად? განა ჩვენ თვალწინ არ ხდება ყოველივე? რატომ გონია გამსახურდიას, რომ ის, რაც ჩვენში, ხდება. ეს შორი მანძილითაა ჩვენზე მოშორებული? რატომ გონია გამსახურდიას, რომ ჩვენი მშენებლობა ჩვენი მონაწილეობის გარეშე ხდება? გამსახურდია ამ შემთხვევაში, ჩვენი ყოველდღიური საქმიანობას, სოციალისტურ მშენებლობას ანგარიშ გასაწევად არ სთვლის. ვინ მისცა მას ამის უფლება და ამდენი გამბედაობა? გამსახურდია როგორც ზემოდ ვამბობდით თავისას არ იშლის. ისევ ძველი გზით მიდის. მას არ უნდა მიმართულების შეცვლა. მთავარი გამოსავალი წერტილი მისი მსჯელობისა უკრაინაშიც მხოლოდ და მხოლოდ მარტო ნაციონალური საკითხია. იგი სწერს: „ბოლშევიკები 1917 წლამდისაც ყველაზე მეტი თანამიმდევრობით ამუშავებდენ ეროვნულ საკითხს (მე ვეკუთვნი იმ თაობას, რომელიც გულის ცახცახით კითხულობდა სტალინის ბროშურებს ეროვნული საკითხის შესახებ). მარტოოდენ დეკლარატიულად განცხადებული პოლიტიკური თავისუფლება ხომ უბრალო ფიქციაა. ბოლშევიკები უქმნიან კავშირში შემავალ ერებს საკუთარი მრეწველობისა და საკუთარი კულტურის ბაზას. ეს უდავოა და ურყევი. სად არიან ეხლა უკრაინის ფილანტროპიული „რადი"-ს სენტიმენტალური მოღვაწეები?! ისინი თავიანთ თვალებს არ დაუჯერებდენ ერთის თვალმოვლებითაც რომ ენახათ უკრაინის დონბასი, ეს კიევში და ხარკოვში ფასკუნჯების ლაშქარივით შეიოსკული, უკრაინის სახელგამის პლაკატები და აფიშები ეს უთვალავი მაღაზიები, უკრაინული წიგნები და „უკრჰაერის გზა". „უკრქსოვილი", „უკრასანთი", „უკრტყე"... და ეს გაუთავებელი უკრ... უკრ.,, უკრ,,,, უკრ,,.. (გვ. 107—108). კიდევ კარგი, რომ ეს მაინც შენიშნა გამსახურდიამ უკრაინაში, მაგრამ აქ იგი ნაციონალისტის ენით მეტყველებს. თუ რომ გამსახურდიამ ხარკოვში ყოფნის დროს მთელი ყურადღების ცენტრი იქეთკენ გადიტანა თუ რამდენი, და რა სახის... უკრ... არსებობს, რატომ ვერ შენიშნა ის გრანდიოზული მიღწევები. რომელიც საბჭოთა უკრაინას გააჩნია სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე? რატომ ვერ გრძნობს გამსახურდია იმ ამბავს; რომ ეროვნული საკითხის მოგვარება უკრაინაში ლენინური ნაციონალურ პოლიტიკის შედეგია და ბოლოს რატომ ვერ ხედავს გამსახურდია ამ ეროვნულ საკითხში სოციალისტურ შინაარს და ნაციონალურ ფორმას? გამსახურდიას თვალსაზრისი ნაციონალისტის თვალსაზრისია.

გამსახურდია უკრაინაში ქალაქიდან ქალაქში გადადის. იგი ხარკოვიდან კიევში წავიდა. საინტერესოა თუ რა ნახა იქ გამსახურდიამ და რა შენიშნა. სოციალისტური მშენებლობის ფრონტიდან არაფერი, სამაგიეროთ იგი მთელ „ფილოსოფიას" ქმნის უკრაინელ და განსაკუთრებით კიე-

*) გამსახურდიას კარგად უნდა მოეხსენებოდეს ის ამბავი, რომ ჩვენშიაც არა ერთის და ორი შეიარაღებულ გამოსვლებს და გლეხთა ბრძოლებს ქონია ადგილი მენშევიკური საქართველოს წინააღმდეგ. მაგ.: ოსეთის, ლეჩხუმის, დუშეთის და სხვა აჯანყებები. ნუ თუ ყოველივე ეს სამოქალაქო ომი არ იყო? კ. მ.

...ველ ქალების შესახებ. „და კიეველი ქერა ქალი, ეს სულ სხვაა, ვიდრე ვენელი, პარიზელი ან ბერლინელი, მატრონა—თვალი ...უნებურად ტკბება ზღვის ფერი თვალების რომანტიკითა და სწორი და გრძელი ფეხების რიტმით. (აღმოსავლეთმა გარდაუვალი ...დალი დაასვა ქართველ ქალს, ალბად ჩვენი ...მოიერეული, დიდი დედების ფეხმორთხმულად ...ჯდომამ უწია ქართველ ქალების ფეხების არქიტექტონიკას" (გვ. 110).

...ვის აინტერესებს ეს ამბავი თუ როგორი ფეხები აქვს კიეველ და ქართველ ქალებს? ბედნიერია ქართველი ქალები, რა „დიდებული" და „გულშემატკივარი" ქარისუფალი გამოუჩნდათ მათ კ. გამსახურდიას სახით? ამის შემდეგ გამსახურდია ...ანტიალობს თავის ჩოხა-ახალუხით კაევის ქუჩებში. შემოაღამდა და იწყება სამხედრო განგაში. მთელი ქალაქი ჩაბნელდა, გამსახურდია ეკლესიის გალავანში ამოყოფს თას და შემდეგ კი სამრეკლოზე ადის და იგი კიდევ სამრეკლოდან უყურებს და ამბობს: „ისე მაღლა ვზივარ ამ სამრეკლოს ზეთავზე, ასე მგონია, ხელი რომ გავიშვირო ზეცას მივწვდები მეთქი. ასეა: მაღლა დგომაა საჭირო მაღალ საგნებზე ფიქრისათვის" (გვ. 121—122) და ბლბად გამსახურდიამაც მიტომ აირჩია ეკლესიის სამრეკლო. დიდ, იჯდეს გამსახურდია იქ. ილაპარაკოს მისტიურად დღევანდლობაზე ისე, როგორც „უკრაინის თემიდ"-ში ლაპარაკობს ილაპარაკოს მანამ, სანამ არ მობეზრაკობს. ილაპარაკოს მანამ, სანამ არ მობეზ სტილით მოხაზოს ისე როგორც ის ხაზავს.

წაწამ არ მოიღლება მხოლოდ მან ერთი რამ იცოდეს: საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ მწერლებს შეუქმნა ყოველგვარი პირობები შემოქმედებითი მუშაობისათვის. მწერლებს, რომლებსაც ნამდვილად სურთ სოციალიზმის საქმისათვის ყოფნა და მასში მონაწილეობა ყოველგვარი შესაძლებლობა აქვთ. გამსახურდიამ ეს უნდა იცოდეს, მან ეს უნდა გაიგონოს კარგად. ჩვენ არა ვართ სულ[illegible], ჩვენ ვადროვებთ გამსახურდიას [illegible]ებას, იფიქროს მან, და თვითონ [illegible] სად სჯობია: სამრეკლოს თავზე ჯდომა და იქედან თვალებ მოხუჭული სიზმრების ნახვა თუ სოციალიზმის ქვეყანაში, [illegible] ქვეყნის ბატონ-პატრონი [illegible] მუშათა კლასი.

---

# ბოლშევიკური კინემატოგრაფიისათვის

**წერილი: მ. მგალობლიშვილი**

ამჟამად ყველაზე მთავარია კინემატოგრაფიის ხარისხი. დღეს ეს საკითხი დგას კინემატოგრაფიის საზოგადოებრივობის ყურადღების ცენტრში.

მხოლოდ მაღალ იდეურ-მხატვრულ, ნამდვილ ბოლშევიკური ფილმისათვის ბრძოლით აიხსნება ის განსაკუთრებული საქმიანი მუშაობა, რაიც ახასიათებდა კინემატოგრაფიის 1934 წ. თემატიური გეგმის ირგვლივ მოწვეულ სრულიად საკავშირო პირველ თათბირს.



კადრი ფილმიდან — „არშაულა". რეჟ. დ. რონდელი, ოპერ. შ. აფაქიძე, მხატ. ც. წუწუნავა.

...სწორედ ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პარტიამ თავისი 23 აპრილის ისტორიულ დადგენილებაში სავსებით გარკვევით დასახა საბჭოთა ხელოვნების განვითარების გზები.

ერთი წლის განმავლობაში ამ დადგენილების საფუძველზე, საბჭოთა ფილმების მაღალ-ხარისხოვანებისა, ღრმა მხატვრულ მასიური სურათებისათვის ბრძოლაში იზრდებოდნენ საბჭოთა კინემატოგრაფიის შემოქმედი კადრები.

პირველი სრულიად საკავშირო თემატიური თათბირი მაჩვენებელია იმისა თუ რამდენად სწორია ისტორიულად პარტიის გადაწყვეტილება კინემატოგრაფიის ნამდვილ ხელოვნების სწორი გზით წარსამართავად და სოციალიზმის მშენებელ მილიონიანი მაყურებელთა აღსაზრდელად.

ძირითადი კონკრეტული საკითხები, რომლითაც დაინტერესებულია კინემატოგრაფიის საზოგადოებრივობა და რომელზედაც შეაჩერა თავისი ყურადღება თათბირმა არის ორი საკითხი—პირველია ხარისხის პრობლემა, ხოლო მეორე—ფილმისა და სცენარის შემქმნელი ადამიანთა კადრი.

სულ ახლო წარსულში კინემატოგრაფიის გეგმიურობა მიმდინარეობდა სულ სხვა მაჩვენებლების ნიშნის ქვეშ. ყურადღების ცენტრში იყო ატელიეს ძლიერება, კინოაპარატების რაოდენობა, ლაბორატორიებისა და დამხმარე საამქროების ძლიერება და სხვ. ხოლო კინემატოგრაფიის შემქმნელ, შემოქმედ ადამიანებზე არავინ ზრუნავდა.

იმდროინდელსა და დღევანდელს გეგმიურობას შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ დღევანდელ ეტაპზე გეგმიურობაში შედიან ცოცხალი ადამიანები: რეჟისორები და მწერლები.

ამიტომ შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ 1934 წ. თემატიური სრულიად საკავშირო თათბირი გაიხსნა საბჭოთა მწერლების საკ. სხორგ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ფადეევის მოხსენებით—თემაზე „საბჭოთა ლიტერატურის მდგომარეობისა და კინემატოგრაფიის ამოცანებზე". მეორე მოხსენებით გამოვიდა სახ. კინო ფაბრიკის მმართველობის უფროსი ამხ. შუმიაცკი, რომელმაც თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა კინემატოგრაფიის შემქმნელ, შემოქმედ ადამიანთა არსებობასა და მათ უდიდეს მნიშვნელობას კინემატოგრაფიის განვითარების საქმეში.

თუ კი ერთი წლის წინად საკავშირო კინემატოგრაფიაში მუშაობდა 300 კინორეჟისორი და მარტო მოსკოვში რეგისტრაციაში გატარებული იყო 400 მეტი სცენარისტი და მიუხედავად ამისა 1932 წ. საბჭოთა მაყურებელმა მხოლოდ 6 სურათი მიიღო, ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, რომ ასე მუშაობის გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სოციალიზმის მშენებელი ქვეყანას და მის მმართველ პარტიას არ შეეძლია მოითმინოს ისეთი აშკარა აღმაშფოთებელი მდგომარეობა, როცა აუარებელი თანხა და ადამიანთა უდიდესი ენერგია იხარჯება, ხოლო ეკრანი კი ვერ ჰხედავს სურათს.

ამიტომ სავსებით სწორია პარტიის დადგენილებისავან გამომდინარე თათბირის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 300 რეჟისორიდან მთელს კავშირზე მტკიცდება მხოლოდ 76 რეჟისორი, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავიანთი ოსტატობა ხოლო დანარჩენები კი, რომლებსაც ჯერ არაფერი მნიშვნელოვანი არ მოუციათ, უნდა ჩადგენ კინემატოგრაფიის



კადრი ფილმიდან—„არშაულა". რეჟ. დ. რონდელი, ოპერ. შ. აფაქიძე.

შემოქმედთა კადრების რიგში. ამასთანავე რეჟისორსა და მწერლის ერთად მუშაობის შესახებ მიღებული დადგენილება. ლიტერატურის, ხელოვნების როგორც წამყვანი დარგის მდიდარი გამოცდილებათა გამოყენება აუცილებლად გამოიყვანს კინემატოგრაფიას ჩიხიდან და ის გაიმარჯვებს მომავალ 1934 წ.

საბჭოთა კინემატოგრაფიაზე შემცდარი ხელმძღვანელობის, აგიტპროპფილმების ორომტრიალის პერიოდში საბჭოთა კინემატოგრაფია გაივსო აუარებელი რეჟისორებით და უფრო მეტი ე. წ. „სცენარისტებით", ან უკლთ ხელოვნებაში შემთხვე-

ვით მოხვედრილ, გამვლელ და მიტმასნილ ელემენტებით.

თათბირმა სავსებით მართებულად და სწორად მიუთითა იმაზე, რომ 1934 წ. დადგმის უფლებას მიიღებენ მხოლოდ ის რეჟისორები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს დადგმის ოსტატობაში. სცენარებიც უნდა დასწერონ მხატვრული სიტყვისა და აზროვნების ოსტატებმა.

საქართველოს კინემატოგრაფიაც არ ჩამორჩებოდა საკავშირო კინემატოგრაფიის ამ „გაქანებულ ტემპებს" და კალმის ერთი მოსმით შექმნა ფაბრიკაში 25 მეტი რეჟისორი და მეორე ხუთწლედის ერთ-ერთ ვარიანტში 200 მეტი სურათი შეიტანა.

ცოცხალ და შემოქმედებითი მუშაობაში გამოცდილი კადრების, ან ამ მხრივ უტყუარი იმედის მომცემი ადამიანებს დასარაზმავად თავის გარშემო, ნამდვილი საბჭოთა ხელოვნების შექმნისათვის უნდა იბრძოლოს ქართულმა კინემატოგრაფიამ საკავშირო კინემატოგრაფიასთან ერთად.

ამ ამოცანების საფუძველზე საკავშირო თათბირმა საქ. კინმრეწვს 1934 წ. დაუმტკიცა რვა რეჟისორი და ორი პირობით.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს კინომრეწველობა პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით შესძლებს მის წინ ეპოქის მიერ დასმულ ისტორიულ ამოცანების ღირსეულად გადაჭრას.

1933 წ. დასასრულამდე, ცოტა ხანი დარჩა და ეს დრო მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ნამდვილ მხატვრულ, მაღალ ღირსების და ღრმა იდეურ სცენარების მოსამზადებლად.

ამ ამოცანის განსახორციელებლად კი აუცილებლად საჭირო საქ. კინომრეწველობის მთელი შემოქმედებითი, კინო ფაბრიკისა და ტრესტის ძალთა სრული მობილიზაცია. საჭიროა აგრეთვე საბჭოთა მწერლებს ფართე აქტივის მობილიზაცია და ტემპების გაძლიერება.

ჯერჯერობით კი საკავშირო თათბირის მიერ დამტკიცებულია წინასწარი გეგმა შემდეგნაირად:

რეჟ. შენგელაიაზე დამტკიცებულია „გატეხილი ყამირი", შოლოხოვის ამავე სახელწოდებას რომანის მიხედვით. შოლოხოვის ეს რომანი არის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები საბჭოთა ლიტერატურაში; მასში მოცემულია. კლასობრივი ბრძოლა სოფლად და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესი, არა ტრაქტორებისა და კომბაინების უმნიშვნელო ჟონგლიორობით, არამედ აქ მოცემულია ცოცხალი ადამიანები, გადმოშლილია ამ ახალ ადამიანთა ღრმა ფსიქოლოგია და სულისკვეთება.

რეჟ. ესაკიაზე დამტკიცებულია თემა სახელწოდებით „ბრმა". ამ სცენარის პოლიტიკური საფუძველი გამომდინარეობს სტალინის მეხუთე მითითებიდან „ძველი სკოლის ტექნიკურ-მწარმოებელ ნტელეგენციის მიმართ ფრთხილი და ფხიზელი მოპყრობის შესახებ".

ცნობილია, რომ როგორც ტექნიკურ-მწარმოებელ ისე ჰუმანიტარული ინტელიგენციის მეტად თვისებური ბიოგრაფია აქვს ად პოლიტიკურადაც ეს მეტად აქტუალური საკითხია დღეს.

რეჟ. კალატოზიშვილზე დამტკიცებულია სცენარი პირობითი სახელწოდებით „პ.ო." სურათში მოცემული იქნება პარტიული ხელმძღვანელობა სოფლად.

რეჟ. წუწუნავაზე დამტკიცებულია გ. გუგუნავას სცენარი „ხიდი მდინარე ინგურაზე", თემა აღებულია თანამედროვე სვანეთის ცხოვრებიდან.

რეჟ. დოლიძეზე—„სცვდილის ბარჟა", რომელშიც მოცემულია სამოქალაქო ომის პერიოდი 1918 წ.

რეჟ. ჭიაურელი — სურათი „ხელისუფლებისაკენ"-ის დამთავრების შემდეგ თახმად საკავშირო თემატიური თათბირის დადგენილებისა უნდა შეუდგეს დიდი ხამხედრო-თავდაცვითი ხმოვანი ფილმს გადაღებას.

რეჟ. რონდელზე დამტკიცებულია კ. კალაძის სცენარი „ხატიჯე", რომელშიც მოცემულია აჭარელი ქალის ყოფა-ცხოვრება.

რეჟ. მაკაროვზე დამტკიცებულია სცენა



კინო მსახ. ქ. ჯაფარიძე.

რი „გამზრდელი" აკაკი წერეთლის პოემის მიხედვით.

როგორც ვიცით ქართული კინემატოგრაფიის განვითარების პირველი ეტაპი ხასიათდება ქართველ კლასიკების დიდი ეკრანიზაციით. დაიდგა „სურამის ციხე", „სამი სიცოცხლე", „ტარიელ მკლავაძე", „შამის მკვლელი", „არსენა ყაჩაღი" და სხ. ყველა ამ სურათებში როგორც მათი დამდგმელები ისე სცენარისტები კლასიკოსების, (უმთავრესად ბურჟუაზიული კლასიკოსების წარმომადგენელთა), ტყვეობაში მოექცენ. ზოგჯერ კი პირდაპირ ამახინჯებდენ ამ კლასიკურ ნაწარმოებებს.

დღეს ქართულ კინემატოგრაფიას სრულიად არა აქვს კულტურული მემკვიდრეობის ლენინური ათვისების თვალსაზრისით გაკეთებული ქართული კლასიკური სურათი, („ელისო"-ს გარდა).

სცენარი „გამზრდელი"-ს შესაქმნელად კი ფაბრიკას განზრახული აქვს რეჟ. მაკაროვის გარშემო შემოკრიბოს მაღალკვალიფიციური მწერალთა კადრი და ჩვენი საზოგადოებრიობა, რომ მისგან მივიღოთ ნამდვილი კლასიკური სურათი კულტურული მემკვიდრეობის ლენინური გაგებით..



კინო მსახიობი ზ. ტერიშვილი

ასეთივე მუშაობა სწარმოებს რეჟ. დოლობერიძე და ფალავანდიშვილი სცენარის დასამზადებლად.

1934 წ. პროგრამაში გადადის რეჟ. ბერიშვილის მიერ დაწყებული სურათი მწერალ ი. მოსაშვილის სცენარით „მდინარის იქით".

როგორც დავინახეთ 1934 წ. თემატიურ თათბირის მიერ საქკინმრეწვში დატოვებულია უკვე საკმოდ გამოცდილი და მხატვრული გემოვნებით გამორკვეული რეჟისორები. ამავე დროს აღებულია კურსი, რათა საბჭოთა მწერლების საუკეთესო ნაწილი დაუახლოვდეს კინომრეწველობას, ისინი ჩავაბათ აქტიურ მუშაობაში, რომ ამით გაუმჯობესებული იქნეს დადგმული სურათების ხარისხი.

საკავშირო თემატიური თათბირი თავის დადგენილებებში კატეგორიულად მოითხოვს მწერლების უფრო მჭიდროდ დაახლოვებას კინემატოგრაფიასთან. თათბირი ამავე დროს კატეგორიულად მოითხოვს კინომრეწველობის შემოქმედებითი განყოფილებების განსაკუთრებით სასცენარო განყოფილების გაწმენდას ე.-წ. „სცენარისტებისაგან", რომლებიც არ არიან მწერლები, არამედ შემთხვევით მოხვედრილი ადამიანები ამ დარგში. საქკინმრეწვს ამ მიმართულებითაც ბევრი რამე აქვს გასაკეთებელი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის ამას შეასრულებს პირნათლად.

დაბოლოს თათბირზე კატეგორიულად დაისვა საკითხი მუნჯი ფილმების შეუფასებლობის წინააღმდეგ. რათქმა უნდა დიდი მუშაობა უნდა იქმნეს წარმოებული ხმოვანი ფილმების შესაქმნელად, მაგრამ ამ მუშაობამ არავითარ შემთხვევაში ზიანი არ უნდა მიაყენოს მუნჯ ფილმების დადგმის განვითარებას. ამჟამად კი ჩვენ ვხედავთ რომ საბჭოთა კავშირის მასშტაბით საუკეთესო კინო-რეჟისორების უმრავლესობა მუშაობს განსაკუთრებით ხმოვან ფილმებზე. ეს ტენდენცია შეკვეცილი უნდა იქნეს ნაწილობრივ ისე, რომ არც ერთი იქნეს დავიწყებული და არც მეორე. თათბირმა გადასწყვიტა სასტიკი ბრძოლა გამოაცხადოს მუნჯი ფილმების შეუფასებლობას, მის დასახვას, როგორც, უკვე მოძველებული და უვარგისი მეთოდისა და ისეთ ტენდენციას, რომ ხმოვან ფილმზე მომუშავე კადრები უკეთ იქნენ უზრუნველყოფილი ვიდრე მუნჯ ფილმებზე მომუშავე ამხანაგები.

ამრიგად პირველი საკავშირო თემატური თათბირი მეტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა კინემატოგრაფიის განვითარების ისტორიაში. ამ თათბირის დადგენილებათა საფუძველზე ჩვენ მზა სცენარებით უნდა მოვიდეთ 1934 წ. მიჯნაზე, რათა მომავალ წელს გაიშალოს ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა საბჭოთა მხატვრული ფილმების შესაქმნელად.

ის ფაქტი, რომ პარტია ასე მჭიდროდ მოეკიდა კინომრეწველობის ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის საკითხებთან, კინომრეწველობის გეგმების დამუშავების ყველა წვრილმანებთან მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის უფრო გაშლისათვის, ავალებს ყველა შემოქმედებით მუშაკებს უდიდესი პასუხისმგებლობით მოეპყრან თავიანთ საქმეს, იმუშაონ დაუღალავად, შეუნელებელის ტემპებით, რათა ერთხელ და საბოლოოდ საზღვარი დაედვას ხალტურას და უპასუხისმგებლობას საბჭოთა კინემატოგრაფიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ტვინის ტრესტი“ რომელიც ვერაფერს გახდა

წერილი: გ ა რ დ ე

შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი, „თეთრ სახლში“ მივიდა მრავალრიცხოვანი ამალით, რომელშიც საკმაოდ დიდ ჯგუფს შეადგენდენ პროფესორები და ეკონომისტები—ე. წ. ტვინის ტრესტის“ მოღვაწეები. თვით ამ „ტვინის ტრესტის „ტვინს“ წარმოადგენდა მანამდე მხოლოდ სწავლულ პოლიტიკოსების ვიწრო წრეში ცნობილი პროფ. რაიმონდ მოლეი, რუზველტის მიერ დანიშნული შერთ. შტატების საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწეთ. მოლეის უწოდებდნენ არა მარტო „ტვინის ტრესტის“ ცენტრს, არამედ აგრეთვე „პრეზიდენტის ჩრდილს“ და მას მიაწერდნენ უფრო მეტ გავლენას საგარეო პოლიტიკაზე ვიდრე ოფიციალურ საგარეო საქმეთა მინისტრს.

„იგი იმყოფება თეთრი სახლის იმ თათბირების ცენტრში, რომლებზედაც იღებენ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს. ამ ადამიანს მიმართავს ყველა, ვისაც ესაჭიროება გეგმა, იდეები, დანიშვნა და საერთოდ რაიმე პრეზიდენტისაგან. მას ხელში უჭირავს ამერიკის პოლიტიკის ყველა ძაფები.

საეჭვოა, რომ კაბინეტის რომელიმე სხვა წევრს შეეძლოს დაიტრაბახოს უფრო მჭიდრო კონტაქტით პრეზიდენტთან. „მე დანამდვილებით ვიცი. რომ არავის სხვას არა აქვს ასეთი გავლენა მასზე“,—ასე სწერდა გაროლდ ლასკი პროფ მოლეის შესახებ, რამდენიმე თვის წინ „დეილი ჰერალდში“.

გეგმებისთვის პროფ. მოლეის მიმართავდნენ არა მარტო ისინი. ვისაც რაიმე საქმე ჰქონდა პრეზიდენტთან, არამედ პირველ რიგში თვით პრეზიდენტი. თავის ამრჩევლთაგან ბურჟუაზიის ხელმძღვანელ წრეებისაგან მან მიიღო დაკვეთა კრიზისის ჩიხში მოქცეული ამერიკის სახელმწიფო ხომალდი გამოეყვანა „აყვავების გზაზე“. მაგიურმა სიტყვამ „პროსპერიტი“ ჯერ კიდევ ჰუვერის დროს დაჰკარგა მთელი თავისი მიმზიდველობა ფართო მასების თვალში. არავის უკვე აღარ სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო „პროსპერიტის“ დაბრუნება პრეზიდენტის შელოცვებით. საჭირო იყო რაღაც უფრო „საფუძვლიანი“ „გრანდიოზული“, ვიდრე ჰუვერის ეპისტოლეები შეშფოთებული და დამფრთხალი მასების დასამტკიცებლად და კრიზისის მთელი სიმძიმის უფრო მოხერხებულად გადასატანად ფართო მასების მხრებზე.



ბანკირი ბერნარდ ბარუხი, რომელსაც ამერიკული პრესა უწოდებს „კაცს კულისების უკან“, „ტვინის ტრესტის“ შეტრე გავლენიანი წევრი, რუზველტის უახლოესი კონსულტანტი
შარჟი „ლიუტერერნ დაიჯერსტი“-დან

ბურჟუაზიის ხელმძღვანელი წრეების ამ „სოციალური დაკვეთის“ შედეგს წარმოადგენდა ის „აღდგენის პროგრამა“, რომელიც „ტვინის ტრესტში“ თავმოყრილმა პროფესორებმა და ეკონომისტებმა შეიმუშავეს პროფ. მოლეის ხელმძღვანელობით.

ამ გეგმის გარშემო გაიშალა წმინდა ამერიკული მასშტაბის სარეკლამო აგიტაცია, მას ასაღებდნენ, როგორც უებარ წამალის კრიზისის ყველა უბედურებითაგან. გეგმის განსახორციელებლად მოეწყო სპეციალური „აღდგენის ადმინისტრაცია“, რომლის სათავეში ჩაყენებული იქნა გენერალი ჯონსონი: პრეზიდენტი მსხვერპლს სთხოვდა ნაციას. საზოგადოების ყველა კლასები ბედნიერებით უნდა დათანხმებულიყვნენ „მშვიდობიან თანამშრომლობაზე“ „პროსპერიტის“ დაბრუნების მიზნით, მაგრამ თუმცა საბოლოო ანგარიშით გამოდიოდა, რომ ეს მსხვერპლი უნდა გაეღო მუშათა კლასსა და მშრომელ მასებს ინდუსტრიის მადნეულებიდან ბევრმა მიუღებლად ჩასთვალა ამ მოჩვენებითი მსხვერპლის გაღებაც კი, კლასობრივი ეგოიზმი უფრო ძლიერ გამოდგა, ვიდრე პრეზიდენტის მოწოდებები.

გამოშვებული იქნა სპეციალური ნიშნები—„ცისფერი არწივი“—იმათვის, ვინც მიიღო „პატიოსანი კონკურენციის კოდექსები“, შედგენილი „აღდგენის ადმინისტრაციის“ მიერ. აგიტატორების არმია მოედო მთელს შეერთებულ შტატებს მოსახლეობას მოუწოდებდნენ ეყიდნათ იმათგან და ის საქონელი, რომელსაც ექნებოდა „ცისფერი არწივის“ ნიშანი. გაზეთების სვეტებიდან, მაღაზიების ვიტრინებიდან, კინოებში, ვაგონებში, ყველგან და ყოველგან გამოიყურებოდნენ „ცისფერი არწივი“-ს სურათები.

ამავე დროს მთავრობამ ფედერალური სარეზერვო ბანკის საშვალებებით გაიშორა მანევრი, რომლისთვისაც არა ერთხელ მიუმართავს ჰუვერს ბირჟაზე სპეკულიატიური გამოცოცხლების გამოსაწვევად. მთავრობის მიერ ნათესების შესამცირებლად მიღებულმა ზომებმა და ცუდი მოსავლის მოლოდინმა ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების რამდენიმეთ აწევას.

ყველა ცოტათ თუ ბევრათ შორსმჭვრეტელი ბურჟუაზიული მოღვაწეებისათვის, ნათელი იყო, რომ მთელი ეს „აღდგენითი პროგრამა“ და „გამოცოცხლება“ სილაზეა აგებული. ან როგორ შეიძლებოდა საფუძვლიანი ყოფილიყო მრეწველობის ფეხზე დაყენების იმედი ექსპორტის კატასტროფიული დაცემის და მასების უკიდურესი გაღატაკების შედეგად შინაუ-



ტფილისის რკ. გზის ბავშვთა ახალშენი ქობულეთში. ბავშვები თამაშობენ ზღვის პირად.

რი მოთხოვნილების კატასტროფულად შეზღუდვის პირობებში.

რა უნდა იყიდოს 15 მილიონმა უმუშევარმა?

რა უნდა იყიდოს გაღატაკებულმა ფერმერთა მასამ?

რა უნდა იყიდოს მუშამ, რომლის ხელფასი მათხოვრული დონემდეა შემცირებული?

ამიტომ ბირჟაზე სპეკულიანტური „გამოცოცხლების“ მიუხედავათ მოთხოვნილება ფართო მოხმარების საგნებზე არა თუ არ გაიზარდა, არამედ 12 პროცენტით შემცირდა 1932 წელთან შედარებით.

„აღდგენითი პროგრამის“ განხორციელების მიუხედავათ, მუშათა რიცხვი საქარხნოებში არა თუ არ გაიზარდა, არამედ 1931 წელთან შედარებით, თუ ამ წლის მაჩვენებლებს 100-ად ჩავთვლით, შემცირდა 62,8-დე, მათ მიერ მიღებული ხელფასი კი დაეცა 43,1-დე. (1933 წლის ივნისი).

ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნების დატვირთვა სექტემბრის მეორე კვირაში შეადგენდა 36—41 პროც. ნაცვლად 59 პროც. ივლისში.

მუშათა კლასმა მთავრობის საპროპაგანდო აპარატის ენერგიული მუშაობისა და იმ დახმარების მიუხედავათ, რომელსაც რუზველტის გეგმის განხორციელებას უჩენს ამერიკის შრომის ფედერაცია, თავიდანვე ნათლად დაინახა, თუ რას მოასწავებს მისთვის „აღდგენის პროგრამა“ — მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების და გაჭირვების შემცირების ნაცვლად მან სინამდვილეში მიიღო ხელფასის ახალი შემცირება და შრომის ინტენსივობის გადიდება.

ამის შედეგად იზრდება მასების მღელვარება და საგაფიცვო მოძრაობა. ნიუიორკში გაფიცულია 60.000 მკერავი, პენსილვანიაში იზრდება და ფართოვდება მემაღაროეთა გაფიცვა (ბურჟუაზიული გაზეთების ცნობით გაფიცულთა რიცხვი 20.000-ს აღემატება), იქვე გაფიცულია 70.000 მუშა აბრეშუმის მრეწველობაში. მრავალრიცხოვანი გაფიცვები და მუშათა გამოსვლები ხდება სხვა ქალაქებში.

ამერიკელ მწერლების გავლენიანი ორგანო „ანალისტი“ იძულებულია აღიაროს კლასობრივი ბრძოლების კიდევ უფრო გამწვავების შესაძლებლობა: „არსებობს მეტად სერიოზული საშიშროება, რომ უფრო ადრე, ვიდრე დაიწერებოდეს ახალი გეგმიანი მეურნეობის უკანასკნელი თავი, ჩვენ გვექნება ისეთი სახისა და მოცულობის შრომის კონფლიქტები, როგორიც არას დროს არ გვქონებია“.

„აღდგენითი პროგრამა“ გაკოტრდა და დამარცხდა საბოლოოდ. პირველი დღეების უსაფუძვლო ოპტიმიზმი შესცვალა გამოფხიზლების მწარე სინამდვილემ.

ერთ-ერთ შედეგს იმ იმედის გაცრუებისა, რომელიც ბურჟუაზიის ხელმძღვანელ წრეებში გამოიწვია „აღდგენითი პროგრამის“ ასეთმა სწრაფმა მარცხმა და იმ შიშისა, რომელსაც მმართველ წრეებში იწვევს შრომელი მასების რევოლიუციონური წინააღდეგობის ზრდა, წარმოადგენ მოლეის გადადგომა და დაჟინებითი ხმები საერთოდ „ტვინის ტრესტის“ კრიზისის შესახებ.

„აღდგენითი პროგრამის“ მარცხთან დაკავშირებით თავი იჩინა მკვეთრმა უთანხმოებამ „აღდგენის ადმინისტრაციაში“. გენ. ჯონსონის თანაშემწე კეიტსი გადადგა და განაცხადა, რომ არ ეთანხმება ჯონსონის პოლიტიკას.

## კომისარი—„სპეციალური დავალებით“.



იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობის წინაშე პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასმულია ნავთის მოპოების მაქსიმალურად გადიდების ამოცანა, შეერთებული შტატების მთავრობა ზრუნავს მხოლოდ იმაზე, რომ შეამციროს ნავთის ამოღება.

**სურათზე**—შეერთ. შტატების შინაგან საქმეთა მინისტრი **ჰაროლდ აიკსი**, დანიშნული ნავთის მრეწველობის კომისრად სპეციალური დავალებით—ყოველმხრივ შეამციროს ნავთის ამოღება.

„ადმინისტრაციის“ მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკები არ მალავენ თავის სკეპტიკურ დამოკიდებულებას მთავრობის პოლიტიკისადმი და წინასწრმეტყველობენ მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას ახლო ხანში.

ყოველივე ამაში არაფერი არ არის გასაკვირი, კაპიტალისტური მეთოდებით შეუძლებელია თავის დაღწევა თანამედროვე კაპიტალისტური სისტემის საყოველთაო კრიზისიდან. მხოლოდ კაპიტალიზმის დამხობას და ძალაუფლების გადასვლას რევოლიუციონური პროლეტარიატის ხელში შეუძლია მოუღოს ბოლო მასების სიმშილს და სიღატაკეს, მოუღოს ბოლო კრიზისებს, რომელიც კაპიტალიზმის თანდაყოლილი მოვლენაა.

„აღდგენითი პროგრამის“ ერთად-ერთი რეალური ნაწილი არის ახალი სამხედრო საზღვაო მშენებლობა, რომელსაც ახორციელებს ამერიკის იმპერიალისტური ბურჟუაზია. მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა არაჩვეულებრივად გაამწვავა და გაამწვავა იმპერიალისტური წინააღმდეგობანი. ამ წინააღმდეგობათა გადაჭრის ერთად-ერთი რადიკალური საშვალება ბურჟუაზიისათვის არის ომი. ამიტომ არის, რომ ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოები გაფთრებით ემზადებიან ახალი ომისათვის. შინაურ „აღდგენითი“ ზომების კრახმა ამერიკის ბურჟუაზიის ხელმძღვანელ წრეებში კიდევ უფრო გააძლიერა მსოფლიო ახალი გადაყოფისათვის ბრძოლის ტენდენციები. ახალი 32 სამხედრო გემის აგება წარმოადგენს მორიგ მნიშვნელოვან ნაბიჯს ამერიკის იმპერიალიზმის ომისათვის მზადების გზაზე. ამ ახალი 32 სამხედრო გემის ასაგებათ საჭირო 238 მილიონი დოლარი აღებულია „საზოგადოებრივ სამუშაოთა ფონდიდან“. შეჯიბრების საზღვაო შეიარაღებაში ბურჟუაზია ასაღებს, როგორც ბრძოლას უმუშევრობასთან ასე ლამობენ იმპერიალისტები მოჰკლან ორი კურდღელი: მასების ხარჯზე გაადიდონ თავიანთი შეიარაღება და მოატყუონ იგივე მასები, თითქო შეიარაღებაზე დახარჯული თანხები მათ „კეთილდღეობას“ ხმარდება. მაგრამ იმპერიალისტები ვერ მოატყუებენ მშრომელ მასებს. 1914 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. მუშათა კლასს ჰყავს კომუნისტური პარტია, რომელიც ამხელს ბურჟუაზიის ყველა მანევრებსა და ხრიკებს. კომუნისტურ პარტიას მტკიცედ მიჰყავს პროლეტარიატი ახალი ბუმბერაზული კლასობრივი ბრძოლებისაკენ, ძალაუფლების დაპყრობის გზით.



ტფილისის რკ. გზის ბავშვთა ახალშენი ქობულეთში. ბავშვები ზღვის აბაზანებს ღებულობენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასალები ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის

**წერილი: მ. დუდუჩავა**

## I.

### ვაჟა-ფშაველას პირადი წერილები და გამოუქვეყნებელი ლექსი

ვაჟა-,შაველას გამოუქვეყნებელი ლექსი „მოლვაწეს“ და მეორე წერილი საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილების გიორგი წერეთელის ლიტერატურულ არქივში აღმოჩნდა. გიორგი წერეთლის დასახელებული არქივი, გიორგის მეუღლის ანასტასია თ.-წერეთლის სიცოცხლეში, გიორგის ბინაზე შეაგროვა და მუზეუმს გადასცა განსვენებულმა, ქართული ლიტერატურის და საზოგადოებრივი აზროვნების ცნობილმა მკვლევარმა პროფ. სიმ. ხუნდაძემ. ამ არქივის წამოღების შემდეგ გიორგი წერეთლის ბინაზე დარჩა გიორგის მიერ ანასტასიასადმი მინაწერი ინტიმური ხასიათის წერილები, თვით ანასტასიას და ჟურ. „კვალი“-ს და „ჯეჯილი“-ს თანამშრომლების ზოგიერთი ხელნაწერები და პირადი წერილები. ამ ხელნაწეოების და პირადი წერილების შესწავლის დროს [1]) რომელსაც შეიძლება ანასტასია თ.-წერეთლის ლიტერატურული არქივი ეწოდოს, ჩვენ წავაწყდით ვაჟას პირველ წერილს, რომელიც ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული გარემოს და პიროვნების შესწავლისთვის, მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. მასალებს ვბეჭდავთ ვაჟას სტილის სრული დაცვით.

### წერილი პირველი [1])

1894 წ. 2 აპრ.

ქალბატონო ანასტასია!

14 მარტს მოწერილი თქვენი ბარათი დღეს, ორს აპრილს მივიღე და პასუხსაც ეხლავე გწერთ. სამდურავსა მითვლით, არ ვიცი რად და რისთვის? „სხვას კაი მასალას აძლევთ და ჩვენ კი უხეიროსათ. ახლად დაბრუნებულმა რედაქციის წევრმა აკაკიმ დაიწუნა თქვენი მასალაო“ და სხვ. და სხვ. მე თითონ დიდათ პატივსა ვსცემ აკაკის ნიჭს და მოღვაწეობას, მაგრამ ისე კი არა, არც აკაკის, არც სხვას, რომ საკუთარის თავის პატივისცემაზე ხელი ავიღო, ან საკუთარს მსჯელობაზე, საკუთარს შეხედულებაზე ამა თუ იმ საგანზე. თქვენ კი ნურას უკაცრავად, ბატონო ჩემო, ამ სიმართლის თქმისათვის, სულ სხვაგვარად მოგსვლიათ საქმე. რაც მე მასალა წარმოგიდგინეთ თქვენ ხომ მიიღეთ ის მასალა და კიდევაც უნდა დაგებეჭდათ თუ საკუთარს თავს და საკუთარს აზრს რაიმე ფასსა სდებთ. ერთიც ვნახოთ ხვალვე აკაკიმ ამ „რედაქციის წევრობას“ თავი დაანებოს, მერე მე და თქვენ რაღა გვეშველება? ხომ უნდა ვირბინოთ კარი-კარ და სხვა დამფასებლები ვეძიოთ ამ ლიტერატურულ მასალისა. მაშ რედაქტორობა რაღა გაუჩენია ღმერთსა?... ეს კი არა, იცით საქმე რაშია?! ერთი კარგი ქართული ანდაზა მაგონდება. აი ეს ანდაზა: „იმ მთამ დამაზროო ფეხები, რომელსაც არ მოველოდიო“. მე მეწადა კარგი განწყობილება მქონოდა თქვენს რედაქციასთან, მეშრომა ისე, როგორც ვშრომობდი „ივერია“-ში და ვხედავ, რომ თქვენ თვის უცხო ვყოფილვარ. დიაღ, უცხო და გამოუსადეგარი. თქვენ გიფიქრიათ ვაჟა-ფშაველამ „ივერია“-ს თავი დაანება [2]) და ეხლა ჩვენს ხელთ არის როგორც უნდა ისე ვათამაშებთო, უკაცრავად! მე სათამაშო ბურთი არ გახლავართ.., თუ ჩემი პატივისცემა გაქვსთ ცოტაოდენი მაინც ეგ მასალა სუსტიც რომ იყოს უნდა დამიბეჭდოთ. რადაო?—რომ მკითხოთ, პასუხს არ მოგცემთ. მხოლოდ თქვენ თვითონ იფიქრეთ, რადაც უნდა დაიბეჭდოს თუნდა „სუსტიც იყოს“. ნუთუ იმდენი ალარაფერი გამიკეთებია ქართულს მწერლობაში, რომ მსაჯულად ჩემის ნაწერებისა და მოპასუხედ მკითხველების წინაშე მე თითონ ვიყო?...

ამიტომ, ბატონო ჩემო, მე ეხლა ჩემს გულის პასუხს გწერთ: მანამ მაგ „სუსტს მასალას“ არ დამიბეჭდავს, მე თქვენ ველარაფერს მსალას ვერ მოგაწვდით. ფული, რაც მიმიღია, იმას ისევ მოგართმევთ. ხოლო გთხოვთ ვინიცობაა და არ დაბეჭდოთ თუ ჩემი ცოტაოდენი პატივისცემა მაინც გაქვსთ, მაგ „უვარგისს მასალას“ ნუ დამიკარგავთ მაინც [3].

თქვენი უმორჩილესი ვაჟა-ფშაველა.

### შენიშვნები

1. როგორც ცნობილია, ვაჟა-ფშაველა თავისი ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი იყო, მაგრამ მას მისი თანამედროვეები ვერ აფასებდენ შესაფერისად. განსაკუთრებით მეტად უდიერად ეპყრობოდა პოეტს ჟურნალ-გაზეთები, — და მათ შორის ყველაზე მეტი უხეშობა, ქართული სიტყვის დიდი ოსტატის მიმართ „ივერია“-მ დაიმსახურა. (იხ. ვაჟა-ფშაველას „წერილი რედაქციასთან“, „ივერია“ № 201 და „მეველე“. ჟურ. „კვალი“, № 48, 1894 წელი).

არც „კვალი“ ეპყრობოდა ვაჟას ღირსეულად. ამ გარემოებას „კვალი“-ს მიერ ვაჟას დაუფასებლობის, მთავარი მიზეზი, როგორც წერილიდან აშკარად ჩანს, „კვალი“-ს „რედაქციის წევრი“ აკაკი იყო.

აკაკი საერთოდ ალმაცერად უცქეროდა ვაჟას: ვაჟა მას არ მიაჩნდა დიდ და ნიჭიერ პოეტად. აკაკიმ, ეს თავის არა სიმპატიური დამოკიდებულება ვაჟას მიმართ 1913 წელს „თემი“-ს 111 №-ში დაბეჭდილ ვაჟასადმი მიძღვნილ ლექსშიც კი გამოამჟღავნა, რომელსაც ვაჟამ მეტად მგრძნობიარედ იმავე წელს უპასუხა თავისი ცნობილი ლექსით: „დაგვიანებული პასუხი აკაკის“. (დაიბეჭდა „სახალხო გაზეთი“-ს 909 №-ში).

აკაკი „კვალი“-ს რედაქციაში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა. ამის მიზეზი, აკაკის საერთოდ დიდი ავტორიტეტის გარდა, ისც იყო რომ აკაკიმ „კვალი“-ს დაარსების პერიოდში მეტად დიდი როლი ითამაშა ჟურნალის საარსებო მატერიალური საშუალებათა გამონახვის და შექმნის საქმეში. ამის გამო, განსაკუთრებით პირველ ხანებში ჟურნალის არსებობას პირველი ორი წლის განმავლობაში, აკაკის მითითებები თითქმის უცვლელად ტარდებოდა რედაქციაში, რამაც გამოიწვია ჟურნალის რედაქტორის მიერ მიღებული ვაჟას მასალების არ დაბეჭდვა, მხოლოდ ამ უკანასკნელმა გარემოებამ კი ვაჟას ის პროტესტი—ჟურნალის ოფიციალური რედაქტორის ან. თ.-წერეთლის მიმართ, რომელსაც ეს წერილი წარმოადგენს.

2. ვაჟა-ფშაველა. „ივერია“-ში, 1894 წლის პირველ რიცხვებამდე, 7 წლის განმავლობაში თანამშრომლობდა. 1894 წლის დასაწყისში რედაქციასთან უთანხმოების გამო ის „ივერია“-ს ჩამოაცილა, ვაჟამ „ივერია“-ში თანამშრომლობა, ერთი წლის შემდეგ ისევ განაახლა.

3. ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალების მიხედვით, ვაჟას იმ ნაწერების ზუსტად გამორკვევა, რომლებიც აქ დასახელებულ აკაკის მიერ დაწუნებულ „სუსტ მასალაში“ იგულისხმება შეუძლებელი შეიქმნა. ამასთანავე ერთად გიორგი და ანასტასია წერეთლების ლიტერატურულ არქივებში, არავითარი დოკუმენტი არ მოიპოვება იმის გამოსარკვევად თუ რით დამთავრდა ვაჟა-ფშაველას და „კვალი“-ს რედაქციის ეს კონფლიქტი. თვით „კვალში“ კი, ამ წერილის თარიღიდან დაახლოვებით ხუთი თვის განმავლობაში ვაჟას არც ერთი ნაწარმოები არ დაბეჭდილა. ვაჟას პირველი ნაწარმოები, რომელიც ამ კონფლიქტის შემდეგ „კვალში“ დაიბეჭდა ეს იყო ლექსი „ქებაქება“, რომელიც „კვალი“-ს 1894 წლის

---

[1]) ეს ხელნაწერები ამჟამად გ. წერეთლის ძმის შვილის ნინა წერეთლის განკარგულებაში იმყოფება. ამხ. ნ. წერეთელს, რომელმაც დასახელებული არქივის შესწავლის საშუალება მოგვცა და მასთან ერთად ხელნაწერების ერთი ნაწილი გადმოგვცა, — ულრმესი მადლობა.



**დუმბროვსკის ელსადგურის მშენებლობა.**

ლენინგრადის ოლქში, დუბროვკის რაიონში, მიმდინარეობს მშენებლობა მძლავრი ელსადგურის, რომელიც ენერგიას მიაწვდის „ნევდუბსტროის“ კომბინატს. შენდება აგრეთვე მუშათა სოც. ქალაქი, გაჰყავთ წყალსადენი და კანალიზაცია.

ელსადგური ლენინგრადის მრეწველობას პირველ 50.000 კვ. ელექტრო-ენერგიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 სექტემბრის მე 40 №-ში არის დაბეჭდილი. ამ მიჯნის შემდეგ ვაჟა-ფშაველას და „კვალს“ შორის ისევ ნორმალური დამოკიდებულება დამყარდა.

### წერილი მეორე

წერილი რედაქციასთან!

გიგზავნით ამ მასალას: ზოგს „კვალში“ დახაბეჭდათ და ზოგსაც „ჯეჯილში“. ერთხ გთხოვთ კორექტურას გაუფრთხილდით. უკანასკნელს „ჯეჯილი“-ს ნომერში ხუთი თუ ექვსი შეცდომაა კორექტურული [1], სადაც უნდა იყოს —„ნუ დაალუბებ (გაამჭლევებ), სწერია —„დააგუბებ“. უნდა იყოს „ამირანს“, სწერია—„ამირან“ და სხვ. ლექსს ამისთანა შეცთომები ძალიან ამახინჯებს. ამასთან გთხოვთ უმორჩილესად ბგერა „ჰ“ დაიცვათ ჩემს ნაწერებში ისე, როგორც მე ვხმარობ.

გთხოვთ აგრეთვე მომიხერხოთ და ცოტაოდენი ფულიც გამომიგზავნოთ. „კვალისათვის“ მოთხრობას ვწერ: ნახევარი დაწერილი მაქვს, ჯერ არ დამიმთავრებია. თუ მოისურვებთ, შემომატყობინეთ წერილით ამ ნახევარს გამოგიგზავნი და სხვა ნომრისათვის მეორე ნახევარს მოგამზადებთ [2].

თქვენი უმორჩილესი ვაჟა-ფშაველა

### შენიშვნები:

1. ვაჟას მხედველობაში აქვს 1894 წლის მეხუთე ნომერი „ჯეჯილი“. „ჯეჯილი“-ს დასახელებულ ნომერში დაბეჭდილი არის ვაჟას ლექსი „ბუნების სურათი“, რომელშიც გაპარული არის ვაჟას მიერ შენიშნული კორექტურული შეცდომები.

2. ჩვენი აზრით, ვაჟა აქ თავის მოთხრობის „მუცელა“-ს შესახებ უნდა წერდეს; —რადგან ამ წერილის დაწერის თარიღის (წერილის თარიღის შესახებ იხ. მე-3 შენიშვნა) მომდევნო რიცხვებში პირველად „კვალში“ ვაჟას ეს მოთხრობა-ზღაპარი დაიბეჭდა. „მუცელა“-ს ბეჭდვა „კვალი“-ს 1895 წლის პირველი ოქტომბრის № 42-ში დაიწყო და ამავე წლის 53-ტე №-ში დამთავრდა.

3. ვაჟა-ფშაველას ეს წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ, როგორც წერილის შინაარსის მიხედვით ირკვევა, ის დაწერილი არის 1894 წლის უკანასკნელ რიცხვებში. წერილის შინაარსი, მისი დაწერის დასახელებულ დროს, შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით ირკვევა:

ის „ჯეჯილი“, როგორც ეს პირველ შენიშვნაში არის ნაჩვენები, რომლის შესახებ ვაჟა წერს: „უკანასკნელს „ჯეჯილი“-ს ნომერში ხუთი თუ ექვსი შეცდომაა კორექტურული“-ო, არის 1894 წლის მეხუთე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილი არის ვაჟას ლექსი „ბუნების სურათი“. დასახელებული ჟურნალი სექტემბერ-ოქტომბრის ნომერია, რომელსაც შიგნითა ყდის მეორე მხარეზე წარწერილი აქვს ცენზურაში გატარების თარიღი: «Дозволено цензурою. Тидлис, 6 сентября 1894 года». ცხადია, რომ თუ ჟურნალი ცენზურაში 1894 წლის 6 სექტემბერს გატარდა, დაახლოვებით ერთი თვის შემდეგ გამოვიდოდა, ხოლო ვაჟა-ფშაველა კი, რომელიც ამ დროს ფშავში ცხოვრობდა, ნოემბრის რიცხვებში მაინც მიიღებდა. და რადგან „ჯეჯილი“-ს ეს ნომერი წერილის დაწერის დროს „უკანასკნელი“ ნომერი იყო, ამიტომ წერილის დაწერის თარიღად 1894 წლის უკანასკნელი რიცხვები, სახელდობრ, უკანასკნელი თვენახევარი, უნდა ჩაითვალოს

### გამოუქვეყნებელი ლექსი [1].
### მოლვაწეს

გავგზავნეთ იმედი ვქონდა
რომ გაგვიჩარხავს საქმესა,
და იცით მართლა მან რა ჰქნა?
თავს წამოადგა ამქრებსა:
მოგვივა გაბრწყინებული,
როგორაც მთვარე ცაზედა
ბალღთა ტირილი შაესმის
როს გამოივლის გზაზედა.
მაგრამ ის იტყვის: რა გინდათ?
რას შემომტირით მენაო?!
„გავბრწყინდი“, აღარ მადარდებს
თქვენი რჯული და ენაო,
რად არ გაშინებს რეგვენო,
იმ შავს დღეს ამოჰქშენაო!

ვაჟა-ფშაველა.

[1]) ლექსი ავტორის მიერ დათარიღებული არ არის.

### საბჭოთა ავიაციის მორიგი გამარჯვება.



დამზადებული ლენინგრადში 100 ცხ. ძალიან მოტორით ანვითარებს 250 კილ. სის წრაფეს საათში, შეუძლია 5 მგზავრის წაყვანა.

# სიყრმის ბალადა

ლექსი: **დავით შამათავა**

ველარ შეზღუდა
ლტოლვა ხის ჰერძაც.
დაშორდენ მინდვრებს
სასოფლო შარებს...

და ჩემი ურმობის ტოლმა ბიჭებმა —
შემდეგ სხვა მხარის ცა გადიშალეს...
მაშინ სხვა იყო... სისხამ დილითვე
გლეხი შრომა დღეს იმეორებდა.

სიოც არხევდა დახრილ ტირიფებს
და შორს ღრუბლები იწვა გორებთან.
..ჩვენ კი ვიჭერდით ცხენებს უმალვე,
გვქონდა ჭაბუკის მარჯვე ნახტომი.
ქანცს მიულევდით მეგრულ ულაყებს
უკან ვტოვებდით მინდვრებს დატორილს.
ბევრჯერ დაგვაფრთხეს სახლში ჩვენებმა,
ბავშურ ნებაზე რომ არ გავეშვით.
ჩვენ მაინც გვსუროდა ცხენის ჭენება,
და გულადობა შუაღამეში.
იყო ბავშობა და სიხარული.
ვერ გვაშორებდა მშობლების რისხვაც.
ბევრჯერ ბავშური მარჯვე მხარულით
გაგვიცურნია ცხენისწყლის მიღმა.
ცრიხელ მოვიდენ, ტყით და ნაკაფით.
და ნოხუცს ხმალი დასცენ ყუამდე.
ჩვენც ცხენებს მოვდევთ ქამრის ლაგამი
და თემში ბანდის მოსვლა უამბეთ.
იდგა აგვისტო... ცხელოდა ძალზე
ყანებს ფოჩები გადაეშალათ.

ბინდიან ღამით ბანდები დასცენ—
და ახმაურდა სოფლის თემშარა.
და თუმც წლის თავზე გაგვრიეს ხალხში,
თან კომკავშირლებს გვეძახდენ უკვე..
ჰასაკი მაინც ჯერ გვქონდა ბავშის
და ცხენის-წყალით ვსაზღვრავდით რუქებს.
კვლავ მაგონდება კიდევ ბევრი რამ,
მონადირეებს დამხმარეთ ვყავდით...

გამოვიყვანდით ხშირი ტევრიდან
სისხლისგან დაცლილ ნატყვიარ ნადირს.
დღე წავიდოდა მგზავრულ ქვეითად,
რჩებოდა ველი ხშირ მიჯნიანი..
ამოვიდოდა მთვარე ტევრიდან
და იყო გზებზე ურმის ჭრიალი.
და ვერ შეზღუდა ლტოლვა ხის ჰერძაც
დაშორდენ მინდვრებს, სასოფლო შარებს
და ჩემი ყრმობის ტოლი ბიჭებმა—
შემდეგ სხვა მხარიც ცა გადიშალეს..

—:—

გაიჯირითეს წელიწადებმა.
ამ მიდამოში მოვსულვარ ისევ..
გაზაფხულია მთები მწვანდება
და მწვერვალებიც ირეკავს ნისლებს.
ბიჭებს აქ ბევრჯერ გადაუვლიათ!
მგზავრული სახით ვფიქრობდი გზაში.
ახლაც აქ მწვანე გაზაფხულია—
გლეხის შრომა და გალობა შაშვის.
და სად მოხუცი მოჰკლეს თეთრწვერით
და სად ჭინკებზე უთქვამს ბებიას..

გაუკაფიათ ტევრი, ეწრები—
და რიყრაყების უმალ დგებიან.
გადაიარეს თითქო ომებმა,
ისე აყრილან ხშირი მიჯნები...
დაბრუნებულან აგრონომებად
ჩემი ბავშობის ტოლი ბიჭები.
თურმე ძველ მინდვრებს სახე ჩაუქრეს,
როცა სივრცეში დღე აგრიალდა.
მზისაგან დამწვარ ჯმუხა ჭაბუკებს
დღის სიხარული მოაქვთ ნიადაგ.
რა გულს გაუძლებს მინდვრების რაინდს,
თუ არ გარდაქმნა მინდორველები...
რით გადმონერგოს პალმები, ჩაი,
მხარეც შორეულ ინდოელების.
ახლა ბინდია. ჩრდილები გაწვენ,
ახლა მდინარეც არ ღმუის რისხვით.
მთვარე საგრძნობლად მოლლილა ცაზე
და სქელ ფარდებათ აშლილა ნისლიც.
ქვევით მოხრილი ძეწნები სჩანან...
სუსტ ჩინარებმაც გაიათიალეს,
შორს ფორდზონებით გუგუნებს მა... —
და ქარი არხევს ფშანიბს ფშიარებს.
და ასე:
თითქო ჩადგენ ომები
ისე აყრილან ხშირი მიჯნები...
დაბრუნებულან აგრონომებად
ჩემი ბავშობის ტოლი ბიჭები.

# ფოტოგრაფია უხილავი სხივებით

პროფ. ჯორჯ გრეი

ექვს სართულიან ლაბორატორიის სულ მეექვსე სართულში როჩესტერში (ნიუ-იორკის შტატი) მოთავსებულია დარბაზი, სრულიად უცნობი ფართო საზოგადოებისათვის. აქ სწარმოებს ფოტოგრაფიისა და ხმოვანი კინოს ყველა მიღწევათა საცდელი გასინჯვა და იმართება ცდები სინათლის ბუნების შესასწავლად. ეს არის „კოდაკ"-ის კომპანიის საგამოკვლევო ინსტიტუტის დარბაზი.

ერთხელ დარბაზში შეიკრიბენ ექსპერტები ყველა ქალაქებიდან, რომ დასწრებოდნენ სინათლის ტეხნიკის ერთ-ერთი „საოცრების" ჩვენებას. მოულოდნელად დარბაზში ჩაქრა სინათლე და სცენიდან გაისმა ხმა:

„გთხოვთ ცოტა ხნით უძრავათ იყოთ. ჩვენ სურათს გადავიღებთ".

—„ამ უკუნში?"—შეეჭვდა ერთი მიპატიჟებულთაგანი, რომელიც ამაოთ ცდილობდა გაერჩია თავისი გაწვდილი ხელის კონტურები.

— სრულიად მართალია, — ბნელაში, —უპასუხა იმავე ხმამ. გაისმა საკეტის ხმაური, რასაც მოჰყვა რამდენიმე წამის სიჩუმე, შემდეგ ისევ ხმაური და სინათლე კვლავ აინთო.

ოცი წუთის შემდეგ, ჯერ კიდევ სველი ფოტოგრაფიები დაურიგეს სტუმრებს და თითეულ დამსწრეს შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ უხილავი ფოტოგრაფის თვალმა მშვენივრად გაარჩია იგი სრულ სიბნელეში.

იმათთვის, ვინც შეჩვეულია აზრს, რომ კარგი სურათების მისაღებად სავალდებულოა კარგი განათება, ყველაფერი ეს რამდენიმედ გაუგებარი იქნება. როგორც ჩანს, მათ უჩვენეს ფოტოგრაფიის ახალი ხერხი, რომელიც საერთოდ არ საჭიროებს სინათლეს. რა კონტრასტია პირველ ფოტოგრაფიულ პორტრეტთან შედარებით, რომელიც 22 წლის წინ იქნა გადაღებული ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სახურავზე და რომლის გადასაღებადაც კაცს თეთრი ფქვილით შეუთხუპნეს სახე და ის იძულებული იყო რამდენიმე წუთის განმავლობაში მჯდარიყო მზის მცხუნვარე სხივების ქვეშ.

ძაღლებს გაცილებით უფრო მახვილი ყნოსვა აქვს, ვიდრე ადამიანს. ძაღლი არჩევს სუნს, რომელსაც სრულიად ვერ ამჩნევს ადამიანი. ასევეა ახალი ფოტოგრაფიული ფირფიტების საქმეც. ისინი გაცილებით უფრო მგრძნობიარე არიან, ვიდრე ადამიანის თვალის მხედველობის ნერვი და აღბეჭდავენ ჩვენი მხედველობისათვის სრულიად მიუწვდომ სინათლის სხივებს.

„მაშასადამე წყვდიადით მოცულ დარბაზში მაინც იყო სინათლის სხივები?" — „რამდენიც გნებავთ, — უპასუხა დ-რმა მისმა, საგამოკვლევო ინსტიტუტის დირექტორმა, — მხოლოდ ეს არის უხილავი სინათლის სხივები, ე.ი. ისეთი სიგრძის, როცა ადამიანის თვალი უკვე ვერ ამჩნევს სინათლის ვერავითარ კვალს. ყველაფერი, რაც საჭირო იყო, ეს ის, რომ ფოტოგრაფიული ფირფიტები დაგვეფარა განსაკუთრებული ნივთიერებით და გაგვეკეთებინა ექსპერტიზაცია დაბნელებულ დარბაზში. უხილავი სხივები ამგვარ ფირფიტაზე მოქმედებენ სავსებით ისევე, როგორც მზის სინათლე, ჩვეულებრივ ფირფიტაზე".

მსგავსად იმისა, როგორც არის ბგერები, რომელთა მიმართ ადამიანის ყური ყრუა, არის გამოსხივებანი, რომელთა მიმართ ადამიანის თვალი ბრმა არის. ჩვენი თვალი ითვისებს, მხოლოდ ცისარტყელას შვიდ ფერს — ლურჯად გადამავალ მუქ იის ფერიდან მუქ წითელ ფერამდე, რომელიც სპექტრის მოპირდაპირე მხარეზე იმყოფება და მთელ, ერთის შეხედვით უსასრულო ელფერთა მრავალფეროვანებას. სინამდვილეში ეს მრავალფეროვანება სრულიად არ არის უსასრულო, თითეულ ფერს ეთანადება სინათლის ტალღის გარკვეული სიგრძე. იისფერის იქითა მხარეს ცისარტყელას ერთ კიდეში არის აურაცხელი ტალღები, რომელთაგან თითეული მოკლეა, ვიდრე წინატალღა. მეორე კიდეები, წითელი ფერის იქითა მხარეს, აგრეთვე არის უსასრულო თანმიმდევრობა ტალღების, მაგრამ უფრო გრძელის ვიდრე წინა ტალღები. იისფერის იქითა მხარეს მდებარე მოკლე ტალღებისა და წითელი ფერის იქით მდებარე გრძელი ტალღების მიმართ ადამიანის თვალი ბრმა არის.

სითეთრემდის გახურებული რკინის ნაჭერი ასხივებს ტალღებს, რომელთა სიგრძე უდრის 0,00000012 სანტიმეტრს. რომ რკინის ნაჭერი კიდევ უფრო გავახუროთ, ის იწყებს ნათებას მოლურჯო ფერით და მაშინ გამოსხივებული ტალღების სიგრძე შემცირდება 0,0000006 სანტიმეტრამდე. სინათლის ამ სიგრძე ტალღებს შუა მოქცეულია მთელი ადამიანისათვის ხილული სამყარო. თუ ჩვენ რკინის ბოლოს გავაციებთ იმდენად, რომ ის უკვე აღარ ანათებს წითლად, იგი სიბნელეში ჩვენთვის უხილავი იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის უკვე აღარ გამოჰყოფს სხივოსნურ ენერგიას. ჩვენ ამაში შეგვიძლია დავრწმუნდეთ ჰაერის გათბობის მიხედვით. მაგრამ ამ სხივოსნურ ენერგიას აქვს ახლა ორჯერ უფრო გრძელი ტალღა, ვიდრე ასხივებდა სინათლემდე გავარვარებული რკინის ნაჭერი.

ამიტომ მხედველობის პრობლემა არსებითად არის პრობლემა თვალის შეგუებისა სინათლის სხივის წესიერ სიგრძისადმი. რომ ჩვენ შეგვეძლოს შევუგუოთ ჩვენი თვალი და ჩვენი რადიოაპარატები 0,00000012 სანტიმეტრზე გრძელი ტალღების მიღებაზე, ჩვენ შევსძლებდით ინფრაწითელი ფერის დანახვასაც და რკინის ნაჭერი, რომელიც სიბნელეში ცივდება, ჩვენთვის ხილული იქნებოდა.

ამ მნიშვნელობით ადამიანის თვალისათვის მიუწვდომელი, განხორციელებული სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობის შედეგად — ახალი ფოტოგრაფიული ფირფიტების სახით. გამოგონებულია ემულსია, მგრძნობიარე უხილავი გრძელი ტალღების მიმართ და ამიტომ შესაძლებელი ხდება ხედვა, როგორც სიბნელეში, ისე ნისლში.

„ინფრაწითელი ფირფიტების" გამოგონების, შემდეგ კაპიტანმა სტივენსმა თავისი ფოტო-აპარატი მოათავსა აეროპლანზე, რომელიც მონრანიეს მთაზე უნდა გადაფრენილიყო. სტივენსის საქციელი მფრინავს უცნაურათ მოეჩვენა. მას ვერაფრით ვერ გაეგო, თუ რათ ჰქონდა სტივენსს მიმართული თავისი ფოტო-აპარატი მთისაკენ იმ დროს, როცა მთა დიდი ხანია გაქრა თვალიდან, თითქო სტივენსს სურდა „სიცარიელის" გადაღება. კიდევ უფრო გაოცდა პილოტი, როცა რამდენიმე საათის შემდეგ ნეგატივი მოამზადეს და მასზე აღბეჭდილი აღმოჩნდა მთებისა და მინდვრების ნაცნობი კონტურები, გადაღებული განსაცვიფრებელი გარკვეულობით. მონრანიეს თოვლით დაფარული მწვერვალიც გამოვიდა სურათზე, თუმცა იგი გადაღებული იყო 368 კილომეტრის სიშორიდან.

რამდენიმე კვირის შემდეგ, ანდების მთაგრეხილზე გადაფრენის დროს, კაპიტანმა სტივენსმა 496 კილომეტრის სიშორიდან გადაიღო აკონკა გუას მწვერვალი. ეს სურათი მრავალმხრივ არის საინტერესო. მასზე სჩანს, რომ სამხრეთ-ამერიკის პამპასებზე (მთის მინდვრები) მდებარე ნისლი გამრუდებულია დედამიწის ბურთის სიმრუდესთან შეფარდებით. ეს გარემოება იმედს იძლევა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დიდ სიმაღლეზე მფრინავი აეროფოტოგრაფი შესძლებს გადაიღოს ჩვენი პლანეტის გრანდიოზული თაღიანობა პერსპექტივაში და მიიღებს სურათზე დედამიწის ბურთის მნიშვნელოვან სეგმენტს.

შორ მანძილზე სურათების გადაღება შესაძლებელი გახდა არა მარტო იმის შედეგად, რომ ახალი ფოტო - ფირფიტები მგრძნობიარე არიან ულტრაწითელი სხივების მიმართ, მაგრამ იმის წყალობითაც, რომ მათ მგრძნობიარობაზე არ მოქმედობს ატმოსფერული მტვერი, წყლის ორთქლი და სხვა დაბრკოლებები. უფრო მოკლე სინათლის ტალღები ასეთ პირობებში ჩქარა იფანტება და ინთქმება. ინფრაწითელი სხივები უფრო ძლიერია; ისინი შეგვიძლია შევადაროთ დევებს, რომლებიც ადვილად იკვლევენ გზას მჭიდროდ შემოკრებილ ხალხის გროვაში.

ახალი ფოტოგრაფიის პრაქტიკული გამოყენება, ეჭვს გარეშეა, დიდ სარგებლობას მოიტანს მრავალ დარგში, ყველაზე მეტად საჰაერო ტოპოგრაფიული გადაღებისათვის. ინფრაწითელი ფირფიტები არაჩვეულებრივად აჩქარებენ და ამარტივებენ კარტოგრაფის მუშაობას.

სამხედრო ტეხნიკაც არ დააყოვნებს ამ ახალი აღმოჩენის გამოყენებას. მტრის ჯარების თამოყრის რაიონები და მისი თავდაცვის ხაზების მდებარეობა ფოტოგრაფიულად იქნება გადაღებული მიუწვდომელი სიმაღლიდან, მისი სახმელეთო ნაწილების და საზღვაო ძალების მოძრაობა შენიშნული იქნება შორ მანძილიდან და პოზიციების უაღრესად მოხერხებულად დაფარვაც კი არ გამოეპარება ინფრაწითელ „თვალს".

ყველაზე ფართო გამოყენება ინფრაწითელმა ფოტოგრაფიამ აქამდე ჰპოვა ასტრონომიაში. ვენერას უკანასკნელი ფოტოგრაფიები, გადაღებული ამერიკულ ობსერვატორიაში ვილსონის მთაზე შესაძლებლობას გვაძლევენ საინტერესო დასკვნები გავაკეთოთ ჩვენი პლანეტის ამ უახლოესი მეზობლის თვისებების შესახებ. ვენერას სინათლე გატარებულ იქნა პრიზმაში და დაშალეს სპექტრის შემადგენელ ნაწილებათ. მიღებული სპექტრი გადაიღეს ინფრაწითელ ფირფიტაზე და წითელი ფერის მარცხნივ შენიშნეს ახალი ხაზები, რომლებიც არანაკლებს ეუბნებიან ასტრონომებს, ვიდრე ბოროტმოქმედთა თითების ანაბეჭდები კრიმინალისტებს. ეს ხაზები ნათელჰყოფენ, რომ ნახშირორჟანგი, რომელიც მოიპოვება დედამიწის ატმოსფერაში, არის ვენერაზეც. ამ აღმოჩენამ თავის მხრივ საინტერესო მეცნიერული დისკუსია გამოიწვია. რამდენადაც ყველა ცხოველები და ადამიანები ამოისუნთქავენ ნახშირორჟანგს, მცენარეები კი ნთქავენ და ითვისებენ მას, ხომ არ მოწმობს ნახშირჟანგის არსებობა ვენერაზე, რომ ეს ჩვენი მეზობელი ცოცხალი არსებებით არის დასახლებულიო.

მარსის ატმოსფეროც იქნა გამოკვლეული მისი სპექტრის ინფრაწითელი და ულტრა-იისფერი სხივებით გადაღების გზით. სულ უკანასკნელ ხანებში დამზადებული კიდევ უფრო მგრძნობიარე ინფრაწითელი ფირფიტის საშუალებით მეცნიერება მიმდინარე წელს აპირობს ახალი იერიშის მიტანას საიდუმლო წითელ პლანეტაზე.

# ქრონიკა

## უცხოეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პენსივანიის მემაღაროეთა ბრძოლა



უკვე რამდენიმე თვეა, გრძელდება პენსილვანიის (შეერთებული შტატები) მემაღაროელთა გმირული ბრძოლა; დაწყებული ხ.ს. ფრიკის მაღაროებში (ლაიეტ-კაუნტში), გაფიცვა ჩქარა მოედვა ვაშინგტონის, ვესტმორლენდის, გრინის და ალეგანის საგრაფოებს და, ლიბერალურ „ნეიშენ“-ის ცნობით, ახლა მასში მონაწილეობას იღებს 70.000 კაცამდე. თუმცა სინამდვილეში გაფიცულთა რიცხვი გაცილებით უფრო მეტია. გაფიცვა ატარებს აშკარად გამოხატულ პოლიტიკურ ხასიათს, ვინაიდან მუშებმა ეკონომიურ მოთხოვნილებებთან ერთად წამოაყენეს პროფკავშირების ცნობის მოთხოვნილება. მუშები მოითხოვენ არა ყვითელი პროფკავშირების ცნობას, რომელთა მოღალატეობაში ისინი არა ერთხელ დარწმუნდენ, არამედ რევოლუციონური პროფკავშირების ცნობას.

ამერიკის მემაღაროეთა ყვითელი პროფკავშირის ხელმძღვანელი ჯ. ლიუსი შეეცადა ჩაეშალა გაფიცვა —მან მუშების დაუკითხავად ხელი მოაწერა შეთანხმებას ნახშირის ბარონებთან გაფიცვის შეტევის შესახებ, ამ ცნობამ საშინელი აღშფოთება გამოიწვია გაფიცულებში.

„— ვინ ჰკითხავს ლიუისს შესწყვიტოს გაფიცვა, რომელიც მას არ დაუწყიაო“—გაიძახოდენ მუშები.

მდგომარეობა გაფიცვის რაიონებში არაჩვეულებრივად გართულებულია. მემაღაროები თავისი პიკეტების საშუალებით ხელს უშლიან ადმინისტრაციას განახორციელოს მუშაობა შტრეიბბრეხერების საშუალებით, როცა გაფიცვის „მშვიდობიანი გზით“ (მექრთამე პროფმოხელეების საშვალებით) ლიკვიდაციის ცდებიდან არაფერი გამოვიდა, პრეზიდენტი რუზველტი თოფ-ზარბაზნებითა და მხრჩოლავი გაზების საშვალებით შეუდგა „ჰარმონიის“ დამყარებას შრომასა და კაპიტალს შორის. გაფიცვის რაიონში თავმოყრილ იქნა დიდძალი საპოლიციო ძალები





და რეგულიარული ჯარები და დაიწყო ნამდვილი ომი გაფიცულთა წინააღმდეგ.

„ეს გაფიცვა,—სწერს „ნეიშენის“ კორესპონდენტი,— ჰგავს ომს, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ჩინეთში: არცერთ მხარეს იგი არ გამოუცხადებია ოფიციალურად“.

---

### შეცდომის გასწორება

„დროშა“-ს № 18, გვ. 16-ში ამხ. გ. ჯიბლაძის წერილის უკანასკნელ აბზაცში, მბეჭდავთა დაუდევრობით ამოგდებულია უკანასკნელი სტრიქონი..: **სწერია**—„იგი უნდა იყოს გაგებული თვით“.. **უნდა იყოს**—„იგი უნდა იყოს გაგებული თვით ამ მასების მიერ“. ლენინის ეს მოთხოვნა სოციალისტური ხელოვნების შემოქმედებითი დროშად უნდა იქცეს. ამას მოითხოვს სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდი.

რედაქცია.

# ახალი ქართული რომანები

# 1933

## დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ

დემნა შენგელაია

### ბათა ქექია

სახელგამი

პ. ჩხიკვაძე

### ნაბიჯები

ფედერაცია

ალ. ქუთათელი

### პირისპირ

სახელგამი

კონ. ლორთქიფანიძე

### ძირს სიმინდის რესპუბლიკა

სახელგამი

ი. ლისაშვილი

### ვარდნილი

ფედერაცია

ს. თალაკვაძე

### გადასასვლელი

ფედერაცია

წიგნის შეძენა შეიძლება

სახელგამის ყველა წიგნის მაღაზიაში,

როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში.


სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68. მთავლ. № 1910 შეკვ. № 3219. ტირაჟი 2500.